საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№22 (304)

17 - 23 ივნისი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

## «ჩვენს შემდეგ თუნდაც წარღვნა მოსულა»





# რატომ დაგვსხოცე, მიხეილ?!







4





გიგა ბათიაშვილი:

ვერანაირმა გვირაბმა, ვერანაირმა კალაპოტმა, რომლებიც ხელოვნურად შეუქმნეს ვერეს, ვერ გაატარა ეს ღვარცოფი და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო...



ნოდარ ჯავახიშვილი:

სტიქიური პროცესები ჯერ დამთავრებული არ არის. ფერდობზე რამდენიმე საკმაოდ მოზრდილი ნაკადული ისევ ჩამოედინება.



ირაკლი მასხარაშვილი:

მთავარია იმის გაანალიზება, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო ყოფილმა ხელისუფლებამ, თორემ შემსრულებლები, მოგეცათ ლხენა, ბევრი ჰყავდა.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გულისტკივილით უსამძიმრებს 2015 წლის 13 ივნისის ღამეს დაღუპული ადამიანების ოჯახების წევრებსა და ახლობლებს. მგლოვიარეა სრულიად საქართველო თავისი შვილების, ღირსეული მოქალაქეების, დაღუპვის გამო, რომლებიც ემსხვერპლნენ ხელისუფალთა ეგოისტურ თავდაჯერებულობასა და დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს. ყველას განსჯის სამართალი.

2 დაღუპულთა რაოდენობა 19-მდე გაიზარდა

6 «არაპროფესიონალიზმი და დილეტანტიზმი სუფევს ყველა სფეროში...»

10 «ლეიტენანტი თამარ ბელქანია — ვანო მერაბიშვილის «ხერხემალი»

13 «თუ ასე გაგრძელდა, ხვალ-ზეგ პრეზიდენტის კონრიტა გვეყოლება და პრემიერის»

15 «ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ მეორედ მომიწევდა იარაღის ხელში აღება»

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველოს პატრიარქი: უნდა გავითვალისწინოთ, რაც მოხდა, და გამოვიტანოთ დასკვნა



**სიონის საკათედრო ტაძარში გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის დაწყებამდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ტაძარში შეკრებილებს მიმართა.** „ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს და შევთხოვთ უფალს, რომ ნათელში დაამკვიდროს მათი უკვდავი სულები. დღეს ჩვენ მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს, გაიზიარონ ეს მწუხარება და მიიღონ მონაწილეობა. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს ახალგაზრდობას. ჩვენმა ახალგაზრდობამ გამოიჩინა საოცარი თავდადება და გამოვიდა დასახმარებლად. მწუხარება, იმედია, სიხარულით შეიცვლება და ჩვენი ხალხი, ხელისუფლება, ჩვენი ეკლესია ყველაფერს გააკეთებენ, რომ მსგავსი არ განმეორდეს. უნდა იყოს გათვალისწინებული ის, რაც მოხდა და აქედან გამოვიტანოთ დასკვნა!“ — განაცხადა უწმინდესმა.



## დაღუპულთა რაოდენობა 19-მდე გაიზარდა

**კრიზისების მართვის საბჭოს განცხადებაში ნათქვამია, რომ 13-14 ივნისს თბილისში სტიქიის შედეგად დაიღუპა 19 ადამიანი, მათგან იდენტიფიცირებულია 17, მიმდინარეობს 2 ცხედრის იდენტიფიცირება. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 6 ადამიანი.**

**დაღუპულთა სია:**

1. **მალხაზ შოთას ძე ჭიტაძე,** დაბ. 12.06.1956 წ. მცხ: ზოოპარკის ტერიტორია;
2. **გულიკო გურამის ასული ჭიტაძე,** დაბ. 13.09.1958 წ. მცხ: ზოოპარკის ტერიტორია;
3. **გივი ვალერიანის ძე დვალი,** დაბ. 23.01.1938 წ. მცხ: ზოოპარკის ტერიტორია;
4. **მარიამ დავითის ასული ქუთელია,** დაბ. 10.09.1990 წ. მცხ: ზუგდიდი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 57;
5. **ნანა რუბენის ასული ფილიშვილი,** დაბ. 12.10.1971წ. მცხ: სვანიძის ქ.11 (ვაკის პირველი);
6. **ჟანა რუბენის ასული ეგიაზაროვა,** დაბ. 27.10.1967წ. მცხ: სვანიძის ქ.11 (ვაკის პირველი);
7. **სვეტლანა ანდროს ასული ეგიაზაროვა**, დაბ: 07.04.1948წ. მცხ: სვანიძის ქ.N11 (ვაკის პირველი);
8. **ლიანა ანდროს ასული ეგიაზაროვა**, დაბ. 16.07.1950 წ. მცხ: სვანიძის ქ.N11 (ვაკის პირველი)
9. **ინდირა მალხაზის ასული ზარანდია,** დაბ. 04.07.1992 წ. ხობი, მეორე გურიფული, წმინდა გიორგის ქ. 1;
10. **ნატა ნიკოლოზის ასული ნინაშვილი,** დაბ. 31.01.1973 წ. მცხ. ყვარელი, ახალსოფელი;
11. **ნუგზარ ზურაბის ძე ბუაძე,** დაბ. 11.11.1979 წ. მცხ: ლიბანის ქ.N5, ბ.N63;
12. **ნინა ალექსის ასული შუტკოვა**, დაბ. 16.08.1955 წ. მცხ: თბილისი, III მასივი X კვ. კორ. აბ. 16;
13. **გურამ ალექსანდრეს ძე პეტრიაშვილი,** დაბ, 17.09.1937 წ. მცხ: ქ.თბილისი სვანიძის №5;
14. **კარპო მამიას ძე ენუქიძე,** დაბ. 23/08/1956წ. ზესტაფონი, მაღლაკელიძის 9 ბ. 37
15. **ზურაბ გიორგის ძე მუზაშვილი (მაშველი),** დაბ. 29/08/1977 წ. მცხ: კასპი, აღაიანი; N
16. **ივლიტა რაჟდენის ასული ჯიბუტი,** დაბ. 19/07/1991. თბილისი თ. ერისთავის I ჩიხი 17;
17. **დავით ხვთისოს ძე გაბიტაშვილი**, დაბ. 29/01/1975 წ. მცხ: თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა 38.

**უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სია:**

1. **ელიზა მალხაზის ასული ზარანდია**, დაბ. 16/10/1989;
2. **ელიზბარ შოთას ძე ბაღაშვილი,** დაბ. 16/08/1961;
3. **ბექა თეიმურაზის ძე ბუთურიშვილი**, დაბ. 28/08/1981;
4. **სერგო ავთანდილის ძე კაპანაძე**, დაბ. 01/03/1984;
5. **სულიკო დიმიტრის ძე ნოზაძე**, დაბ. 06/12/1959;
6. **ივანე იოსების ძე გელაშვილი**, დაბ. 09/02/1961.



### ირაკლი ღარიბაშვილი:

## უნდა დაისვას იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ამ მდგომარეობას ყურადღება არ მიაქციეს

**საქართველოს პრემიერმინისტრმა გადაცემა „იმედის კვირაში“ ტრაგედიის მიზეზებსა და მისი თავიდან აცილების შესაძლებლობზე ისაუბრა.**

**„პარალელურ რეჟიმში დავიწყეთ მუშაობა გამომწვევი მიზეზების დასადგენად, თუ რატომ მოხდა ასეთი სტიქია. ამის წინასწარ განჭვრეტა რთული იქნებოდა, არ ვართ იმ კონდიციაში, რომ წინასწარ განვჭვრიტოთ მოსალოდნელი საფრთხე და რისკები. ამას სჭირდება კარგად გაანალიზება. დღეს ბევრს საუბრობენ და მე არ მინდა, გავიმეორო, თუნდაც სპეციალისტების აზრი იმ გზის თაობაზე, საუბარია, რომ იქ არასწორად იქნა გვირაბები გაკეთებული. თუმცა, როდესაც კომპეტენტური ჯგუფი შეისწავლის ამ საკითხს და დადებს საბოლოო დასკვნას, ეს იქნება გასაჯაროებული. მიმაჩნია, რომ უნდა დაისვას პასუხისმგებლობის საკითხი, იმ ადამიანებისა, რომლებმაც არ მიაქციეს ყურადღება ამ მდგომარეობას, თუ ეს, რა თქმა უნდა, გამოიკვეთა. თუმცა ვისურვებდი, რომ ამ თემაზე წინასწარ არ გვესაუბრა, ვიდრე საბოლოო დასკვნა არ იქნება წარმოდგენილი. გიდასტურებთ, რომ ჩვენ ამაზე ვმუშაობთ და აუცილებლად წარვუდგენთ მოსახლეობას მიზეზების ანალიზს“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



### ბიძინა ივანიშვილი:

## დაზარალებულთა დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებთ!

**ორგანიზაცია „მოქალაქემ“ გაავრცელა განცხადება, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრებს უსამძიმრებს და აღნიშნავს, რომ დაზარალებულთა მხარდასაჭერად ორგანიზაცია „მოქალაქე“ მცირე დროში კონკრეტულ ღონისძიებებს დასახავს.**

„ბიძინა ივანიშვილი მწუხარებას გამოთქვამს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო და თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს. საზოგადოება „მოქალაქე“ სწავლობს არსებულ მდგომარეობას, მუშაობს ქალაქის თანადგომისთვის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმაზე და ყველაფერს გააკეთებს დაზარალებულთა დასახმარებლად; საზოგადოება ასევე გამოთქვამს მზადყოფნას, დაეხმაროს დედაქალაქს ახალი ზოოპარკის აშენებაში“, — აღნიშნულია განცხადებაში.

## თბილისის მერიამ იმ გამგეობების მისამართები გამოაქვეყნა, სადაც მოსახლეობას სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად ნივთების მიტანა შეუძლიათ

**ადამიანებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, სხვადასხვა ნივთები დაზარალებულ მოსახლეობას გადასცენ, შეუძლიათ, მიმართონ რაიონულ გამგეობებში შექმნილ საგანგებო შტაბებს შემდეგ მისამართებზე:**

ვაკის გამგეობა — თამარაშვილის ქ. №10ა; **საბურთალოს გამგეობა** — მიცკევიჩის ქ. №29; **მთაწმინდის გამგეობა** — ძმები ზუბალაშვილების ქ. №48; **ჩუღურეთის გამგეობა** — დავით აღმაშენებლის გამზ. №65; **დიდუბის გამგეობა** — რობაქიძის ქ. №2; **ნაძალადევის გამგეობა** — გურამიშვილის გამზ. №16ა; **გლდანის გამგეობა** — სარაჯიშვილის №1გ; **კრწანისის გამგეობა** — გორგასლის ქ. №115; **ისნის გამგეობა** — ნავთლუღის ქ. №8-1; **სამგორის გამგეობა** — მოსკოვის გამზ. №4.

### მინდია ჯანელიძე:

## მტაცებელი ცხოველების მხრიდან მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება

**ამ ეტაპზე მტაცებელი ცხოველების მხრიდან მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება, — განაცხადა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ.**

„გუშინ გავრცელდა ზოოპარკის ადმინისტრაციის ინფორმაცია, რომელიც დღეს გადამოწმდა და დადასტურდა, რომ ყველა ცხოველი, რომლებიც დაიკარგა ზოოპარკის ტერიტორიიდან, ან დაბრუნებულია ზოოპარკის ვოლიერებში, ან წყალშია დამხრჩვალი, ან ლიკვირიდებულია. ასე რომ, მოსახლეობის საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ამ ეტაპზე მტაცებელი ცხოველების მხრიდან მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება“, — განაცხადა ჯანელიძემ.



## სააკაშვილს ოდესელები აუჯანყდნენ

**14 ივნისს ოდესის 1000-ზე მეტმა მცხოვრებმა ხელისუფლების მხრიდან დაწყებული რეპრესიები და ხალხისთვის უეფექტო და დამღუპველი ხელისუფლება გააპროტესტა.**

ოდესელებმა ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე მიხეილ სააკაშვილის დანიშვნა გააპროტესტეს, რადგან მას უცხო ელემენტად მიიჩნევენ მშობლიური ქალაქისა და სრულიად რეგიონისთვის.

აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ ტრანსპარანტი წარწერით: „სააკაშვილი, Go Home“ („სააკაშვილო, წადი შინ!“) და სკანდირებდნენ ლოზუნგს „ფაშიზმი არ გავა!“.

ლიდერმა საზოგადოებრივი მოძრაობისა „ოდესა — პორტო-ფრანკოსთვის“ (თავისუფალი პორტი, სადაც ტვირთის შეტანა-გამოტანა არ იბეგრება) ალექსეი ცვეტკოვმა აქციის მონაწილეების წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა:




**„ჩვენ დაგვინიშნეს გუბერნატორი, რომელსაც საერთოდ არაფერი აკავშირებს ოდესასთან. ოდესელებო, განა ჩვენ შორის არ არიან ღირსეული ადამიანები?!“**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ქვეყნები, სადაც ყველაზე მეტად არ უყვართ აშშ

GALLUP

**საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ამერიკული ინსტიტუტის — გელაპის, აგრეთვე, საერთაშორისო ცენტრ „მერიდიანის“ მიერ 135 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 55% უარყოფითად აფასებს აშშ-ის სწრაფვას მსოფლიო ლიდერობისკენ.** აშშ ყველაზე მეტად არ უყვართ რუსეთში (82%); ამ მხრივ მეორეა პალესტინა (72%), მესამე — ბელარუსი (69%). აღსანიშნავია, რომ ჩამონათვალში იმ ქვეყნებისა, რომელთა მოსახლეობასაც არ უყვარს აშშ, არის ევროკავშირის ორი სახელმწიფო — ავსტრია (55%) და სლოვენია (54%). ზემოაღნიშნულ ქვეყნებს გარდა, ამერიკელებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების ათეულში მოხვდნენ ლიბანი, პაკისტანი, ირანი, ეგვიპტე და ტაჯიკეთი.

# 12 მიზეზი, რომელთა გამოც აშშ-ს არ სურს მის მიერვე გაჩაღებული ომების დასრულება

**„ამერიკის შეერთებული შტატები არ „იგებს“ ომებს, რომლებსაც აწარმოებს, რადგან მისთვის ამ ომებში გამარჯვება მეორეხარისხოვანი ამოცანაა. გამარჯვებას თუ დამარცხებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს — კონფლიქტები, რომლებსაც ვაშინგტონი აღვივებს, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ არის. ომების წარმოებისას კი აშშ იღებს სრულიად განსხვავებულ მოგებას, ვიდრე ეს არის, უბრალოდ, მტერზე გამარჯვება“, — წერს ამერიკული გამოცემა The American Consercative.**



გამოცემამ დაასახელა 12 მიზეზი, რომელთა გამოც გამარჯვება ომებში, რომლებსაც აშშ აწარმოებს, მეორეხარისხოვანი ამოცანაა. პირველ რიგში, ეს ხდება იმიტომ, რომ უცხოეთში გაღვივებული კონფლიქტი გულისხმობს **ბევრი კონტრაქტის გაფორმებას ახალი იარაღის შექმნისა და ძველის სრულყოფის მიზნით.** როგორც გამოცემა აღნიშნავს, „ომის მიმდინარეობისას ვერავინ გაბედავს ეჭვის შეტანას პენტაგონის დანახარჯებში, რომელიც „ამერიკის დაცვისკენ“ იქნება მიმართული.

კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც აშშ ომებს არ იგებს, არის ის, რომ კონფლიქტში მონაწილეობა აჭიანურებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხს — **საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცას სამხედრო საჭიროებებისთვის**, მათ შორის, აშშ-ის საზღვრებს გარეთ.

გარდა ამისა, ომის წარმოება **სახელმწიფოს მეთაურისთვის** უძველესი დროიდან არის პოლიტიკური ქულების ჩაწერისა და მის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარების გადავადების ხერხი.

კონფლიქტების გაჭიანურებით **სამხედრო დაკვეთების შემსრულებლები უზარმაზარ მოგებას ნახულობენ.** ერაყსა და ავღანეთში სამხედრო კამპანიის მიმდინარეობისას გაჩნდა ათასობით სამხედრო კომპანია, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ იარაღისა და ტყვია-წამლის მიწოდებით და კარგი მოგებაც ნახეს. ომი მომგებიანი საქმეა **პოლიტიკოსებისთვისაც**, — აღნიშნავს ჟურნალი. კონგრესმენები ხშირად ჩნდებიან ტელეეკრანზე, მათ გამოსვლებზე მსჯელობენ უბრალო მოქალაქეები, პოლიტიკოსები კი თავს მიიჩნევენ მნიშვნელოვან პერსონებად, რომლებიც პირველი რიგის ამოცანებს წყვეტენ.

მოგებას იღებენ **საკაბელო ტელევიზიებიც — 24 საათის განმავლობაში** აუდიტორია უზრუნველყოფილი ჰყავთ, ომი ხომ საინტერესოა!

კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ამერიკელი სამხედროები არ მიისწრაფვიან მათ მიერვე გაჩაღებულ კონფლიქტებში გამარჯვებისკენ, ეს არის მათი **კარიერა.**

The American Consercative ხაზს უსვამს, რომ აშშ-ის არმიის ოფიცერთა შემადგენლობას მხოლოდ საომარი ამოცანების შესრულების შემდეგ აწინაურებენ, აქედან გამომდინარე, „დაუსრულებელი ომები ბევრ ოფიცერს შესაძლებლობას აძლევს, ბედნიერი ბილეთი შეიძინოს“.

აშშ-ს არ სურს, კონფლიქტებში ცოცხალი ძალის დიდი დანაკარგები ჰქონდეს, ამიტომ იყენებს ბომბებს. **ამერიკელები ბომბავენ ქალაქებს, თუმცა სახმელეთო ჯარების გამოყენება გაცილებით შეამცირებდა მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში.**

დაღუპულთა ნათესავებისა და ახლობლების სახით კი აშშ ახალ მტრებს იძენს. ომი გრძელდება. ამასთანავე, ამერიკელებს არ სურთ, დრო დაკარგონ იმ ხალხების კულტურისა და ტრადიციების შესწავლაზე, რომლებსაც ეომებიან. სწორედ ამიტომ ვერ უმკლავდებიან საქმეს „სპეციალისტები“, რომლებიც კონფლიქტის ქვეყანაში ადმინისტრაციულ პერსონალად რჩებიან ისევე, როგორც ავღანეთში ან ერაყში.

**ამერიკელ კონგრესმენებს** ის უფრო აწუხებთ, როგორ გამოიყურებიან ელექტორატის თვალში, ვიდრე ის, როგორ დაასრულონ ომი. გამოცემას მოჰყავს ირანის მაგალითი, რომლის მიმართაც, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს პოზიციის მიუხედავად, ამერიკულმა პოლიტიკურმა წრეებმა ვერაფრით მოახერხეს შეთანხმება.

**სპეცსამსახურებს** კი, რომელთა შენახვაც მილიარდები ჯდება, აშშ-ის უსაფრთხოების მიმართ მუქარა სჭირდებათ. ამ ამოცანის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება კი დაუსრულებელი ომებია. აშშ-მა ომები რომ მოიგოს, ბევრი დაკარგავდა სამუშაოს.

დასასრულ, ამერიკელებს მოსწონთ ე.წ. **საიდუმლო ოპერაციების** ჩატარება ცრუ დროშით, იმ მიზნით, რომ საზოგადოებრიობა დაარწმუნონ, რომ ამ ოპერაციებს ახორციელებენ სხვა ორგანიზაციები ან სახელმწიფოები.

ამას გარდა, **ბევრ ქვეყანას სურს, თავის მოწინააღმდეგეებს ვაშინგტონის ხელით გაუსწორდეს.**

„საუდის არაბეთს უნდა, რომ ჩვენ გავანადგუროთ ირანი; თურქეთს სურს, თავს დავესხათ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს; ისრაელს სურს, ნაფლეთებად ვაქციოთ ერაყი; ქუვეითელმა შეიხებმა კი მილიარდები გადაიხადეს პიარკამპანიაში, რომლის შედეგადაც აშშ-მა პირველი სამხედრო ოპერაცია დაიწყო ერაყში“, — წერს The American Consercative.

The American Conservative



## პენსილვანიის შტატის მთავარ ექიმად ტრანსსექსუალი დანიშნეს

**პენსილვანიის შტატის სენატმა ერთხმად მოიწონა 57 წლის ექიმის, რეიჩელ ლევაინის, კანდიდატურა შტატის მთავარი ექიმის პოსტზე. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ლევაინი „დაკავშირებულია პედიატრიისა და ფსიქოლოგიის დარგების მოწინავე გამოცდილებასთან“.**

ლევაინი პირველი ტრანსგენდერია, რომელიც პენსილვანიის შტატის ხელმძღვანელ პოსტზე დაინიშნა. მისი ამოცანა იქნება შტატში ჯანმრთელობის დაცვის განვითარება, აგრეთვე, შტატის გუბერნატორ ტომას ვოლფისთვის კონსულტაციების გაწევა.

მთავარმა ექიმმა, რომელიც მოზარდებს გენდერული იდენტობის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს, თავისი სქესის კორექციის პროცესი 2013 წელს დაასრულა. მანამდე ის ცოლიანი მამაკაცი იყო.




## «მჭევრმეტყველ» კლიჩკოს ნობელის პრემიაზე წარდგენა შესთავაზეს

**უკრაინელმა ჟურნალისტებმა წამოაყენეს წინადადება, კიევის მერი ვიტალი კლიჩკო მჭევრმეტყველებისთვის ნობელის პრემიაზე წარადგინონ ან გაგზავნონ ნობელის კომიტეტში, რათა მოიგონოს პრემიების გადაცემის სხვადასხვა ფორმულირება.**

„მოკრივეთა ძველი ანდაზის თანახმად, ზოგჯერ უკეთესია, გასცე, ვიდრე მიიღო. ვიტალი კლიჩკოს მჭევრმეტყველება თავის ადგილს იპოვის სტოკჰოლმში, ნობელის კომიტეტში. ვიტალი შეძლებს, მოძებნოს ფორმულირება, რომლის მიხედვითაც გადაეცემა პრემია, მაგალითად, ლიტერატურაში — ის ზუსტად შეთხზავდა უფრო საინტერესოს, ვიდრე არის „ტანჯული ჰუმანიზმი, ღრმა სიძულვილი და გამჭოლი ეპიკური ძალა“, — წერს უკრაინული ჟურნალი.

ვიტალი კლიჩკომ კიევის მერის თანამდებობაზე ყოფნის მცირე ხნის განმავლობაში სახელი გაითქვა უცნაური და უაზრო გამონათქვამებით. მაგალითად, კლიჩკომ განაცხადა, რომ „დღეს ხვალინდელ დღეს ყველა ვერ შეხედავს, უფრო ზუსტად, შეხედვას შეძლებს არა მხოლოდ ყველა, არამედ ამის გაკეთებას ყველა ვერ შეძლებს!“. კლიჩკოს, აგრეთვე, ეკუთვნის მოწოდება: „კიეველები მიწისთვის უნდა მოემზადონ!“ და ფრაზა: „ყველაზე მთავარი ჯავშანჟილეტი თითოეული თქვენგანისთვის არის დედა, ცოლი, შვილები...“

## გერმანული გამოცემა:

# უკრაინელებს მშვიდობა სურთ, პოროშენკოს კი ომი სჭირდება

Tages-Anzeiger

**პეტრე პოროშენკოს დაპირებას დონბასში კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში სრულიად უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებაზე ძალიან ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს — სახელმწიფოს მეთაურს ქვეყნის სამხედრო რელსებზე გადაყვანა და საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება მოუწევს, ეს კი რეფორმების პროცესისთვის ფატალურ შედეგებს მოიტანს“, — წერს გერმანული ინტერნეტგამოცემა Telepolis-ი სტატიაში „პეტრე პოროშენკოს დიდი დილემა“.**



„თუ ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება, უკრაინის ხელმძღვანელი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მან, ერთი მხრივ, როგორც პრეზიდენტმა, უნდა ჩაახშოს „სეპარატისტების“ აქტიურობა, მეორე მხრივ, იძულებული იქნება, აღიაროს, რომ „საომარი კარტი“ უსარგებლოა და განწირულია დამარცხებისთვის“.

ქვეყნის მოსახლეობა მოუთმენლად ელის საომარი მოქმედებების დასრულებას და ვიდრე ომი გრძელდება, დონბასის რაიონებში უკრაინის ხელისუფლება საბოლოოდ კარგავს მხარდაჭერას. ქვეყნის აღმოსავლეთის მოსახლეობა განსაკუთრებით ნეგატიურად აღიქვამს გადაადგილების რეჟიმის დაწესებას, რომელიც ადამიანებს უკრძალავს სახალხო ლაშქრის კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებში გადაადგილებას. პრობლემას ვერ გადაწყვეტს აშშ-დან თანამედროვე იარაღის შესაძლო მიწოდებაც, რადგან უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ამ იარაღის გამოსაყენებლად კვალიფიკაცია არ ჰყოფნით, თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა სხვაა: **ამერიკული იარაღის მიწოდებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსკოვის ადეკვატური რეაქცია, ეს კი უკრაინის მომავალს კარგს არაფერს უქადის.**

პოროშენკოს სხვა არჩევანი არ აქვს, გარდა იმისა, რომ უარი თქვას ძალის გამოყენების პოლიტიკაზე და კონფლიქტის მოგვარებას დიპლომატიური გზით შეეცადოს“, — წერს გამოცემა.

ტრაგედია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სტიქიური პროცესები ჯერ დამთავრებული არ არის. ფერდობზე რამდენიმე, საკმაოდ მოზრდილი ნაკადული ისევ ჩამოედინება. არის რისკი, განსაკუთრებით, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, უფრო ზევით — ბეთანიისკენ, ანალოგიური მეწყრული მოვლენა რომ განვითარდეს: მიწის დიდი მასა კვლავ შეიძლება მოწყდეს. ამ მონაკვეთზე გზის აღსადგენად სერიოზული საინჟინრო გადაწყვეტილების მიღება იქნება საჭირო“.

# რატომ დაგვხოცე, მიხეილ?!

## ტრაგედია, რომელიც ვილაცის ხუშტურებმა დაგვატეხა თავს

**ვერეს ხეობაში „ჩქაროსნული გზის“ გაყვანის დასრულება თავდაჯერებულმა ამპარტავნობამ ავტორბოლის რომელიღაც ფორმულის ბოლიდით ჩაგრიალებით აღნიშნა.**
**ჩაიგრიალეს.**
**წავიდნენ და დაგვიტოვეს გეოლოგიური კატასტროფის საშიშროების შემცველი დაყოვნებული ნაღმები აქ, თბილისის ცენტრში.**



**„საქართველო და მსოფლიო“ მშენებლობის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე წერდა ამ საფრთხის შესახებ, აქვეყნებდა გამოცდილი პროფესიონალების წერილებს, ინტერვიუებს ცნობილ არქიტექტორებთან, ურბანისტებთან, ეკოლოგებთან, რომლებიც ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ არსებული პროექტით გზის მშენებლობა დაუშვებელი იყო. და, საერთოდ, უმჯობესი იქნებოდა, თუ ვერეს ხეობას ხელს არ ახლებდნენ.**

მაგრამ იმხანად, როგორც ჩვენმა სახელოვანმა არქიტექტორმა და თბილისის დიდმა მოამაგემ **გიგა ბათიაშვილმა** ერთ-ერთ ინტერვიუში პირველად ჩვენთან თქვა, რომ ყველაფერი თბილისშიც და სრულიად საქართველოშიც ვილაცის ხოშით კეთდებოდა.

გუშინ თუ გუშინწინ ვილაცამ ტელეეთერში განაცხადა, რომ გლოვის ამ დღეებში, უკიდურესი დაძაბულობის ჟამს, მომხდარის გამო ვილაცისკენ ხელის გაშვერის დრო არ არის.

კატასტროფა ისეთი მასშტაბურია, მიზეზები ისე ღრმა, რომ ნაჩქარევი განცხადებები პოპულიზმში აითქვიფება.

კი, ბატონო, დავეთანხმოთ.

მაგრამ **გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრს, ამჟამად საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ხელმძღვანელ ნინო ჩხობაძესაც** მოვუსმინოთ: „ჩვენ ვამბობდით და დღესაც ვიმეორებთ, რომ სწორად არ იყო გათვლილი ყველაფერი (ვერეს ხეობაში გზის დაპროექტება-მშენებლობის დროს)... რისკი მოდელირებული უნდა ყოფილიყო, რაც, სამწუხაროდ არ გაკეთებულა... საზოგადოებამ ვერ შევძელით, ბოლომდე გაგვეტანა ჩვენი სიტყვა“.

ჩვენ ვერ შევძელითო.

**ამ პოზიციას, პრინციპში, იზიარებს ბატონი გიგა ბათიაშვილი, თუმცა მცდელობა არ დაუკლია.**

„ცხელ კვალზე“ საუბარში (ის-ის იყო ამოვიდა ვერეს ხეობიდან), მან თქვა:

— პირდაპირ გეტყვით: გზის მშენებლობაც საჭიროა, კაშხლის აგებაც და ნებისმიერი ქალაქის კეთილმოწყობაც, მაგრამ ყველაფერ ამას გამართული პროფესიული მიდგომა სჭირდება. თუ ამ დონეზე არ იქნება გადაწყვეტილი ურბანიზაციის ამოცანები, დაზღვეული არ ვიქნებით უარყოფითი შედეგებისგან, უფრო ზუსტად, უარყოფითი შედეგები აუცილებლად დადგება.

ახლა რაც შეეხება იმ უბედურებას, რომელიც მდინარე ვერეს ხეობაში მოხდა.

ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში იყო მოფიქრებული გზის გაყვანა.

**— ამ გზის?**

— არა! გზის, რომელსაც კლდეების მოჭრით კი არ გაიყვანდნენ, არამედ ესტაკადაზე გაივლიდა, რათა მდინარე ვერე გათავისუფლებულიყო ყოველგვარი წინააღმდეგობისგან, გვირაბების გარეშე უნდა აშენებულიყო გზა.

ხომ ცნობილია, რომ წყალი სტიქიაა. რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას შეუქმნი, რაც უფრო გაურთულებ ბუნებრივ მდინარებას, მით მეტ უბედურებას გადაეყრები.

ამ მომენტისთვის ვიცით, რომ წყნეთის ზემოთ, ბეთანიისკენ მიმავალ გზაზე მთის ფერდობს მოწყდა მიწა და ვერეს ხეობისკენ დაეშვა, შექმნა კაშხალი, დაგუბდა წყალი და როცა დიდი ოდენობით დაგროვდა, გადაევლო ამ კაშხალს, გაგლიჯა, გაარღვია და ეს უზარმაზარი მასა, ძირფესვიანად მოგლეჯილი ხეებით, მორებით, ათასნაირი ნამუსრევით, რაც გზადაგზა წალეკა და გაიყოლა, მიასკდა კატასტროფის ადგილს. **ვერანაირმა გვირაბმა, ვერანაირმა კალაპოტმა, რომლებიც ხელოვნურად შეუქმნეს ვერეს, ვერ გაატარა ეს ღვარცოფი და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო...**





### ჩართვა თემაში

**ნოდარ ჯავახიშვილი, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი, იმყოფებოდა წყნეთის ზემოთ, ბეთანიისკენ მიმავალი გზის იმ მონაკვეთზე, საიდანაც დაიძრა უზარმაზარი მეწყერი:**

**— რა სურათი დაგხვდათ იქ, ბატონო ნოდარ?**

— წყნეთის ზემოთ, სადახლოს გზაზე, დაახლოებით 500 მეტრზე (ზუსტად გაზომვა ამჯერად შეუძლებელი იყო) მთის წვერიდან მოწყვეტილმა მიწის უზარმაზარმა მასამ წაიღო გზა. ახლა აქ ხევია, ხოლო ტყიანი ფერდობის ნაცვლად სალი კლდეა დარჩენილი. მთელი ეს მიწა, ქვაღორღი, ხეები ჩამოიტანა მეწყერმა და, როგორც გეოლოგები ამბობენ, გადაკეტა ვერეს კალაპოტი, დაგუბდა წყლის უდიდესი მასა, რომელმაც გაარღვია ბუნებრივად შექმნილი ჯებირი და ღვარცოფი თბილისისკენ დაიძრა.

ალბათ, **ექსპერტები შეძლებენ, გაარკვიონ, რა ოდენობის წყალი დაგროვდა, როდის გაარღვია ჯებირი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რაიმეს დაბეჯითებით მტკიცება. თუ ისაა მართალი, რასაც მიყვებიან — ასეთ ღვარცოფს ვერანაირი კოლექტორი ვერ გაატარებდა. მაგრამ, თუ წყლის უზარმაზარ მასაზე ლაპარაკი ბლეფია, მაშინ ადიდებული ვერეს წყალი დაუბრკოლებლად უნდა გასულიყო ხელოვნურ ნაგებობებში.**

გეოლოგებმა ვერტმფრენით გადაუფრინეს კატასტროფის ადგილს, მხოლოდ ასე შეიძლებოდა იქაურობის დათვალიერება, მათგან ვიცი, რაც მოხდა. სერიოზული, მეცნიერული შესწავლის პროცესი ჯერ კიდევ წინაა.

მეწყერი როდის დაიძრებოდა, ამის პროგნოზირება, ალბათ, შეუძლებელი იყო.

რაც მოხდა, ვნახეთ და ვიცით. მაგრამ რა მიზეზებმა გამოიწვია, ერთმნიშვნელოვნად ამის თქმა, ჯერჯერობით შეუძლებელია.

**— გზის აღდგენაზე თუ შეიძლება ლაპარაკი?**

— არა. იქ **სტიქიური პროცესები ჯერ დამთავრებული არ არის. ფერდობზე რამდენიმე საკმაოდ მოზრდილი ნაკადული ისევ ჩამოედინება. არის რისკი, განსაკუთრებით, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, უფრო ზევით — ბეთანიისკენ, ანალოგიური მეწყრული მოვლენა რომ განვითარდეს: მიწის დიდი მასა კვლავ შეიძლება მოწყდეს. ამ მონაკვეთზე გზის აღსადგენად სერიოზული საინჟინრო გადაწყვეტილების მიღება იქნება საჭირო,** აქ ან — სხვაგან. კონკრეტულად როგორი იქნება ეს გადაწყვეტილება, ჯერ, რა თქმა უნდა, არ ვიცი.

**ბატონი გიგა განაგრძობს საუბარს:**

— დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე, რასაც ჩვენ მოვესწარით, ორჯერ კატასტროფულად ადიდდა ვერე. მაშინაც დაიტბორა და საგრძნობლად დაზარალდა ზოოპარკი.

გვირაბი, რომელიც თავის დროზე გმირთა მოედნის ქვეშაა გაჭრილი და რომლითაც მდინარე ვერე მტკვარში ჩაედინება, პრობლემის თავი და თავია: არ შეიძლება მდინარის გატარება გვირაბებში. ხეობაში, სადაც ვარაზის ხევი-საბურთალოს გზა გაიყვანეს, კლდეები კი არ უნდა მოეჭრათ, არამედ გზა ესტაკადაზე, ანუ ოჩოფეხებზე უნდა გადაეტარებინათ. ადიდებული წყალი მათ ქვეშ გაივლიდა, იმ კალაპოტით, რომლითაც ჩვენამდე მოაღწია.

ამდენად: **ქალაქისა და ქვეყნის ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების ხუშტურების დონეზე გადაწყვეტა (იძულებული ვარ, გავიმეორო ჩემი ნათქვამი). ამ ხუშტურებმა დედაქალაქი მხოლოდ კულტურულ-მორალური დეგრადაციის მდგომარეობამდე კი არ მიიყვანა, არამედ მორიგი უბედურება დაგვატეხა თავს. სხვაცაა მოსალოდნელი, სამწუხაოდ.**

**— ბატონო გიგა, თქვენ ცხოვრობთ ზოოპარკის თავზე...**

— კი. მგლები ჩემი სახლის წინ დახოცეს.

— თქვენამდე ამოვიდნენ?

— მგლებიც და ტახიც. ტახიც მოკლეს. მთელი ღამე ჩვენი სახლის გარშემო ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული.

ამ დილით გადავხედე ▶





# ტრაგედია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «გვირაბი, რომელიც თავის დროზე გმირთა მოედნის ქვეშაა გაჭრილი და რომლითაც მდინარე ვერე მტკვარში ჩაედინება, პრობლემის თავიდათავია: არ შეიძლება მდინარის გატარება გვირაბებში. ხეობაში, სადაც ვარაზის ხევი-საბურთალოს გზა გაიყვანეს, კლდეები კი არ უნდა მოეჭრათ, არამედ გზა ესტაკადაზე, ანუ ოჩოფეხებზე უნდა გადაეტარებინათ. ადიდებული წყალი მათ ქვეშ გაივლიდა, იმ კალაპოტით, რომლითაც ჩვენამდე მოაღწია»

◀ ვერეს ხეობას. **არნახული კატასტროფაა. უზარმაზარი ზარალი, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურებაა, რომ სტიქიას ადამიანები შეეწირნენ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა გამოვთქვა ღრმა მწუხარება და მივუსამძიმრო მათ ოჯახებსა და ახლობლებს.**

თქვენი გაზეთის გამოსვლის დღისთვის, ალბათ, მეტნაკლები სიზუსტით აღნუსხავენ სტიქიით მიყენებული ზარალის ოდენობას. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რაც გასულ კვირას მოხდა, გაკვეთილი უნდა იყოს ქალაქისა და ქვეყნის მმართველებისთვის. მოგეხსენებათ, რომ ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს. რას აკეთებს სულელი, არც მინდა გავიმეორო.

**— ჩვენი მოწაფეობის პერიოდში აბანოთუბანი რომ დაიტბორა, ის გაკვეთილი ახსოვს ვითომ ვინმეს?**

— იმხანად ხალხი დაიხოცა გოგირდის აბანოებში. **მდინარე დაბახანკა უბანს რომ გადაევლო, შევარდა აბანოებში. ადამიანები გუმბათებს აარა, საიდანაც გამოსასვლელი არ იყო. ჩაიხრჩო ხალხი.**

მხოლოდ ამ კატასტროფის შემდეგ მიხვდნენ, რომ საჭირო იყო მდინარის კალაპოტის გაფართოება, ძველი შენობების დანგრევის ხარჯზე.

ტრაგიკული გაკვეთილი იყო.

მდინარეების — დაბახანკისა და ვერეს სათავეები უშუალო მეზობლები არა, მაგრამ არც ძალიან დაშორებულია ერთმანეთს. ორივე მდინარე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ კი არ მიედინება, არამედ — სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ. როგორც ჩანს, ჰაერის მასების მოძრაობა წვიმის ღრუბლებს პერიოდულად ერთ ზონაში უყრის თავს, რაც სტიქიურ უბედურებას იწვევს ლეღვთახევში და ვერეს ხეობაში. ეს ხომ ცნობილი იყო, მაგრამ ასეთი ისტორიული „წვრილმანები“ ყოფილ ხელმძღვანელებს არ აინტერესებდათ... იმედი ვიქონიოთ, ახლები გაითვალისწინებენ, რომ არ შეიძლება ხეების მოჭრა ხეობაში გზის გაყვანისას და მდინარის მოქცევა ლითონის გვირაბებში!

**— ახლა ისეთი ფაქტის წინაშე დავდექით, როცა ქალაქის მართვის ურმის გადაბრუნების შემდეგ გზა კი არ გამოჩნდა, დაინგრა, აიყარა და წაილეკა. რას ურჩევთ ქალაქის მმართველობას, თავის მერიიანად და საკრებულოიანად?**

— ვურჩევ, მაღალ პროფესიულ დონეზე განიხილონ ყველა პროექტი და გადაწყვეტილება, როცა სერიოზულ საქალაქო სტრუქტურაზე იწყებენ მუშაობას.

### ახირებულების გაყვანილი გზა, რომელმაც კატასტროფამდე მიგვიყვანა

**დასასრულ, თავდაჯერებულ ამპარტავნობას მივუბრუნდეთ, იმას, რითიც დავიწყეთ ეს წერილი და რომლის რუსული შესატყვისი არის ყთსრლუპყივრ — საკუთარ აღმატებულებაში დარწმუნებული სისულელე, თავდაჯერებული სულელი. „დურაკი“ უფრო მოუხდება, ღმერთმანი.**

**არქიტექტორმა ირაკლი მასხარაშვილმა, რომელსაც თავის პროფესიაში 60 წლის გამოცდილება აქვს, სწორედ ამ თვალით შეხედა 2015 წლის 13 ივნისს მომხდარ ტრაგედიას და მას ლიდერის ახირებით გამოწვეული ურბანული კატასტროფა უწოდა.**

— მოვლენების შეფასება ჩვენთან გასართობ საგნად იქცა. არის საკითხები, რომლებსაც მხოლოდ პროფესიონალები უნდა განიხილავდნენ. საჯაროდ გამოტანით მოსახლეობას არ უნდა ვაბნევდეთ.

ამ შემთხვევაში მთავარია იმის გაანალიზება, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო ყოფილმა ხელისუფლებამ, თორემ შემსრულებლები, მოგეცათ ლხენა, ბევრი ჰყავდა. ხოლო ის რისკი, რომლის დაშვებასაც დღევანდელი ხელისუფლება აპირებს, მე მგონი, გაუმართლებელია.

**— რომელ რისკს გულისხმობთ?**

— რისკის იმავე ზონაში მოქალაქეების დაბრუნებას: ვაკე-საბურთალოს სატრანსპორტო მაგისტრალის აღდგენა ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, რადგან არ შეიძლება იმის რაიმე არგუმენტით გამართლება, რომ ხელისუფლებას თავისი მოქალაქეები მუდმივი რისკის ზონაში ჰყავდეს.

**— და ეს ზონა არის ვერეს ხეობა, სადაც ოთხკილომეტრიანი გზა გაიყვანეს?**

— დიახ. ამიტომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ხელისუფლებას, მგონი, პოლიტიკური გადაწყვეტილება აქვს მისაღები.

**— არ უნდა აღდგეს ეს მაგისტრალი?**

— არა. კვლავ დაიხარჯება მილიონები. ეს გზა თითქმის მთლიანად არის განადგურებული, რისკი კი მუდმივად დარჩება.

**— გინდათ, თქვათ, რომ ყოფილმა ხელისუფალმა თავისი გადაწყვეტილებით თბილისის თავზე დაკიდა დამოკლეს მახვილი?**

— სტიქია დაუპირისპირა საკუთარ მოსახლეობას. ახალი აქ არაფერი იყო. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერიდან“ დაწყებული ვიცოდით, რომ მდინარე ვერე დიდი მდინარეა, რომელიც სათავეს იღებს ლასტის ციხესთან და, სანამ მტკვარს შეუერთდება, 33 კილომეტრს გაივლის, უზარმაზარი აუზი აქვს, უამრავი ხევის პატარა მდინარე უერთდება. მარჯვენა ფერდობი მუდმივი მეწყრული ზონაა. მოულოდნელი არაფერი მომხდარა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ვერეს კალაპოტის გადახურვა.

**— მილებში გატარება...**

— დიახ. და ამ კოშმარული მოვლენის თავიდათავი გმირთა მოედანია. ეს ცალკე თემაა.

ჩვენს ახალგაზრდობაში ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“ იბეჭდებოდა რომანი „მაშინა სმერტი“ (სიკვდილის მანქანა), რომლითაც ხდებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა. და როცა სასჯელის ეს უმაღლესი ზომა გაუქმდა, ადამიანი, რომელიც ამ მანქანას ემსახურებოდა, უსაქმოდ დარჩა და ბოლოს ეს კაცი თვითონ დაწვება ამ მანქანაში დამნაშავისთვის განკუთვნილ სარეცელზე.








ნუ დავუბრუნებთ ასეთ მანქანას ქალაქს, ბატონო ჩემო! ნუ დავიჩემებთ, რომ ეს ოთხკილომეტრიანი გზა, რომელშიც, მინიმუმ, ოთხმოცი მილიონი დოლარი ჩაიყარა, ისევ ავამოქმედოთ.

**— დღეისთვის 19 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა სააკაშვილ-უგულავას მიერ აგებულ ამ სიკვდილის მანქანას.**

— ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ფული მილენიუმის მილიარდიანი პროგრამიდან მოგვცეს, თანაც ეს თანხა სასწრაფოდ უნდა დახარჯულიყო... ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გასასტუმრებელია.

**— როგორც ბრძანეთ, ხელისუფალის ახირებამ გადასძალა სპეციალისტების პოზიციას?**

— ჩვენ არა მარტო ვაფრთხილებდით ხელისუფალთ, არამედ ზემოქმედებასაც ვცდილობდით. თბილისელები ვართ და ამ მომენტის გამოყენებაზეც არ გვითქვამს უარი. ჩემს კოლეგებს, ჩემს ნაცნობებს, რომლებიც სააკაშვილთან დაახლოებულები მეგონა, ყველას მივმართე. უგულავასთანაც კი იყო ერთი შეხვედრა, მაგრამ იმას აქეთ არც გამოუხედია — ეს საქმე გადაწყვეტილიაო.

ერთი საინტერესო ტელერეპორტაჟი ვიხილეთ ეკრანზე, როგორ არჩევდნენ გმირთა მოედნის მხატვრულ-სივრცით ღირსებას ძვირადღირებულ მანქანაში მსხდომი სააკაშვილი და უგულავა. სრული პროფანაციის დემონსტრაცია იყო, ისეთი, კინოფილმ „შერეკილებში“ ბიძია-ბაბუა რომ ახასიათებს სიყვარულს, როგორც ვერტიკალურსა და ბრუნვადს...

აი, მაშინ მიხეილ სააკაშვილმა პოზიცია გაიმაგრა სპარსული ანდაზით: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.

ერთ ჩემს წერილში ვწერდი — ქარავანი კი მიდის, მაგრამ ამ ქარავანს ჩემი შვილები, ჩვენი ხალხი რომ არ მიჰყვებოდეს, ჯანდაბამდის გზა ჰქონია-თქო. და, სამწუხაროდ, მივედით კიდეც ჯანდაბამდე, რომელიც 13 ივნისის ღამეს შორს კი არა, აქვე — თბილისში აღმოჩნდა.

**არმაზ სანებლიძე**

## აზერბაიჯანული კომპანია სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს დაეხმარება

ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის განმახორციელებელი კომპანია შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ და მისი გენერალური კონტრაქტორი კომპანია „აზერიოლსერვისი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისში წყალდიდობით გამოწვეული ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და მათ ახლობლებს.

**შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ ორგანიზებით მშენებლობის გენერალური კონტრაქტორი აზერბაიჯანული კომპანია „აზერიოლსერვისი“ 30 000 ლარით დაეხმარება სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს. აღნიშნული თანხა გადაირიცხება ბანკ „რესპუბლიკის“ სპეციალურ ანგარიშზე.**

**ულრმესი მადლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკას და „აზერიოლსერვისს“ თანადგომისა და მხარდაჭერისთვის!**

ექსპერტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყველა რუსული საინფორმაციო საშუალების ახალი ამბები თბილისში დატრიალებული ტრაგედიით იწყებოდა. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ საქართველოს შესთავაზა სამაშველო სამსახურის ასი თანამშრომლის გამოგზავნა. ამას გარდა, მოსკოვის ზოოპარკის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მზად არიან, ცხოველებით შეავსონ ჩვენი ზოოპარკი და, თუ ცხოველებს თავშესაფარი არ აქვთ, დროებით შეიფარონ. ეს ინფორმაცია ჩვენს მასმედიაში უმნიშვნელოდ გაშუქდა, რაც არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის შედეგია“.



# თამარ კიკნაძე: არაპროფესიონალიზმი და დილეტანტიზმი სუფევს ყველა სფეროში...

## სამწუხაროდ, დღეს პროფესიონალებისა და სპეციალისტების დრო არ არის!

**13 ივლისის ღამეს ვერეს ხეობაში დატრიალებულმა უმძიმესმა ტრაგედიამ გასული კვირის ყველა პოლიტიკური მოვლენა გადაფარა. უყურადღებოდ დარჩა აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახლში საქართველოს პრემიერის — ღარიბაშვილისა და რუსეთის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის ერთ მაგიდასთან გაბუტული ჯდომა. პოლიტოლოგების ნაწილმა თქვა, ოკუპანტს ხომ არ დაელაპარაკებოდაო, მეორე ნაწილმა კი — შანსი გაუშვა ხელიდანო... გასული კვირის მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

**— რამდენიმე დღის წინათ დედაქალაქში საშინელი უბედურება დატრიალდა. თქვენ სპეციალისტი არ ხართ, მაგრამ მაინც საინტერესოა თქვენი შეფასება — რამ გამოიწვია ეს ტრაგედია — სტიქიამ თუ დაუდევრობამ?**

— **თავის დროზე, როდესაც ახალი გზა და ესტაკადა შენდებოდა, დიდი დებატები იმართებოდა იმის თაობაზე, თუ რამდენად გამართლებული და უსაფრთხო იყო ასეთი ნაგებობების მშენებლობა, მაგრამ, კარგად მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლებას არავის აზრი არ აინტერესებდა და მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტებით იყო დაკავებული.** მხოლოდ ფასადების შეღებვა და ზედაპირული სამუშაოების შესრულება საქმეს არ შველის. ბოლო ხანს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა დაგვანახვა, რომ წინასწარი გათვლების, ექსპერტიზისა და დაგეგმვის გარეშე არ შეიძლება ტყის გაჩეხვა, კლდის მონგრევა, ჰესების აშენება და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ მძიმე შედეგებს მივიღებთ.

**ბოლო ათწლეულების განმავლობაში არაპროფესიონალიზმი და დილეტანტიზმი სუფევს ყველა სფეროში. შედეგიც შესაბამისია — ჩვენი მოსახლეობის მძიმე ყოფა. სამწუხაროდ, დღეს პროფესიონალებისა და სპეციალისტების დრო არ არის.**

ამ საშინელი ტრაგედიისას ერთი კარგი რამ მაინც მოხდა — ადამიანების კონსოლიდაცია, თანადგომისა და სოლიდარობის გამოხატვა. **ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში თანამემამულეების დასახმარებლად, ქალაქის აღსადგენად და დასასუფთავებლად, რაც იმის დამადასტურებელია, რომ სწორი პოლიტიკისა და მენეჯმენტის შემთხვევაში, ჩვენი მოქალაქეები აქტიურად ჩადგებიან ქვეყნის სამსახურში და მის საკეთილდღეოდ ასეთივე პატრიოტული სულისკვეთებით იღვაწებენ.**

საჭიროა მოტივაცია და სტიმული, სამუშაო ადგილები და ხელსაყრელი პირობები და ჩვენი მოქალაქეები საზღვარგარეთ კი არ წავლენ სარჩოსაბადებლის საძიებლად, არამედ აქ დარჩებიან და დემოგრაფიული სურათიც ასეთი კატასტროფული აღარ იქნება, აღარ იქნება საქართველო ქართველების გარეშე! არადა, მეზობელ სახელმწიფოებში დემოგრაფიული ბუმია. მაგალითად, აზერბაიჯანი ყოველწლიურად 90 ათასით იმატებს, საკმაოდ კარგად აქვს ამ მხრივ საქმე თურქეთსაც.

**— სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ თუ არა სტიქიის გამომწვევი მიზეზები?**

— როდესაც მსხვერპლია, საჭიროა მიზეზების დადგენა. თბილისში სანიაღვრეების

> **«სამწუხაროდ, საქართველოში ანტირუსული ისტერიაა და, პუტინის გვერდით დაჯდომა მაშინვე რომ გახდებოდა ჩვენი მასმედიის განსჯის საგანი, ღარიბაშვილმა, ალბათ, გაითვალისწინა»**

პრობლემაა, უსაფრთხოებას ყურადღება არ ექცევა. წლების განმავლობაში გაიცემოდა ნებართვები მწვანე საფარის განადგურებაზე, კლდეების მონგრევაზე. იპოდრომის ტერიტორია აღარ არის. ყველგან მრავალსართულიანი სახლები შენდება, მაგრამ არ არსებობს შესაბამისი ინფრასრუქტურა, რომლის გამოც მოსახლეობას დისკომფორტი ექმნება.

**წინათ ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა არსებობდა, ტყუილუბრალოდ არაფერი შენდებოდა. დღეს არავინ იცის, რა მასალით, სად და რატომ შენდება ესა თუ ის შენობა. ეს ტრაგედია სერიოზული გაკვეთილი უნდა იყოს ყველა მთავრობისთვის.**

**— თბილისს დახმარების ხელი ბევრმა ქვეყანამ გამოუწოდა...**

— უცხოური საინფორმაციო პროგრამები საკმაოდ აქტიურად აშუქებდნენ თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას, მათ შორის, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებიც. **ყველა რუსული საინფორმაციო საშუალების ახალი ამბები თბილისში დატრიალებული ტრაგედიით იწყებოდა. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ საქართველოს შესთავაზა სამაშველო სამსახურის ასი თანამშრომლის გამოგზავნა.**

> **«წინათ ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა არსებობდა, ტყუილუბრალოდ არაფერი შენდებოდა. დღეს არავინ იცის, რა მასალით, სად და რატომ შენდება ესა თუ ის შენობა. ეს ტრაგედია გაკვეთილი უნდა იყოს ყველა მთავრობისთვის»**

ამას გარდა, მოსკოვის ზოოპარკის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მზად არიან, ცხოველებით შეავსონ ჩვენი ზოოპარკი და, თუ ცხოველებს თავშესაფარი არ აქვთ, დროებით შეიფარონ. **ეს ინფორმაცია ჩვენს მასმედიაში უმნიშვნელოდ გაშუქდა, რაც არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის შედეგია.**

**— ქალბატონო თამარ, აზერბაიჯანში ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის სახლში წვეულება გაიმართა. ამ წვეულებაზე პრემიერი ღარიბაშვილიც იმყოფებოდა და რუსეთის პრეზიდენტი პუტინიც. ოთახში ისინი ერთმანეთს არ მიესალმნენ, უფრო მეტიც, ღარიბაშვილი ორი სკამის გამოტოვებით დაჯდა პუტინისგან. როგორ ფიქრობთ, ასეთ, ასე ვთქვათ, კამერულ გარემოში ღარიბაშვილს პუტინისთვის თუნდაც ორი სიტყვა არ უნდა ეთქვა? ბევრი ამბობს, ეს რომ გაეკეთებინა, ღარიბაშვილი ქვეყანაში ვეღარ დაბრუნდებოდაო...**

— იცით, არსებობს პროტოკოლის სამსახური. ის წყვეტს, ვინ, სად და როგორ უნდა დაჯდეს. შესაბამისად, ალბათ, ღარიბაშვილსაც მიუთითეს, სად დამჯდარიყო.

ბუნებრივია, ღარიბაშვილი ქვეყნის პრემიერმინისტრია და ზრუნავს თავის იმიჯზე; ის ფიქრობს, რა რეაქცია ექნება ერს. **სამწუხაროდ, საქართველოში ანტირუსული ისტერიაა და პუტინის გვერდით დაჯდომა მაშინვე რომ გახდებოდა ჩვენი მასმედიის განსჯის საგანი, ღარიბაშვილმა, ალბათ, გაითვალისწინა.**

**— გაუშვა თუ არა ხელიდან პრემიერმა პუტინთან კომუნიკაციის შანსი?**

— ასეთ შეხვედრაზე დიდი პრობლემები არ წყდება, ეს კომუნიკაციისა და განწყობის გამოხატვის საშუალებაა. ჩემი აზრით, საქართველოსა და რუსეთის უმაღლესი პირები არ არიან მზად უმაღლესი დონის შეხვედრისთვის. ეს შეხვედრა უნდა მომზადდეს. შემთხვევითი არ არის აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატის გაფართოებაზე საუბარი. ასეთი კომუნიკაცია კი, მიუხედავად ყველაფრისა, საჭიროა.

**პუტინი ახლახან იტალიაში იმყოფებოდა და ამ ქვეყნის პრემიერსა და რომის პაპს შეხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირის სახელმწიფოები ინდივიდუალურ რეჟიმში განაგრძობენ რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებებს. მართალია, ამერიკის ელჩი ვატიკანში ამ შეხვედრას დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია, მაგრამ შეხვედრა მაინც შედგა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა იხუმრა კიდეც — გვეგონა, რომის პაპს ინსტრუქციებს ღმერთი აძლევდა და არა ამერიკის ელჩიო...**

რომის პაპი საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა, რაც განპირობებულია ვატიკანის ისტორიული წარსულით, უდიდესი ინფორმაციით, ფინანსური საშუალებებითა და სხვ. დღევანდელი პაპი იეზუიტია, თანაც არგენტინელი, მას ლათინური ამერიკის ქვეყნებში საკმაო გავლენა აქვს, ამიტომ ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

**— ახლახან დაიწყო საუბარი იმაზე, რომ კათოლიკეებმა და მართლმადიდებლებმა აღდგომის დღესასწაული ერთდროულად აღნიშნონ...**

— რომის საპაპო გლობალიზაციის სულიერ ცენტრად განიხილება, აქედან მომდინარეობს მისი ეკუმენისტური ინტერესები. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი პატრიარქი მსოფლიო საეკლესიო კრებიდან გამოვიდა. მართლმადიდებლობა ყველაზე დოგმატური და ღმერთთან ახლო მდგომი რელიგიაა. რუსეთის პატრიარქ კირილისა და რომის პაპის შეხვედრაც არ ხდება. ამ შეხვედრას მართლმდიდებლები არ მიესალმებიან. რაც შეეხება აღდგომის დღესასწაულს, ეს, ალბათ, სრულიად მართლმადიდებლური კრების განხილვის საგანი იქნება, რომელიც 2016 წელს არის დაგეგმილი.

**— რამდენიმე ხნის წინათ საფრანგეთში პროტესტანტულმა ეკლესიამ ჰომოსექსუალებს ჯვრისწერის უფლება მისცა. ამის წინააღმდეგ რუსული ეკლესიის წინამძღვარმა გაილაშქრა და განაცხადა, რომ ფრანგებთან ურთიერთობას გაწყვეტს...**

— პროტესტანტებს ეპისკოპოსებად ქალებიც ჰყავთ. საქართველოშიც გვყავს ასეთი ეპისკოპოსი, რომელიც ძალიან არის შეშფოთებული ჩვენს ქვეყანაში ლგბტ-ების დისკრიმინაციის საკითხით.

**— პარლამენტარმა გუგული მაღრაძემ განაცხადა, 2 ათასი დოლარი არ არის ის თანხა, რომელზეც საჯარო მოხელემ უნდა იმუშაოსო. ამ საკითხზე და დასაქმებაზე ბევრი იმსჯელეს და თქვეს, რომ ჩვენ აღარ ვცხოვრობთ საბჭოთა კავშირში და თავს თვითონ უნდა მივხედოთ. ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც კი არსებობს დასაქმების პრობლემა და დიდი მანიფესტაციებიც ეწყობა ამ მოტივით. იქ რა ხდება — ისინი მაინც ხომ არ არიან „საბჭოთა გადმონაშთები?“**

— მსოფლიოში საკმაოდ რთული ვითარებაა. დასაქმებისა და საშუალო ფენის პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ არის. ამერიკაშიც კი საშუალო ფენის შემცირება საკმაოდ საგრძნობია და სოციალური ნაპრალიც ღრმავდება. კიდევ უფრო იზრდება მდიდართა კაპიტალი, ხოლო მოსახლეობა დღითიდღე ღარიბდება. ეს გლობალიზაციის თანმდევი პოცესია. რამდენიმე ასეული ოჯახი ინაწილებს მსოფლიოს. საქართველოში ქართველის კუთვნილება რა არის, არავინ იცის. მაგალითად, მითხრეს, რომ „საქართველოს ბანკის“ მხოლოდ 7%-ია საქართველოს კუთვნილება. ბანკებისთვის სასათბურე პირობებია შექმნილი. ისინი ფულს, ფაქტობრივად, ჰაერიდან აკეთებენ. ჩვენი მოსახლეობა კი სულ უფრო მეტად ეხვევა ბანკების კაბალაში.

> **«საქართველოში ქართველის კუთვნილება რა არის, არავინ იცის. მაგალითად, მითხრეს, რომ «საქართველოს ბანკის» მხოლოდ 7%-ია საქართველოს კუთვნილება. ბანკებისთვის სასათბურე პირობებია შექმნილი. ისინი ფულს, ფაქტობრივად, ჰაერიდან აკეთებენ. ჩვენი მოსახლეობა კი სულ უფრო მეტად ეხვევა ბანკების კაბალაში»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ბურჯი და შეურყეველი ბასტიონი მართლმადიდებელი რუსეთია. ეს უნდა გვესმოდეს! რუსეთი, რომელსაც სასოებით შესცქერის არა მხოლოდ მართლმადიდებელი საქრისტიანო, არამედ დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც ნეოლიბერალური აგრესიული უმცირესობის დიქტატის ქვეშ ცხოვრობს!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი მოსულა!

**გენიალური დოსტოევსკის სენტენციადქცეული ფრაზის ოდნავ შეცვლილი ვარიანტი ამეკვიატა ამ წერილზე მუშაობისას და ამიტომაც ვარჩიე სათაურად სტატიისა, რომლის დაწერის მიზეზი ქვემოთ მოთხრობილი ამბავია.**



მოსკოვის საპატრიარქომ ყველანაირი კავშირი გაწყვიტა საფრანგეთისა და შოტლანდიის პროტესტანტულ ეკლესიებთან! — ეს ამბავი რუსეთის ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „ვესტის“ მეშვეობით სრულიად შემთხვევით შევიტყვე.

**რატომ და რისთვის მოაწყო მოსკოვის საპატრიარქომ ასეთი დემარში?**

ამას ახლავე მოგახსენებთ და ცხადი გახდება მკითხველისთვის, რატომ „გამორჩათ“ ამ ამბის გაშუქება „რუსთავი 2“-დან, ვიდრე „იმედამდე“ ნეოლიბერალური, ანუ, ქართულ მედიაში დამკვიდრებული ტერმინის მიხედვით, „ლიბერასტული“ იდეოლოგიის მქადაგებელ ტელევიზიებს.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის ერთ-ერთმა იერარქმა, მეუფემ ტელეკორესპონდენტს განუცხადა, რომ ზემოთ ხსენებულ ეკლესიებს ოდესღაც **„ქრისტიანული თემები“ ერქვათო**... კორესპონდენტის შეკითხვაზე — აბა, ახლა რა ჰქვიათო, მეუფის პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო — **ლგბტ!**

თურმე, ნუ იტყვით და, **ზემოხსენებულ პროტესტანტულ „ეკლესიებს“ თავიანთ „წმინდა კრებებზე“ ხმათა დიდი უმრავლესობით დაუკანონებიათ ერთსქესიანი წყვილების კურთხევა მათი ჯვრისწერის სახით და უფრო მეტიც — ამ პროტესტანტულ ეკლესიებში გეიმღვდლებიც აშკარად, სოდომისტური ორიენტაციის გაცხადებით, თანაბარუფლებიანი სტატუსით ეწევიან, ღმერთო შემინდე ეს მკრეხელობა, „ღვთისმსახურებას“... გეი-ხატებიც კი შეუქმნიათ, რომლებზეც თავიანთი მამათმავალი „წმინდანები“ გამოუსახავთ და რომლებზეც მარიამ ღვთიშობელს კი არა, მამა ღმერთს უზის კალთაში ყრმა იესო!**

ღმერთო, კიდევ ერთხელ შემინდე, რომ უნებლიეთ მიწევს იმ სიბინძურეების გამეორება, რომელთა უბრალოდ ნახვა-გაგონებაც კი სულის წაწყმედაა მორწმუნე ადამიანისთვის...

იქვე, ტელესიუჟეტის მომდევნო კადრებში პირველი „ახალჯვარდაწერილი“ ბედნიერი ერთსქესიანი წყვილის „ზასაობაც“ ვიხილეთ, რაც უნდა იყოს, ოდესღაც ქრისტიანულ ტაძარში.

დიახ, რაც უნდა იყოს, რადგანაც, **მიუხედავად მართლმადიდებელ და კათოლიკურ, მით უმეტეს, პროტესტანტულ სარწმუნოებებს შორის განსხვავებებისა, მთავარში ყველა ქრისტიანული და, საერთოდ, ყველა ტრადიციული რელიგიური კონფესია თანხმდება. და ეს მთავარი არის ის, რომ მამაზეციერმა შექმნა ადამი და ევა და არა ადამი და ადამი ან ევა და ევა!..**

აუცილებლად ხაზგასასმელია ისიც, როგორი დამცინავი ღიმილი დასთამაშებდათ სახეზე „ღვთითკურთხეულ“ ერთსქესიან წყვილებს — თითქოს გვეუბნებოდნენ: აი, ხომ მივაღწიეთ საწადელს — ეკლესიაში შევაღწიეთ, მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ პროტესტანტულში, მაგრამ...

ეს **მაგრამ** და **ჯეჯერობით** ერთმა პროტესტანტმა პადრემ ასე განმარტა: ღვთის შექმნილები არიან პედერასტებიც და ამიტომ მათაც ეკუთვნით ადგილი ეკლესიის წიაღშიო; პროტესტანტიზმი იყოო ყოველთვის რეფორმატორობის ავანგარდში და მალე კათოლიკური ეკლესიაც, ანუ ვატიკანიც იძულებული შეიქნება, იგივე აღიაროს, რადგან სხვა არჩევანი არ ექნებათო.

ვატიკანის მიმართ, ალბათ, მართალნი არიან პროტესტანტები — პედოფილიის სკანდალებით მოცულ ვატიკანს მალე, ალბათ, მართლაც აღარ ექნება სხვა არჩევანი და ისიც დაჰყვება ნეოლიბერალურ დოქტრინას, თანაც პროტესტანტიზმი ხომ გარკვეულწილად კათოლიციზმის განშტოებაა.

პირველი „რეფორმატორები“ კი იმხანად განუყოფელი და ყველა ქრისტიანის გამაერთიანებელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა სწორედ კათოლიკენი იყვნენ და პირველნი სწორედ ისინი გამოეყვნენ ერთიან ქრისტიანულ რელიგიას.

**პროტესტანტულ «ეკლესიებს» თავიანთ «წმინდა კრებებზე» ხმათა დიდი უმრავლესობით დაუკანონებიათ ერთსქესიანი წყვილების კურთხევა მათი ჯვრისწერის სახით და უფრო მეტიც — ამ პროტესტანტულ ეკლესიებში გეიმღვდლებიც აშკარად, სოდომისტური ორიენტაციის გაცხადებით, თანაბარუფლებიანი სტატუსით ეწევიან, ღმერთო შემინდე ეს მკრეხელობა, «ღვთისმსახურებას»... გეიხატებიც კი შეუქმნიათ, რომლებზეც თავიანთი პედერასტი «წმინდანები» გამოუსახავთ და რომლებზეც, მარიამ ღვთიშობელს კი არა, მამა ღმერთს უზის კალთაში ყრმა იესო!**

**„რეფორმატორ“ კათოლიკეთა წიაღში იშვნენ კიდევ უფრო რადიკალი „რეფორმატორები“ პროტესტანტების სახით და სწორედ მათთან ბრძოლისთვის შეიქმნა ე.წ. წმინდა ინკვიზიცია და მაშინ, როდესაც ქართველი კაცი „ვეფხისტყაოსანს“ წერდა, „შენ ხარ ვენახი“-ო, — გალობდა და „ჩაკრულოს“ მღეროდა, „განათლებული ევროპა“ ადამიანების ხორცით აბრიალებული კოცონებით იყო მოცული!**

ახლა მავანი, ალბათ, იკითხავს: მერე ჩვენ რა?

თავშიც ქვა უხლიათ ფრანგ და შოტლანდიელ პროტესტანტებსო და, ერთი შეხედვით, მართალნიც იქნებიან, მაგრამ, თუ გავიხსენებთ 21-ე საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პროცესებს, დავინახავთ, რომ დასამშვიდებლად ნამდვილად არ გვაქვს საქმე, რადგან მსოფლიო პედერასტიზაციის სათავეში, არც მეტი, არც ნაკლები, აშშ და მისი სატელიტი დასავლეთი ევროპა დგანან!

აშშ, რომელიც ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა, და ევროპა, რომლისკენაც ვითომ მივდივართ და, როგორ გგონიათ, **ლგბტ, რომელიც მუმლივით მოდებულია დასავლეთში, უკვე პროტესტანტულ ეკლესიაშიც შეუღწევია და, დაწმუნებული ბრძანდებოდეთ, მალე ვატიკანიც მსგავს ნოტებზე ამღერდება, ჩვენ, ქართველებს არ შეგვეხება?**

**შეგვეხება და თანაც ისე, რომ ვერც ნატოში შევალთ და ვერც ევროკავშირში, რომლის კარიც კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) ცხვირწინ მოგვიხურ-მოგვიჯახუნეს რიგის სამიტზე სამათხოვროდ მისულ ქართველებს!**

მიუხედავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მუდარისა, ჩვენი დასაკლავი დანა ხომ თავადვე გავლესეთ ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით!

მაშ, სად არის ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი, არამედ სრულიად ქრისტიანული ცივილიზაციის ხსნა?

დღეს, უზნეობა ებრძვის ზნეობას, ულმერთობა — ღმერთს და ა.შ.

ამ ყველაფრის სადარაჯოზე მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია დგას, რომელიც ყელში ძვალივით გასჩხერიათ თანამედროვე ნეოლიბერალებს.

**მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ბურჯი, შეურყეველი ბასტიონი კი მართლმადიდებელი რუსეთია და ეს უნდა გვესმოდეს! რუსეთი, რომელსაც სასოებით შესცქერის არა მხოლოდ მართლმადიდებელი საქრისტიანო, არამედ დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც ნეოლიბერალური აგრესიული უმცირესობის დიქტატის ქვეშ ცხოვრობს!**

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ვინ დაიწყო მსოფლიოს ლგბტ-ზაცია, რომელიც თითქმის შეუქცევადი ჩანს:

ჯერ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ქალბატონმა **ჰილარი კლინტონმა** გამოაცხადა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ე.წ. სექსუმცირესობების უფლებების დაცვა მსოფლიოში; ამას **ბარაკ ჰუსეინ ობამას** განცხადება მოჰყვა იმის თაობაზე, რომ ამერიკა იმ ქვეყნებს არ დაეხმარება ფინანსურ-პოლიტიკურად, რომლებიც ლგბტ თემს არ აჯეჯილებენ; ახლახან კი ბარაკ ობამამ კონგრესის წინაშე ანგარიშგებისას თავისი პრეზიდენტობის მთავარ მიღწევად ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება დაასახელა (ობამას მართლაც საამაყოდ აქვს საქმე — მისი პრეზიდენტობის დასაწყისში აშშ-ის მხოლოდ 4-5 შტატში იყო დაშვებული მსგავსი „პროგრესი“; ახლა კი, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის წინ, იმ შტატთა რაოდენობა, რომლებშიც ერთსქესიანი ქორწინებებია დაკანონებული, 30-ზე მეტია).

დღეს „ნაცებ-ქოცების“ პოლიტელიტის წარმომადგენლები, ვისაც არ ეზარება, ყველა საქართველოს წინაშე არსებულ ე.წ. გამოწვევებზე საუბრობს. ამ გამოწვევებში კი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი იგულისხმება!

ჩემი აჯამი ჭკუით კი, როგორც ქიზიყში იტყოდნენ, მთავარი გამოწვევა სწორედ ზემოაღნიშნული მგონია იმიტომ, რომ დაკარგულ ტერიტორიებს, როცა იქნება, დავიბრუნებთ, მაგრამ, თუ ზნეობა დავკარგეთ ქართველებმა, ვერასოდეს დავიბრუნებთ!

ამიტომ, ვიდრე გვეყოლება ისეთი ხელისუფლება, რომელიც პრაგმატულ პოლიტიკას გაატარებს რუსეთის მიმართ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ტრაქტატის მსგავსი შეთანხმება უნდა გააფორმოს რუსეთის ერთმორწმუნე ეკლესიასთან, რათა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე (ეს რუსეთის გარეშე რომ შეუძლებელია, სადავო, ალბათ, არ არის) ლგბტ-ზაციის აშკარა საფრთხეს ერთად დავუპირისპირდეთ რუსები და ქართველები!

ეგეც არ იყოს, რომელი სჯობს — ევროპაში ამერიკის თამადობით ჩისბურგერ-ჰამბურგერებით გაწყობილი სუფრა, სადაც ქართველებს მხოლოდ მიმტან-მომტანებად გაგვამწესებენ, თუ ევრაზიულ კავშირში ზუთხი-ხიზილალით გაწყობილი, სადაც საქართველოს თამადად ელიან... ჯერ კიდევ ელიან!

**დავით მხეიძე**

## გიგა ბათიაშვილი: გმირთა მოედანზე ესტაკადა აუცილებლად უნდა მოიშალოს

**არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა განაცხადა, რომ გმირთა მოედნისა და ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზა თბილისს აუცილებლად სჭირდება, ხოლო გმირთა მოედანზე აგებული ესტაკადა სრული კატასტროფაა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოიშალოს.**

„თბილისში კატასტროფული ვითარებაა. არ გვაქვს გზები, გვჭირდება გზები, მაგრამ საკითხავია, როგორი. ესტაკადა საერთოდ კატასტროფაა, ამით გვინდოდა მსოფლიოსთვის დაგვენახვებინა, რომ მოწინავე ქვეყანა ვართ, მაგრამ მივიღეთ ტრაგედია. ესტაკადა უნდა მოიშალოს“, — განაცხადა გიგა ბათიაშვილმა.

მისი თქმით, ახალი გზა ხიმინჯებზე უნდა მდგარიყო, გარდა ამისა, დაუშვებელია 3 კილომეტრის სიგრძის გზა ჩქაროსნული იყოს. საფრთხეს წარმოადგენს გვირაბიც, რომელიც შლად კლდეშია გაყვანილი.

გიგა ბათიაშვილის აზრით, გმირათა მოედანზე ესტაკადის აგების ნაცვლად მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე უნდა დაწესდეს ცალმხრივი მოძრაობა, ხოლო მათ დასაკავშირებლად დამატებითი ხიდები აშენდეს, პირველი ხიდი კი უნდა განთავსდეს სატივეზე — „ლაგუნა ვერეს“ პირდაპირ.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც საუბარია „ჩინოვნიკების“ ხელფასებზე, „პრემიებზე“, „უმუშევრობაზე“, „ნაცებიცა“ და „ქოცებიც“ ორ ხმაში შეწყობით იწყებენ ხოლმე მღერას... ჩვენ კი ვეუბნებით, რომ მათი „მღერა“ არ არის სრულყოფილი, რადგან სიმღერა რომ გამართულად ჟღერდეს, მთავრობისა და ოპოზიციის ხმებს აუცილებლად უნდა ერთვოდეს უნისონში მესამე ხმა — ხალხის!**

## რედაქციისგან:

12 ივნისს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „რეაქციის“ სტუდიაში გადაცემის სტუმრებს შორის კამათი სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. კონფლიქტი მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი პროფესორის — თამარ ბელქანიასა და ჟურნალისტ ბაკურ სვანიძის დებატს უმუშევრობის საკითხზე, როდესაც ბელქანიამ განაცხადა, რომ სამსახურის დაკარგვის შედეგ სამი სალექციო კურსი გააკეთა, სამი საავტორო ტელეგადაცემა მოიფიქრა და დღეს ოთხი სამსახური აქვს.

„არ გრცხვენია?! შენ გაქვს ოთხი სამსახური?! გენიოსი ხარ, ბრავო! ამ დებილებში შენ გენიოსი ხარ. გუგულიზე უარესი ხარ. ჩვენ ვერ მოვიფიქრეთ, დებილები ვართ. სამსახური რომ დავკარგე, მუთაქა ვიყიდე, დავიდე თავქვეშ და დავწექი. მე სატელევიზიო გადაცემა ვერ მოვიფიქრე. ირმა სოხაძით დაწყებული, ეკა კვალიაშვილით დამთავრებული ყველას გვათახსირებ. ვიღაც „გკრიშავს“ და იშოვე ეს სამსახურები“, — მიმართა ბაკურ სვანიძემ თამარ ბელქანიას და პროტესტის ნიშნად სტუდია დატოვა.

გთავაზობთ ბაკურ სვანიძის წერილს „რეაქციის“ ეთერში მომხდარ დაპირისპირებაზე.



# ჩემი რეაქცია მათ უტიფრობაზე

# ვანო მერაბიშვილის ყოფილი «ფანატკა» და გიული ალასანიას ყოფილი დაქალი არ არსებობს!

**ამდენ ხანს რედაქციისთვის მასალის მიწოდება ჯერ არასოდეს დამიგვიანებია. ვეღარც ვითვლი, ჩემს მობილურსა თუ „ფეისბუქზე“ რამდენი ასეული პირადი შეტყობინებაა მოსული, ჩემს „კედელზე“ დატოვებული საჯარო „პოსტები“ — კიდევ ცალკე.**

ტელეკომპანია „იმედის“ შენობიდან აფექტურ მდგომარეობაში გამოსული, რა თქმა უნდა, ველოდი, რომ ცოტა არ იქნებოდა ისეთი ადამიანი, რომლებსაც მოეწონებოდა ჩემი შელაპარაკება „პატივცემულ პროფესორთან“, მაგრამ იმას, რაც ამ დღეებში ხდება, ნამდვილად არ მოველოდი.

ერთადერთ რამეზე ვფიქრობ: ნეტავ, მართლა რომელი სჯობს — იყო ისეთი უტიფარი და უზრუნველყოფილი, როგორიც პატ. პროფესორი ქალბატონ-ბატონი და პატ. პარლამენტარი ბრძანდებიან, თუ გქონდეს შანსი, შენ მიმართ ამდენი ადამიანის ასეთი სიყვარულით, სითბოთი და „რაღაც სხვა“ აუხსნელი გრძნობით გაჯერებული სიტყვები ცხოვრებაში ერთხელ მაინც წაიკითხო?!

**„ყველა თავის გზას თვითონ ირჩევს“ — ეს სიტყვები მომწერა პროფ. ბელქანიას მხარდამჭერმა ერთმა უტიფარმა და ვეთანხმები. მე ავირჩიე ჩემი გზა და ამას ქართველ ხალხს არც ვაყვედრი, განსხვავებით სტრასბურგიდან „ქვეყნის სიყვარულის გამო გამოქცეული“ ზოგიერთი მინისტრისგან, რომელსაც, თურმე, თვეში 10-ათასლარიანი ანაზღაურება თუ არ მისცა სამშობლომ, „ქვეყნის სიყვარული“ გაუქრება და უკან, სტრასბურგში გაიქცევა...**

საზოგადოდ, ძალიან შესამჩნევი და საინტერესო ტენდენციაა, რომ „ჩინოვნიკების“ მაღალი ანაზღაურება, მათი პრემიები და უმუშევრობა — ეს ის სამი საკითხია, რომლებზეც „ქოცები“ და „ნაცები“ ორ ხმაში შეწყობილად მღერიან!

არც ადარდებთ, რომ „მესამე ხმა“ აკლიათ და სიმღერა სრულყოფილი არ გამოსდით. რაც უნდა მიუთითოს ხალხმა, — უნიჭოდ მღერიხართო, მაინც თავისას მიერეკებიან.

სწორედ ამის მაგალითი იყო „რეაქციის“ სტუდიაში პირწავარდნილი „ნაცის“ — თამარ ბელაქნიასა და პარლამენტარი „ქოცის“ — გუგული მაღრაძის ორ ხმაში „გალობა“, რომ თურმე სახელმწიფო არაფერ შუაშია და უბრალო ადამიანებმა თვითონვე უნდა მიხედონ საკუთარ თავს, ხოლო იმ სახელმწიფოს იმ ჩიონოვნიკებმა, რომლებსაც, პროფესორისა და პარლამენტარის აზრით, თურმე არც არაფერი ევალებათ, ხელფასი მაინც 2 ათასი დოლარის ეკვივალენტის უნდა აილონ თვეში!

ნურც შეეცდებით ამ ორი ქალბატონის „ლოგიკაში“ გაერკვეთ!

პრინციპში, ვერც პატივცემული პროფესორის — **ოთარ აბესაძის** რახარუხის მოსმენა მოგცემთ რამეს, რადგან ამას ვერაფრით დაარქმევს კაცი საუბარს. ეს ადამიანი ტერმინოლოგიითა და ციფრებით გაჯერებულ იმისთანა კორიანტელს აყენებს, თვითონაც უჭირს ხოლმე იქიდან გზის გამოკვლევა და ბოლოს, ერთადერთი რაც შეუძლია, არის ის, რომ ტრაბახით დაასრულოს — „დაესწარით ჩემს ლექციებს და იქ ნახავთ, რა ბიჭიცა ვარ!“

**„ლექციებით მარიაჟობა“, როგორც ჩანს, დღევანდელ საქართველოში ძალიან მოდურია. ეს უბედურება მას შემდეგ დაგვემართა, რაც საააკაშვილმა უნივერსიტეტიდან ღვაწლმოსილი და ნამდვილი პროფესორები კორუფციაში „კოლექტიური ბრალდებით“ უმოწყალოდ „ჩარეცხა“ და მათ ადგილზე ბელქანია-აბესაძის მსგავსი უნახავი ღლაპები შერეკა.**

აი, სწორედ ამ „შერეკილებს“ მიჰყავთ დღეს „პარადი“ და თავიანთი „სილაბუსებით“ ისე „გვემარიაჟებიან“, გეგონება, მათ მეტს არავის შეეძლოს სალექციო კურსის შედგენა...

ალბათ, ბევრი მიაქცევდა ყურადღებას როგორი „შთამბეჭდავი“ სახით ჰკითხა თავხედმა ბელქანიამ მართლა ღვაწლმოსილ პროფესორ **გოგი გოგოლაშვილს:** „თქვენ როდის განაახლეთ თქვენი სილაბუსი?“ და ამ, მისი ჭკუით, მაყურებელზე ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი ფრაზის შემდეგ, აღარც დალოდებია პასუხს, მოტრიალდა და მაყურებელს „ჭკვიანი სიფათით“ დაუწყო ახსნა, რა არის „სილაბუსი“...

**სასაცილოა, მსგავსი „ხამებისა“ და უნახავების საკუთარი „პროფესორობით“ „მომარიაჟე“ სიფათების ცქერა, ეს შენს სამშობლოს, შენს ქვეყანასა და შენს მართლაც უსამართლოდ დაჩაგრულ უბრალო ხალხს რომ არ ეხებოდეს!**

და გაუთავებელი ტრაბახი! ტრაბახი! ტრაბახი!

**„თოქშოუშიც“ კი ეს ადამიანები იმისთვის კი არ მიდიან, რომ პრობლემა განიხილონ, არამედ იმისთვის, რომ „უბრალო მოკვდავებზე“ თავიანთი უპირატესობა წარმოაჩინონ და ხალხი დაარწმუნონ — „აი, მე ასეთი აღმატებული და ჭკვიანი ვარ, თქვენ კი — ჩამორჩენილები, უმაქნისები და ზარმაცები! ამიტომაც მე მაქვს სამსახური, თქვენ კი — არა“.**

დასკნა?

ერთადერთი — **ვანო მერაბიშვილის ყოფილი „ფანატკა“ და გიული ალასანიას ყოფილი დაქალი არ არსებობს!**

ისინი განა ცხოვრების კონკრეტულ ეტაპზე და გარკვეული გარემოებებით იყვნენ დაკავშირებული ამ პერსონებთან, არა — „ვანო მერაბიშვილის „ფანატკა“ და „გიული ალასანიას დაქალი“ — ეს სულიერი მდგომარეობებია და... სამუდამოა!

შესაძლოა, „ვანო მერაბიშვილი“ და „გიული ალასანია“ სხვა სახელებითა და გვარებით შეიცვალოს მხოლოდ! ამათი უტიფარი სულიერი მდგომარეობა კი იგივე დარჩება და მიზნად ისახავს, ყველგან, ყოველთვის, ყველა ხერხით გამოხატოს საკუთარი „ამაღლებულობა“ ჩვეულებრივ „მოკვდავებზე“! სხვა მიზანი და საზრუნავი მათ არ აქვთ!

რა შუაშია ვანო მერაბიშვილი და გიული ალასანია?

**გუგული მაღრაძის დაქალობა ყოფილი პრეზიდენტის დედასთან, არახალია!**

რაც შეეხება მერაბიშვილს, როგორც კი გადაცემა „რეაქცია“ დასრულდა, ჩემი პრივატული ინტერნეტსივრცე აიკლო თამარ ბელქანიას „გმირული“ საქციელების შესახებ მოყოლის მსურველთა ჯარმა!

მის მიერ საჯაროდ „ნამარიაჟების“, — მე ვანო მერაბიშვილი მკრიშავსო! — საკუთარი ყურით გამგონეთა რაოდენობა არ არის ცოტა...

თუმცა, ვინაიდან ჩემი სამუშაო ჟანრი პუბლიცისტიკაა და არა საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ყველა ეს წყარო შესაბამის ჟანრში მომუშავე კოლეგებს გადავულოცე და ისინი, ალბათ, მიაწვდიან მკითხველს პირუთვნელ ფაქტებსა და ინფორმაციას.

ჩვენ, მოდი, ისევ იმ ზოგად ტენდენციებს მივუბრუნეთ, თუ რა „კლიშეების“ დამკვიდრებას ცდილობენ ასეთი უტიფარი ადამიანები საქართველოში?!

**მთავარია იმ აზრის დამკვიდრება, რომ რაღაცით სხვებზე გამორჩეულები არიან და ამიტომ უნდა ჰქონდეთ „შესაბამისი“ ანაზღაურება. აი, ეს სიტყვა — „შესაბამისი“ ძალიან აქტიურად გამოიყენება, თუმცა ჯერაც ვერავინ გაარკვია, რა მეთოდით ითვლება „შესაბამისის“ რაოდენობა და რატომ არის ის მაინცდამაინც 5 ათასამდე ლარი?!**

უკვე ძალიან მოდურია საკუთარი უტიფრობის მედიისთვის გადაბრალება სიტყვებით — „კონტექსტი“ და „ინტერპრეტაცია“.

არ ვცდილობ, დავამტკიცო მედიის უცოდველობა, მაგრამ ის „ნომერი“, რომელიც გუგული მაღრაძემ „რეაქციაში“ ჩაატარა, მართლაც კომიკური იყო.

**„ჩემი ფრაზა დაამახინჯა მედიამ და სხვა კონტექსტში გააშუქა, სხვა ინტერპრეტაცია მისცა“, — წარმოთქვა „ბრძნული“ გამომეტყველების მიღების უშედეგო მცდელობის შემდეგ გიულის დაქალმა და „მედიის მიერ დამახინჯებული“ საკუთარი ნათქვამის „სწორი განმარტებისას“ ათჯერ უფრო გამაღიზიანებელი და მიუღებელი აზრები აფრქვია!**

საბოლოო ჯამში, გუგული მაღრაძემ „რექციაშიც“ გაიმეორა, რომ „ნორმალური და პროფესიონალი საჯარო მოხელე 2 ათას დოლარზე ნაკლებად საჯარო სამსახურში არ გაჩერდება“ და, თურ-

▶

## ფარული ჩანაწერების სკანდალი — პოლონეთში სამმა მინისტრმა და პარლამენტის სპიკერმა თანამდებობები დატოვეს

**„პოლიტიკური მიწისძვრა“ პოლონეთში, — ასე ასათაურებენ პოლონური გამოცემები აგორებულ პოლიტიკურ სკანდალს, რომლის მთავარი ფიგურანტები მაღალი თანამდებობის პირები არიან.**

ცნობილი ბიზნესმენისა და ბლოგერის, ზბიგნევ სტონოგას მიერ სოციალურ ქსელებში პროკურატურის საიდუმლო მასალების გამოქვეყნებამ პოლონეთის სახელისუფლო ვერტიკალის რყევა გამოიწვია. ფარული ჩანაწერების მიხედვით, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები არაოფიციალურ გარემოში ევროპელ პოლიტიკოსებსა და პოლონეთ-ამერიკის ურთიერთობებს მკაცრად აკრიტიკებენ.

ფარული ჩანაწერების სკანდალის გამო, პოლონეთში მაღალჩინოსნები პოსტებს ტოვებენ. თანამდებობიდან გადადგნენ ჯანდაცვის, ფინანსთა და სპორტის მინისტრები მოადგილეებთან ერთად, ასევე საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის სპიკერი და პრემიერმინისტრის მთავარი მრჩეველი. თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადა სეიმის სპიკერმა, რადოსლავ სიკორსკიმაც. პოლონეთის პრემიერმინისტრმა ევა კოპაჩმა სამი მინისტრის თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებები უკვე დააკმაყოფილა.



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცნება სახელმწიფოს ასეთი გაგება რომელმა „პროფესორმა“ ასწავლა ბელქანიას — პროფ. თეა თუთბერიძემ თუ პროფ. ვანო მერაბიშვილმა, ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, ასე მოაზროვნე ადამიანი, პროფესორი კი არა, ბატების მწყემსიც კი არ უნდა იყოს!

**ლექციებით «მარიაჟობა», როგორც ჩანს, დღევანდელ საქართველოში ძალიან მოდურია. ეს უბედურება მას შემდეგ დაგვემართა, როცა სააკაშვილმა უნივერსიტეტიდან ღვაწლმოსილი და ნამდვილი პროფესორები კორუფციაში «კოლექტიური ბრალდებით» უმოწყალოდ «ჩარეცხა» და მათ ადგილზე ბელქანია-აბესაძის მსგავსი უნახავი ღლაპები შერეკა. აი, სწორედ ამ «შერეკილებს» მიჰყავთ დღეს «პარადი» და თავიანთი «სილაბუსებით» ისე «გვემარიაჟებიან», გეგონება, მათ მეტს არავის შეეძლოს სალექციო კურსის შედგენა...**







◀მე, ქვეყანაში ისე ყოფილა კერძო სექტორი აყვავებული და გაფურჩქნული, რომ სულ ტაციაობაა „პროფესიონალ კადრებზე“.

ანუ, თუკი ჩვენ ისეთი პროფესიონალი, როგორიც, მაგალითად, გუგულის სიძეა, საჯარო სექტორში „შესაბამისი“ ანაზღაურებით არ დავაკმაყოფილეთ, იმწამსვე მოგვტაცებს ერთ-ერთი იმ ფაბრიკა-ქარხანა-საწარმოებიდან, რომლებიც ასობით და ათასობით ბოლავს და ხრჩოლავს საქართველოში და უკვე იმდენია, რომ სუნთქვაც ჭირს და, გუგულისნაირი „მოღვაწე“ რომ მოისროლო, ასეთ ფაბრიკა-ქარხანას დაეცემა მხრჩოლავ „ტრუბაზე“!

თუმცა, რა გინდა, რომ ქნა? **„თევზი თავიდან ყროლდებაო“, — გსმენიათ, ალბათ, და სადაც „ოცნების“ კერპი ბიძინა ივანიშვილი იმავეს გიაძახის თავის გადაცემა „20/30“-ში — „5 ათასი ლარი — ეს ის მინიმუმია, რა ანაზღაურებაზეც დღეს საქართველოში შეიძლება საჯარო მოხელემ იმუშაოსო“ — გუგულისნაირებს რაღა უნდა უთხრა?!**

როგორც ჩანს, ივანიშვილს მძიმე გოიმიზმი უტევს და მას, ქართული რეალობიდან ძალიან შორს გასულს, იოლად არწმუნებენ, რომ გუგულის სიძის მსგავსი „პროფესიონალები“ ქვეყანაში არ არიან!

სწორედ ბიძინას წინაშე კეკლუცისა და მისი ამ იდიოტობებში დარწმუნების „პოდიუმის“ როლს ასრულებენ ხოლმე სხვადასხვა „ტელეშოუები“ და ბელქანია-მაღრაძის ტანდემის მსგავსი ადამიანები გამალებით ირწმუნებიან, რომ ძალიან გამოირჩევიან „უბრალო მოკვდავთაგან“.

**სწორედ ამის შედეგია, ალბათ, რომ ივანიშვილის არჩევანი ამა თუ იმ სფეროში, ძირითადად, ან ყოფილ, ან მოქმედ „ნაცზე“ შეჩერდება ხოლმე და ისინიც — სულით „მერაბიშვილის ფანატები“ და სულით „გიულის დაქალები“ — საკუთარი კეთლდღეობის ხიბლით, უარს არ ამბობენ „გაქოცებაზე“.**

სხვათა შორის, არც „ნაცების“ რეჟიმთან მებრძოლების იმიჯის მქონენი იხევენ უკან უტიფრიობაზე. მაგალითად, დევნილთა მინისტრის პირველი მოადგილე **დავით ფაცაცია** ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში ზუსტად ანალოგიურ სისულელეს ლაპარაკობდა, რასაც გუგული მაღრაძე.

მან „სხვა კონტექსტითა“ და „ინტერპრეტაციით“ ახსნა მედიის მიერ გავრცელებული „დამახინჯებული“ ინფორმაცია და „განმარტა“, რას გულისხმობდა „სინამდვილეში“ ქალბატონი გუგული... ამ „განმარტებაში“ არაფერი ყოფილა ისეთი, რაც განსხვავდებოდა მედიის მიერ მანამდე გავრცელებული ინფორმაციისგან!

მართლაც ვერაფრით გავიგე, რა „განმარტა“ ან გუგული მაღრაძემ, ან დათო ფაცაციამ, რადგან მათ ისევ და ისევ გამოხატეს თვალსაზრისი, რომ მუქთახორა „ჩინოვნიკები“ (სავარაუდოდ, მათივე თამადობით) საკუთარი თავისთვის „შესაბამის“ ანაზღაურებად რატომღაც 2 ათას დოლარს (5 ათას ლარამდე) მიიჩნევენ! სხვა შემთხვევაში კი, ისინი სამსახურში „არგაჩერებით“ გვემუქრებიან და, ამ მუქთახორა ღორებმა მართლაც რომ აღასრულონ ეს მუქარა, ხომ დავიღუპეთ!

როგორც ჩანს, მათი „ბრძოლა ნაცრეჟიმთან“ მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ მიშამ იმდენი არ აჭამა, რამდენსაც ითხოვდნენ...

მაგრამ ეს ყველაფერი ბავშვური გართობაა სახელმწიფოს „პროფესორ“ ბელქანიასეულ გაგებასთან შედარებით!

„სახელმწიფოს კი არ უნდა ველოდოთ, ჩვენ უნდა გავანძრიოთ ხელი!“ — აი, ამ იდიოტური ფორმულით, უკვე წლებია, დასცინიან და აღიზიანებენ ხალხს თავხედები!

ანუ, ადამიანებს რომ არ აქვთ სამსახური, არა სახელმწიფოს მიერ საკუთარი პირდაპირი ფუნქციების ვერშესრულების, არამედ ამ ადამიანების „სიზარმაცის“ ბრალიაო!

თურმე მხოლოდ „პროფესორმა“ ბელქანიამ იცის, რომ სამსახურის საშოვნელად „ხელის განძრევაა“ საჭირო, თორემ სხვები მუთაქებზე ვყრივართ გაუნძრევლად და ველით, რომ ვინმე სახლში მოგვართმევს სამსახურს!

ასეთი უტიფარი პოზით შეიძლება ნებისმიერ მთავრობასა და ხელისუფლებას შეეტენო, რადგან ნებისმიერ მთავრობას ხელს აძლევს ეს ფორმულა და ამ ყოვლად იდიოტური ფორმულის ასე უტიფრად „გამპრავებლები“... სწორედ ამავე ფორმულით იყვნენ კრებითი „ბელქანიები“ წინა მთავრობისთვისაც მისაღები და საინტერესო...

მაგრამ **რატომ ვერ ფიქრობს ასეთი ტუტუცი ადამიანი, რომ ამით ძალიან აღიზიანებს საზოგადოებას და მსგავსი ცინიზმი სულ მალე მისგანვე „გაპრავებულ“ მთავრობასა და ხელისუფლებასაც ძალიან ცუდად დაუბრუნდება?**

ამ „სილაბუსურ“ კითხვაზე მთავრობამ და ხელისუფლებამ იმტვრიოს თავი! უბრალო ხალს კი, ალბათ, ის უფრო აინტერესებს, **რა „სილაბუსი“ დაწერა ასეთი „პროფესორმა“ ბელქანიამ, რომ იმწამს „განიხვნა“ მისთვის „ბჟენი“ თსუ-სანი, და რა ტელეპროექტები მოიგონა ისეთი, რომ იმწამს ეცა და იყიდა რომელიღაც ტელევიზიამ?!**

ბელქანიას სალექციო კურსის დასახელება — „საარქივო ჟურნალსტიკა“ — დისციპლინა, რომელიც რეალურად ბუნებაში არ არსებობს, არასოდეს არც ერთ ჟურნალისტს არ სმენია და **ეს, სალექციო კურსი კი არა, თაღლითობაა, რომელსაც „პროფესორი“ ბელქანია ჯერ შევარდნაძესთან და შემდეგ სააკაშვილთან დაახლოებული თავისი დაქალის შემწეობით ეწევა უნივერსიტეტში!**

ტელეგადაცემა — „ისტორიის გაკვეთილები“ — ეს ისეთი პროექტია, რომელსაც, თამარ ბელქანიას გარდა, ვერავინ მოიფიქრებდა! აბა, ვინმეს მანამდე მოსვლია აზრად ტელევიზიით ისტორიის გაკვეთილების ჩატარება? არა, ხო? ჰოდა, აჰა! „გენიოსი“ ბელქანია თქვენ წინაშეა!

**„2010 წელს დავკარგე სამსახური და რა მექნა? ხელები დამეწყო ერთ ადგილზე? ავდექი და დავწერე სილაბუსი, გავაკეთე სატელევიზიო პროექტები და მაქვს ახლა 4 სამსახური,“ — დასაქმების ასეთი „ჯადოსნური“ რეცეპტი შემოგვთავაზა „პროფესორმა“ ბელქანიამ და რატომღაც „გამორჩა“, დაესახელებინა გარემოებები და ის პიროვნებები, რომლებმაც მის „სილაბუსსა“ და „ტელეპროექტებს“ „ჯეროვანი“ ყურადღება დაუთმო, სხვისას კი — არა!**

სხვათა შორის, ისიც გასარკვევია, ვინ ხელი გაანძრია სამსახურების საშოვნელად და ვინ კიდევ — სხეულის სხვა ნაწილები...

ესეც რომ არ იყოს, განა ყველამ, ვინც სამსახურს ეძებს, მაინცდამაინც „სილაბუსები“ უნდა წეროს ან „ტელეპროექტები“ აკეთოს?

თუმცა, რა უნდა ელაპარაკო „პროფესორს“, რომელიც გეუბნება: „სახელმწიფოს ევალება მხოლოდ არჩევნების ჩატარება და იმის უზრუნველყოფა, რომ შენ აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება გქონდეს! სხვა სახელმწიფომ რატომ უნდა გაგიკეთოს რამე?“

**ცნება სახელმწიფოს ასეთი გაგება რომელმა „პროფესორმა“ ასწავლა ბელქანიას — პროფ. თეა თუთბერიძემ თუ პროფ. ვანო მერაბიშვილმა, ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, ასე მოაზროვნე ადამიანი, პროფესორი კი არა, ბატების მწყემსიც კი არ უნდა იყოს!**

არ მინდა, გამომრჩეს ასეთი ბატ-პროფესორების მიერ წამდაუწუმ და უადგილოდ საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა მენტალიტეტის ხსენება! **თურმე ის, რომ ხალხი სახელმწიფოს სთხოვს სამუშაოთი უზრუნველყოფას, საბჭოთა აზროვნების გადმონაშთი ყოფილა!**

ანუ, **თუკი ბელქანიას მსგავს „პროფესორებს“ დავუჯერებთ, პარიზში, ლისაბონში, ათენში, რომსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქში, სადაც ზღვა ხალხი გამოდის ხოლმე ქუჩაში და სახელმწიფოსგან მოითხოვს სწორედ უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას — ყველგან საბჭოთა გადმონაშთები ყოფილან და ყველას საბჭოთა მენტალიტეტი ჰქონია!**

სხვათა შორის, მგონი, ბელქანიას მენტალიტეტს“ ისევ საბჭოთა მენტალიტეტი სჯობს, რას იტყვით?

რა თქმა უნდა, მთელი ამ „სბროდის“ მარგალიტები ერთ საგაზეთო წერილში ვერც ჩაეტევა! ხაზს გავუსვამ მხოლოდ იმას, რითაც დავიწყე:

**როდესაც საუბარია „ჩინოვნიკების“ ხელფასებზე, „პრემიებზე“, „უმუშევრობაზე“, „ნაცებიცა“ და „ქოცებიც“ ორ ხმაში შეწყობით იწყებენ ხოლმე მღერას...**

**ჩვენ კი ვეუბნებით, რომ მათი „მღერა“ არ არის სრულყოფილი, რადგან სიმღერა რომ გამართულად ჟღერდეს, მთავრობისა და ოპოზიციის ხმებს აუცილებლად უნდა ერთვოდეს უნისონში მესამე ხმა — ხალხის!**

მაგრამ ისინი ჯიუტად მაინც ორ ხმაში მღერიან!

რა შედეგს მოუტანს ეს მათ საბოლოოდ, მაშინ ვნახავთ, როდესაც გამწარებული ხალხი ერთბაშად და უკვე არა „საუნისონოდ“ ამოიღებს დიდი ხნის განმავლობაში ჩაწყვეტილ ხმას!

**რა «სილაბუსი» დაწერა ასეთი «პროფესორმა» ბელქანიამ, რომ იმწამს «განიხვნა» მისთვის «ბჟენი» თსუ-სანი და რა ტელეპროექტები მოიგონა ისეთი, რომ იმწამს ეცა და იყიდა რომელიღაც ტელევიზიამ?.. ეს სალექციო კურსი კი არა, თაღლითობაა, რომელსაც «პროფესორი» ბელქანია ჯერ შევარდნაძესთან და შემდეგ სააკაშვილთან დაახლოებული თავისი დაქალის შემწეობით ეწევა უნივერსიტეტში!**

მოკლედ



## რომის პაპმა ვლადიმერ პუტინი «მშვიდობის ანგელოზის» მედლით დააჯილდოვა

**რომის პაპმა ფრანცისკმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ვატიკანში გამართული შეხვედრისას „მშვიდობის ანგელოზის“ მედალი გადასცა.**

„ამ მედალზე, რომელიც წინა საუკუნის ხელოვანმა შექმნა, გამოსახულია ანგელოზი, რომელსაც მოაქვს მშვიდობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და დაცულობა“, — აღნიშნა პონტიფიკოსმა. რომის პაპმა პუტინს უკრაინაში მშვიდობის მისაღწევად გულწრფელი მცდელობებისკენ მოუწოდა.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვინმემ დაიჯერა, რომ ბელქანიამ 2010 წელს დისერტაცია თავისით დაიცვა? 2010 წელს მერაბიშვილიც მერაბიშვილობდა და კოდუაც თავის ადგილას იყო, ბელქანიას კი ეს ადამიანები მფარველობდნენ. რამდენჯერ დამირეკავს მისთვის ჩვენი დავის პერიოდში და უთქვამს — ახლა კოდუასთან ერთად ვზივარ და შენ უნდა გაგაქროო“.**

# ლეიტენანტი თამარ ბელქანია — ვანო მერაბიშვილის «ხერხემალი»

**12 ივნისს გადაცემა „რეაქციაში“ მოწვეულმა ერთ-ერთმა სტუმარმა, თამარ ბელქანიამ, რომლის არსებობაც ცოტამ თუ იცოდა, საქართველოში მცხოვრებ უმუშევრებს ჭკუა დაარიგა, — სამსახურს ძებნა უნდა, სილაბუსები უნდა დაწერო, პროფესორი გახდე, პროექტები შეიმუშავო და ოთხი სამსახური გექნებაო. მოკლედ, ქართველებმა პირველად შევიტყვეთ, რომ, როცა უმუშევარი დარჩები, სამსახურზე უნდა იფიქრო...**
**ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი ქალბატონი, რომლის შესახებაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ბევრმა არაფერი ვიცოდით, თურმე სააკაშვილის „ხერხემლის“ — ვანო მერაბიშვილის „ხერხემალი“ ყოფილა.**
**„საქართველო და მსოფლიო“ თამარ ბელქანიას ფანტასტიკური კარიერის დეტალებით დაინტერესდა.**



**«თამარ ბელქანია ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში მუშაობდა, როგორც თვითონ ამბობდა, ვანო მერაბიშვილის «ხერხემალი» და შსს-ს პრესსამსახურის უფროსის — გურამ დონაძის მარჯვენა ხელი იყო»**

**ლანა ბადუაშვილი, მთაწმინდის რაიონული პოლიციის სამმართველოს ყოფილი გამომძიებელი:**

— **თამარ ბელქანია ჩემთვის და ბევრი ჩვენი თანამემამულისთვის, პიროვნება კი არა, ყვავია. ეს ქალი ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში მუშაობდა, როგორც თვითონ ამბობდა, ვანო მერაბიშვილის ხერხემალი და შსს-ს პრესსამსახურის უფროსის — გურამ დონაძის მარჯვენა ხელი იყო.** ოქროყანაში, უმოწყალოდ მოკლული სანდრო გირგვლიანის გახმაურებული საქმის შემდეგ გურამ დონაძე რომ მოხსნეს, მის მოვალეობას თამარ ბელქანია ასრულებდა. მოგვიანებით ეს ქალი შსს-ს არქივში გადავიდა.

ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ გადაცემა „რეაქციაში“ მისმა გამოსვლამ გამაცინა... **ვინმემ დაიჯერა, რომ ბელქანიამ 2010 წელს დისერტაცია თავისით დაიცვა? 2010 წელს მერაბიშვილიც მერაბიშვილობდა და კოდუაც თავის ადგილას იყო, ბელქანიას კი ეს ადამიანები მფარველობდნენ. რამდენჯერ დამირეკავს მისთვის ჩვენი დავის პერიოდში და უთქვამს, — ახლა კოდუასთან ერთად ვზივარ და შენ უნდა გაგაქროო.**

**— რა იყო თქვენი დავის მიზეზი? რატომ დაიწყო უსიამოვნება?**

— მთაწმინდის პოლიციის სამმართველოს გამომძიებელი ვიყავი. ერთ დღეს განცხადება შემოვიდა და მე დამაწერეს განსახილველად, გამოძიება უნდა დამეწყო. ეს იყო ზუბალაშვილების ქუჩაზე მცხოვრები ვინმე **თამარ შველიძის** განცხადება, რომელიც ბელქანიას უჩიოდა. იმხანად არ ვიცოდი, ვინ იყო ბელქანია...

მთაწმინდის სამმართველოში ახალი დანიშნული იყო **ირაკლი ყიფშიძე**, რომელიც „პატარა ვანოს“ მეტსახელითაა ცნობილი, მას დაუმორჩილებელი გამომძიებლების სიას აწვდიდნენ, ერთ-ერთი მეც ვიყავი. „პატარა ვანოს“ მოსვლამდე დაწინაურებას მიპირებდნენ, მაგრამ სიტუაცია ისე აირია, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ყველა ლოთობდა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ვმუშაობდით. ძალიან ცუდად მექცეოდნენ, მუშაობის საშუალებას არ მაძლევდნენ. ნივთმტკიცების შემოწმების საშუალებაც არ მქონდა. მთაწმინდის სამმართველოს იმჟამინდელი უფროსები ჩაფსმულებიც მინახავს კაბინეტებში და კარს ვკეტავდი, ვინმეს რომ არ დაენახა.

ცოტა შორიდან დავიწყე, მაგრამ ეს უნდა მეთქვა. მოკლედ, **დამაწერეს ვინმე შველიძის საქმე, რომელიც თავის განცხადებაში წერდა, რომ მის ქვემოთ მცხოვრები მეზობელი, ვინმე თამარ ბელქანია ემუქრებოდა, აშინებდა შვილის გატაცებით... ბუნებრივია, დავიბარე მომჩივანი ქალბატონი, რომელიც ჩემი ყოფილი თანამშრომლის, თბილისის პოლიციის სამმართველოს ვიცეპოლკოვნიკის — შოთა ცქრიალაძის მეუღლე აღმოჩნდა. როგორც მან მითხრა, შოთა ცქრიალაძე, ბელქანიას მიზეზით, უკვე დაპატიმრებული იყო.** თინა შველიძეს ვკითხე კონფლიქტის მიზეზი და მითხრა, რომ მეორე სართულზე ცხოვრობს, აქვს დიდი ფართობი, პირველ სართულზე მცხოვრები ბელქანია კი ემუქრება, სახლ-კარს გაგაყიდინებო. დავინტერესდი, რისთვის დაიჭირეს თინა შველიძის მეუღლე, მითხრა, — იარაღის უკანონო ტარებასა და ხულიგნობაზე, ხულიგნობის მუხლი მოუხსნეს, მაგრამ იარაღის ტარება დაუტოვესო. ეს ამბავი ძალიან გამიკვირდა, რადგან შოთა ცქრიალაძე ვიცეპოლკოვნიკი იყო და იარაღის ის უფლება ქონდა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ იმხანად არ ვიცოდი, ვინ იყო თამარ ბელქანია...

ბუნებრივია, რომ ამ ყველაფერს მონათხრობით ვერ დაიჯერებ და აუცილებელი იყო მეზობლების დაკითხვა, ყველა მათგანს უწყება გავუგზავნე. **მოვიდნენ, ჩვენება თავისი ხელით დაწერეს, ყველა წერდა, რომ თამარ ბელქანია ძალიან ცუდი და აღვირახსნილი ქალია, მისი შიშით უბანში ბუზიც ვერ დაფრინავს, როგორც კი ხმას გასცემ, მაშინვე პატრულის მანქანით მოვარდება და გვაშინებს, იჭერს ხალხს, ასე დაიჭირა თინა შველიძის მეუღლეცო. წერდნენ, რომ ეშინოდათ ბელქანიასი და იქვე მთხოვნდენ, მისთვის ჩვენებები არ წამეკითხებინა.**

მეზობლების დაკითხვის შემდეგ უწყება თამარ ბელქანიას მეუღლესაც გავუგზავნე. მოვიდა ვიღაც კაცი, რომელიც დაუნს გავდა, ცოტა არ იყოს, **ვერ დავიჯერე, რომ ის ამ საშინელი ქალის ქმარი იყო, ქალის, რომლისაც ყველას ეშინოდა. ორი საათი წერდა ერთ წინადადებას. არც ვიცი, დარიგებული იყო, რომ მე გამოვეყვანე მდგომარეობიდან, თუ მართლა დაუნი იყო. ჩვენების წერის პროცესში ეს კაცი ვიღაც ქალს, თამარს, ელაპარაკებოდა, რაც ხელს გვიშლიდა და მოვთხოვე, რომ ტელეფონი გაეთიშა. ამის შემდეგ „წერტილივით“ პატარა ქალი ქარიშხალივით შემოიჭრა ოთახში და დაკითხვის პროცესზე დასწრება მოითხოვა.** ვუთხარი, რომ არ შეიძლებოდა, რადგან დასაკითხი პირი სრულწლოვანი იყო. **ოთახში რომ არ შემოვუშვი, მდგომარეობიდან გამოვიდა და დაიწყო კივილი: „იცი, მე ვინ ვარ?“ ეს სიტყვები რამდენჯერმე რომ გაიმეორა, ვკითხე, ვინ ხარ-მეთქი? მიპასუხა, რომ ყოველ საღამოს ვანო მერაბიშვილთან იყო. მერე, რამეთქი რომ ვუთხარი, — რა ვერ გაიგე, ქალო, თამარა ვარ ბელქანიაო.**

დაკითხვის პროცესს მაინც არ დავასწარი. ამასობაში ჩემს უფროსთან შესულა. ხმაურზე პროკურორი **გიორგი მიქაია** შემოვიდა და მითხრა, ოქმი დამეწერა, რომ ძიების პროცესში ხელს მიშლიდნენ.

უცებ ჩოჩქოლი ატყდა, გავიხედე და პატრულის 20-მდე მანქანა იყო მოსული, მთელი გენერალური ინსპექცია იქ იყო. **დამიძახეს, — „პატარა ვანოც“ იქ იყო, — მომთხოვეს, ოქმები დამეხია და მისაყვედურეს, ჩვენებები საკუთარი ხელით რატომ არ დაწერეო. მითხრეს, ამ ქალს კარგად არ იცნობ, გაგანადგურებსო. ისიც მითხრეს, თითქოს მითქვამს, ვანო ფეხებზე მკიდიაო. სინამდვილეში ასე არ იყო. თამარა რომ დამემუქრა, — ამ საღამოს ვანოს შევხვდები და ნახავ, რაც მოგივაო, ვუპასუხე, — ფეხებზე მკიდია, რას იზამ, ვანო მხოლოდ შენი მინისტრი ხომ არ არის, მეც მივალ და დაველაპარაკები-მეთქი. იმხანად მართლა არ ვიცოდი ბელქანიას შესაძლებლობები...**

ოქმების დახევა რომ მომთხოვეს, აი, მაშინ კი, მართლა ვთქვი, ვანო ფეხებზე მკიდიათქო.

მოკლედ, ბელქანია-შველიძის საქმის ვითარებაში გარკვევა ვერ შევძელი, ვერ დავადგინე, ვინ იყო მტყუანი და ვინ — მართალი. ექსპერტიზა არ დამანიშნინეს; მეუბნებოდნენ, — ვის უბედავ, ვანოს ხერხემალია ეს ქალიო. ოთახში ჩამკეტეს, ჩვენებების ჩემი ხელით დაწერას მთხოვდნენ. დავურეკე მეუღლეს, ის ადვოკატია და მაშინვე მოვარდა, იარაღი დამატოვებინა და წამომიყვანა. სამმართველოდან რომ გამოვდიოდი, მუქარა მომაყოლეს, — დაგიჭერთო.

**შინ რომ მივედი, ბელქანიას დავურეკე, — რას აკეთებ, გაგიჟდი-მეთქი. მითხრა, კოდუასთან ერთად ვიმყოფები და ვგეგმავ დედაბუდიანად როგორ გაგაქროო.**

მეორე დღიდან დავიწყე ჩემს საქმეზე სირბილი. ქალაქის სამმართველოს უფროს **ირაკლი ქადაგიძესთან** მივედი. ასეთი შეშინებული კაცი არ მინახავს, არ მიმიღო, არადა, ჩემი მუშაობით სულ კმაყოფილი იყო. ვრეკავდი ყველგან, ვკითხულობდი ჩემს ამბავს, მაგრამ ერთსა და იმავე პასუხს მაძლევდნენ, — გაჩუმდი, შენთვის ასე სჯობს, შენ არ იცი, ვინ არის ეს ქალიო...

**დავიწყე გაკითხვა, მართლაც ასეთი საშიში ქალი თუ იყო ბელქანია, და გავარკვიე, რომ ის ყველაფერზე წამსვლელია, ასევე ყველაფერზე წამსვლელი იყო მის გამო ვანო მერაბიშვილიც.** შიში დამეუფლა, მაგრამ არ ვიმჩნევდი, სინამდვილეში ოდნავ გაფაჩუნებაზეც კი ელეთმელეთი მემართებოდა. ახლობლები მირეკავდნენ და ამოწმებდნენ, ხომ არ დამიჭირეს.

სამსახურში ჩემი ნივთებისა და საქმეების გადასაბარებლად მივედი. ბელქანიას საქმის მასალები ქსეროქსზე გადავიღე, თუმცა მოითხოვდნენ, რომ დამეხია. შემომისწრეს, ნაწილი წამართვეს, ნაწილი დამრჩა...

2011 წლის 16 თებერვალს 20-კაციანი ჯგუფი ოჯახში მომივარდა. მასალებს ეძებდნენ, მაგრამ ვერ ნახეს. მეორე დღეს მასალები ჩემი ხელით დავწვი ეზოში, მაგრამ ასლები არსებობს. ჩხრეკისას მითხრეს, რომ ჩემი ქმარ-შვილი სამმართველოში ჰყავდათ მიყვანილი, კინაღამ გავგიჟდი... ჩხრეკის ოქმზე შანტაჟით მომაწერინეს ხელი... მაშინვე სამმართველოში გავიქეცი... შვილი გამოვიყვანე, მაგრამ მეუღლე იქ დარჩა. **ჩემს მეუღლეს, ადვოკატ გია ექვთიმიშვილს თაღ-**

▶

---

მოკლედ

## ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თარიღმა გადაიწია

**ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თარილის გადაწევის მიზეზები განმარტა.**

როგორც გიორგი კვირკაშვილმა განაცხადა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული აქვს ვალდებულება, რომ მიმდინარე წლის 17 ივნისს ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს. ამისთვის ეკონომიკის სამინისტრომ და ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიასთან ერთად, დიდი სამუშაო გასწია.

„ინფრასტრუქტურა შექმნილია და ქვეყანა მზადაა, ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს, თუმცა სტიქიური მოვლენების გამო, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, არ შეგვექმნა დამატებითი დისკომფორტი ჩვენი მოსახლეობისთვის, რომელმაც ისედაც უდიდესი სტრესი განიცადა. ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თარიღად 17 ივნისის ნაცვლად ავიღოთ 1 ივლისი, რათა ქვეყანა გამოვიდეს ასეთი მდგომარეობიდან, საგანგებო რეჟიმიდან და უფრო მშვიდად მოხდეს აღნიშნული პროცესის განხორციელება“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.



# „თინა ცრუ დასმენისთვის დააპატიმრეს. არადა, მეზობლების ჩვენება იყო, რომ ბელქანია დაემუქრა, თუ ამ ბინიდან არ გადახვალ, მოგკლავთო. ბუნებრივია, შეშინებულმა ქალმა იჩივლა, რაც ცრუ დასმენად ჩაუთვალეს, გაასამართლეს და ხუთი ათასი ლარი ჯარიმა დააკისრეს“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლითოზისა და ქურდობის მუხლი წაუყენეს, მკვლელობის „შეტენვა“ უნდოდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.** სასამართლო პროცესზე მოწმემ განაცხადა, ექვთიმიშვილი უდანაშაულოაო და იცით, რა მოხდა? მოსამართლე მიშა ჩხეიძე მოწმეს, საწყალ ქალს დაედევნა და სცემა. ეს კადრები ჩემმა შვილმა გადაიღო. შემდეგ სასამართლო პროცესზე მოწმე ქალბატონი დალურჯებული მოიყვანეს და დააპატიმრეს.

**— ეს ყველაფერი ბელქანიასთან უსიამოვნებას მოჰყვა?**

— დიახ, მთელი ქვეყანა გადაგვემტერა. სამმართველოში რომ შევდიოდი, კეთროვანივით მექცეოდნენ. ზოგი მხარს კი მიჭერდა, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვინ გაბედავდა?! დაუმორჩილებლობისა და განსხვავებული აზრის გამო „შავ სიაში“ ისედაც ვიყავი, მაგრამ ბელქანიამ ცეცხლზე ნავთი დაასხა...

ჩემი ყოფილი თანამშრომლები თვალს მარიდებდნენ, აღარ მესალმებოდნენ. თავდაპირველად ვსაყვედურობდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ.

ახლა, როდესაც ყველაფერი დასრულდა, მიყვებიან, როგორ ეშინოდათ და რა დღეში იყვნენ. დღეს ყველა მემეგობრება.

**თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, თამარა ბელქანიას ვუთხრა, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცის, რა ვითარებაში დავტოვე სამსახური, აქამდე არავის აღუდგენივარ. ყველა გამოცდა ჩაბარებული მაქვს, მაგრამ სამსახური ვერ ვიშოვე. დღეს სამსახურებში სხედან ადამიანები, რომლებსაც ვასწავლიდი და ვერაფერი ისწავლეს. ბევრი ნაძირალა ახლაც მუშაობს, მათ შორის, თამარ ბელქანიაც არის.**

სამმართველოში პატარა გოგოები მოჰყავდათ, ყავას ადუღებინებდნენ და სხვა რაღაცებსაც უკეთებდნენ. ეს პატარა გოგოები მთაწმინდის პოლიციის სამმართველოში ისევ მუშაობენ. ჩემმა შვილმა კი ერთი წლის წინათ საქართველო დატოვა, რადგან მის წინააღმდეგ დევნა აქამდე არ შეწყვეტილა...

**— როგორ დასრულდა მომჩივან თინა შველიძის საქმე?**

— თინა დაიჭირეს. ცრუ დასმენის მუხლი წაუყენეს და




**«პოლიციის ლეიტენანტი თამარ ბელქანია მუშაობდა შინაგან საქმეთა სამმართველოს პრესსამსახურში. პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე თანამდებობიდან რომ გადადგა, მის მოვალეობას თამარ ბელქანია ასრულებდა»**

დააპატიმრეს, რასაც მე ნამდვილად ვერ გავაკეთებდი. ძალიან ვივაჟკაცე. ბევრი კაცი, ალბათ, ვერ გაუძლებდა იმას, რასაც მე გავუძელი.

**ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი გამომრჩა. იცით, პირველად შიშის განცდა როდის გამიჩნდა? პოლიციაში თინა შველიძის განცხადება რომ შემოვიდა, მის ეზოში მეზობლების დასაკითხად უწყებები მივიტანე. ბევრი შინ არ იყო, ამიტომ უწყებები ერთ-ერთ მეზობელს დავუტოვე. ერთი თვის თავზე ბელქანიას მეზობელი, რომელმაც სხვისთვის გადასაცემი უწყებები დაიტოვა, ტელევიზორში ვნახე, რომ ჯაშუშობის მუხლით დააპატიმრეს.**

**მოგვიანებით შევიტყვე, რომ რამდენიმე მეზობელმა ბელქანიას შიშით სახლი გაყიდა. იმხნად ძალიან შემეშინდა, რომ დამიჭერდნენ.**

გვესაუბრება თინა შველიძის მეუღლე, ვიცეპოლკოვნიკი შალვა ცქრიალაძე.

**— ბატონო შალვა, ვინ არის თამარ ბელქანია და როდის გადაიკვეთა თქვენი გზები?**

— **პოლიციის ლეიტენანტი თამარ ბელქანია მუშაობდა შინაგან საქმეთა სამმართველოს პრესსამსახურში. პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე თანამდებობიდან რომ გადადგა, მის მოვალეობას თამარ ბელქანია ასრულებდა.**

ჩვენი გზები 2006 წელს ზუბალაშვილების ქუჩის №36-ში, ჩემი ყოფილი მეუღლის ბინაში გადაიკვეთა. ბინის რემონტის გამო ბელქანიასა და ჩემს ყოფილ მეუღლეს კონფლიქტი მოუვიდათ. მე ოჯახს მივაკითხე, შევეცადე, საქმეში გავრკვეულიყავი. ამ დავაში მე და თამარ ბელქანიამ სიტყვიერად შეურაცხვყავით ერთმანეთი. ამ მომენტში იქ პატრულის ორი მანქანა იდგა, ბელქანიას ელოდებოდნენ, სამსახურში რომ წაეყვანათ. მათ ყველაფერი დაინახეს და გაიგეს.

**თამარს პრეტენზია ჰქონდა, ჩემს ბინას ანგრევთო. ის პირველ სართულზე ცხოვრობდა, გათხოვილი იყო, ვინმე ფიფიაზე. სინამდვილეში ბინას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, სავარაუდოდ, მას ჩვენი ბინის ხელში ჩაგდება უნდოდა.**

ამ ინციდენტიდან მეორე დღეს გენერალური ინსპექციიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ შენს სამსახურს ვამოწმებთ, რადგან თამარ ბელქანიამ გიჩივლაო. ბელქანიას ჩემზე დიდი წოდება არ ჰქონდა: ის ლეიტენანტი იყო, მე — ვიცეპოლკოვნიკი, მაგრამ ჩემზე დიდი თანამდებობა ეკავა. იმხანად პრესსამსახური ყველაფერს წყვეტდა.

სამსახურში მოკვლევა ჩაატარეს, მაგრამ განყოფილებაში მაინც წამიყვანეს. ბელქანიას ოჯახის წევრებმა, პატრულის თანამშრომლებმა და რამდენიმე მეზობელმა განაცხადეს, რომ მე ბელქანია შეურაცხვყავი. უფრო მეტი მოწმე კი ჩემ მხარეს იყო და ინციდენტი ამოიწურა.

ოთხი დღის შედეგ მაინც დამიბარეს გენერალურ ინსპექციაში და მითხრეს, საყვედური უნდა მოგცეთო, არც ეს გამოვიდა. მეორე დღეს კვლავ დამიბარეს, — საჩივარია შემოსულიო. საჩივარში ეწერა: „შალვა ცქრიალაძე ჩემი მეზობელია, ის ყოველ ღამე მთვრალი მოდის სახლში და დებოშს აწყობს. მეზობლებს გვაშინებს, გვაგინებს, იარაღიდან ისვრის და ა.შ.“ გენინსპექტორმა იცოდა, რომ მე პოლიციის სამმართველოს გამომძიებელი ვიყავი და რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ჩემ წინააღმდეგ მსგავსი საქმის აღძვრა არ შეიძლებოდა, მაგრამ კანონი არად ჩააგდეს და საქმე აღძრეს 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხულიგნობის მუხლით.

ჩემმა საქმემ ბევრი იარა აქეთ-იქით, პროკურატურა გენინსპექციას გადასცემდა და პირიქით. ამ წინ და უკან სიარულში სისხლის სამართლის კოდექსი ირღვეოდა და, აგრეთვე, ირღვეოდა ჩემი უდანაშაულობის პრეზუმფცია. ერთ-ერთმა გამომძიებელმა, ვინმე **ამირხანაშვილმა** გამოიტანა დადგენილება, რომ ჩემი ბინა გაეჩხრიკათ, ბინა, რომელიც ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარეობს. თავში გითხარით, რომ იქ ჩემი ყოფილი მეუღლე ცხოვრობს და მის სანახავად ვიყავი მისულიმეთქი. ეს იცოდნენ, მაგრამ ბინა მაინც გაჩხრიკეს, გაჩხრიკეს ჩემი სამუშაო კაბინეტი, საიდანაც წაიღეს ნივთმტკიცება — დალუქული იარაღი. აღმოჩნდა, რომ ზუბალაშვილების ქუჩიდანაც ორი ერთეული იარაღი ამოიღეს, რაზეც ჩემი ყოფილი მეუღლე გადაირია... ამის შედეგ წარმიდგინეს ბრალი 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, 239-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ხულიგნობას ნიშნავს და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, ეს იაღარის უკანონო შეძენა-შენახვას ნიშნავს.

არადა, **ჩემს საქმეში დევს ცნობები, რომ მე იარაღის ტარებაც შემეძლო, შენახვაც და გამოყენებაც, მაგრამ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში არანაირ ცნობას აზრი არ ჰქონდა... ისე დამაპატიმრეს, არავის დაუდგენია, ვისი იყო ზუბალაშვილების ქუჩიდან ამოღებული იარაღი, არ ჩატარებულა არანაირი ექსპერტიზა.**

სასამართლო პროცესზე დამალეს, რომ ჩემი და ბელქანიას შელაპარაკების მომენტში იქ პატრულის თანამშრომლები იმყოფებოდნენ, რადგან საქმე ჩემ წინააღმდეგ ოთხი დღის შედეგ აღიძრა, ხოლო პატრული, თუ სერიოზული კონფლიქტი მოხდა, ვალდებული იყო, შემთხვევის ადგილზე ოქმი შეედგინა, რაც არ მომხდარა.

**— რატომ დააპატიმრეს თქვენი ყოფილი მეუღლე თინა შველიძე?**

— **თინა ცრუ დასმენისთვის დააპატიმრეს. არადა, მეზობლების ჩვენება იყო, რომ ბელქანია დაემუქრა, თუ ამ ბინიდან არ გადახვალ, მოგკლავთო. ბუნებრივია, შეშინებულმა ქალმა იჩივლა, რაც ცრუ დასმენად ჩაუთვალეს. გაასამართლეს და ხუთი ათასი ლარის ჯარიმა დააკისრეს.**

თამარ ბელქანიას იმანაც გაუმართლა, რომ ჩემს განადგურებაში მხარს ვანო მერაბიშვილი და კუდ-ის უფროსი ერეკლე კოდუა უჭერდნენ. მანამდე **კოდუასთან უსიამოვნება მომივიდა. ვიპოვე მოპარული მანქანა, რომლის წაყვანაც ერეკლე კოდუამ მოისურვა და წაიყვანა კიდეც. ამ მანქანით კოდუას პირველი ცოლი დადიოდა.**

**— ახლა თუ აპირებთ, მიმართოთ პროკურატურას?**

— უკვე მივმართე, **თამარ ბელქანიას წინააღმდეგ საქმე აღძრულია. მოვითხოვ, რომ ის 333-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გასამართლდეს, რაც ცრუ დასმენას ნიშნავს, თავისუფლების აღკვეთით 4-დან 6 წლამდე. ასევე მოვითხოვ 143-ე მუხლის მე-4 ნაწილით გასამართლებას, ეს არის ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო თავისუფლების აღკვეთა, რაც 8-დან 12 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.** ამ საქმეს აუცილებლად მოვიგებ, თამარ ბელქანიას ეს არ შერჩება.

**«თამარ ბელქანიას წინააღმდეგ საქმე აღძრულია. მოვითხოვ, რომ ის 333-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გასამართლდეს, რაც ცრუ დასმენას ნიშნავს, თავისუფლების აღკვეთით 4-დან 6 წლამდე. ასევე მოვითხოვ 143-ე მუხლის მე-4 ნაწილით გასამართლებას, ეს არის ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო თავისუფლების აღკვეთა, რაც 8-დან 12 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



## ირაკლი ღარიბაშვილი: სტიქიით გამოწვეულმა ზარალმა, შესაძლოა, 100 მილიონ ლარს მიაღწიოს

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სტიქიით გამოწვეულმა ზარალმა, შესაძლოა, 100 მილიონ ლარს მიაღწიოს. საქართველოს პრემიერს დონორების დახმარების იმედი აქვს.** „ჩვენ მაქსიმალურად ვეხმარებით მოსახლეობას, რათა ეს რამდენიმე კვირა შედარებით მსუბუქად გადაიტანონ. სურათი ყოველდღე იცვლება და ზარალის ოდენობამ, შესაძლოა, 100 მილიონ ლარს მიაღწიოს. ზარალი საკმაოდ სოლიდურია, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ დონორებთან და იმედი გვაქვს, დაგვეხმარებიან ამ პრობლემების დაძლევაში. ჩვენ მათ წარვუდგენთ კონკრეტულ პროექტებს პირველადი საჭიროებების შესახებ და ყველაფერს მაქსიმალურად მოკლე ხანში მოვაგვარებთ“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა წყნეთში, სამთავრობო აგარაკზე განთავსებულ დაზარალებულ ოჯახებთან შეხვედრაზე. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სამუშაოები სტიქიით დაზარალებულ უბნებში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს და პროცესში აქტიურად არიან ჩართული მოხალისეები, რომლებმაც სოლიდარობის საოცარი მაგალითი აჩვენეს. **„გვერდით გვიდგას ჩვენი საამაყო ჯარი, მაშველები, პოლიციელები. ისინი არიან გმირები და ჩვენ ამ დღეების განმავლობაში გმირობის არაერთი გამოვლინება ვიხილეთ. ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თითოეული ჩვენგანისთვის, ეს კიდევ ერთხელ კრავს ჩვენს ერს, ჩვენს საზოგადოებას“,** — აღნიშნა პრემიერმა.





## ნიკო კახეთელიძე: ვეხვეწებოდი, მოსულიყვნენ სპეციალისტები და ამ თემაზე ესაუბრათ

**ექსპერტმა მშენებლობის საკითხებში — ნიკო კახეთელიძემ, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წლის ივნისში აფრთხილებდა საზოგადოებას, მდინარე ვერეს ხეობაში გზა არ გაეყვანათ, თბილისში მომხდარ ტრაგედიაზე გადაცემა „20/30“-ში ისაუბრა:** „ვთვლიდი, რომ მაგ ტერიტორიაზე არ უნდა აშენებულიყო არანაირი გზა, გამომდინარე მდინარე ვერეს თავისებურებებიდან. მომხრე ვიყავი, ყოფილიყო მწვანე ზონა, რომელიც დღეს ასე აკლია ქალაქს. მაშინ გადაცემა მქონდა რადიო „უცნობში“ და ვეხვეწებოდი, მოსულიყვნენ სპეციალისტები და ამ თემაზე ესაუბრათ, მაგრამ ძალიან ცოტას აღმოაჩნდა სიმამაცე, რომ გამოეთქვა თავისი აზრი“, — განაცხადა ნიკო კახეთელიძემ.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როდესაც ეკლესიაში პროფესიონალიზმის დეფიციტია, ამას ერიც ხედავს. გაუგებარ, წარმოუდგენელ პერსპექტივაზე გათვლილი დამანგრეველი ჩაკეტილობა მომავალში ცუდ რამეს გვიქადის. თუ საქართველოს საპატრიარქო სასულიერო დასში არსებულ პროფესიონალ კადრებს სწორად გამოიყენებს, საქართველოს ეკლესია შეძლებს არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც გადაარჩინოს ქვეყანა“.



მამა ბასილი (ახვლედიანი):

# არ შეიძლება ფულის კუპიურებზე წმინდანების გამოსახვა — ერს ეს სიმდიდრესა და ბარაქას ვერ მოუტანს

**პატრიარქის ქადაგებებზე, დედაქალაქში დატრიალებულ ტრაგედიასა და ემიგრანტ ქართველებზე „საქართველო და მსოფლიოს“ აკაურთას სიონის ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილი (ახვლედიანი) ესაუბრება.**

**— მამაო, საქართველოში 13 ივნისს ტრაგედია დატრიალდა. დაიღუპნენ ადამიანები, სტიქიამ გაანადგურა ზოოპარკი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქადაგებისას ბრძანა — „ზოოპარკი დაარსდა ტაძრებისა და მონასტრების ზარების ფასად, ამიტომ ეს ზოოპარკი ვერ გაიხარებს... ცოდვა დაუსჯელი არ დარჩება“. სტიქია ღვთის სასჯელად უნდა მივიღოთ?**

— ეს სრულიად საქართველოსთვის დიდი ტრაგედიაა. ღმერთმა აცხონოს გარდაცვლილთა სულები! უწმინდესის კურთხევით, მათი სულების საოხად პანაშვიდებს აღვავლენთ.

უწმინდესს ადრეც არაერთხელ უთქვამს, როგორ აშენდა ეს ზოოპარკი, მაგრამ არავინ შეისმინა, ამიტომ ვალდებული იყო, ეს ამბავი ყველასთვის შეეხსენებინა. უწმინდესს უფრო ადრეც რომ ექადაგა ამ თემაზე, მაინც არავინ შეისმენდა.

ამას გარდა, ყველა თბილისელმა იცის, რომ **რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის ადგილზე, ღვთისმშობლის დიდი ტაძარი იყო და ერს ასეთ წმინდა ადგილზე შექმნილი კანონები ბედნიერებას ვერ მოუტანს. ასევე, არ შეიძლება, წმინდანების ფულის კუპიურებზე გამოსახვა — ერს ეს ფული სიმდიდრესა და ბარაქას ვერ მოუტანს. საქართველოს ეკონომიკა ვერ გაძლიერდება იქამდე, ვიდრე წმინდანებს ასე აბუჩად აიგდებენ.**

**— საზოგადოებას უჭირს, გაიგოს, რა დააშავეს ადამიანებმა და ცხოველებმა, რომელთა სიცოცხლეც ამ ტრაგედიას შეეწირა... ამ დღეებში ბევრს გაუჩნდა კითხვა — ნუთუ ღმერთი ასეთი მკაცრია ადამიანების მიმართ? როგორ ხსნის რელიგია ამ ყველაფერს?**

— ეს კითხვა ყოველთვის აწუხებდა კაცობრიობას... მაგალითად, ერთ ხანს ბოლნისში ისე ხშირად იღუპებოდნენ მცირეწლოვანი ბავშვები და ახალგაზრდები, რომ შვილმკვდარი დედებისთვის ცალკე წირვა მქონდა დაწესებული. ასე რომ მივუდგეთ ამ საკითხს, გამოდის, ღმერთი ისეთი მკაცრი ყოფილა, რომ სიცოცხლით სავსე ბავშვები მიჰყავდა, რაც არასწორი იქნება. ამას ჩვენ ადამიანური ენით ასე საჯაროდ და საგაზეთოდ ვერ განვმარტავთ, რადგან ამას მომზადებული ყური სჭირდება. **თუ ამქვეყნიური გადმოსახედიდან განვიხილავთ წუთისოფელს, მაშინ ჩვენთვის გაუგებარი იქნება ღვთის განგებულება, მაგრამ, თუ ცოტა ზემოდან გადმოვხედავთ ამ ყველაფერს და ვიფიქრებთ, რომ ჩვენი მთავარი მიზანი სასუფეველში მოხვედრაა, მაშინ გავუგებთ ქრისტიანობისთვის თავდადებულ ასი ათას მოწამეს, გავუგებთ იმ ადამიანებს, რომლებიც თავს სიხარულით სწირავენ სამშობლოს.** ამ ტრაგედიაზე მხოლოდ რწმენით შეიძლება ვიფიქროთ, სხვა შემთხვევაში ყოველთვის აბსურდამდე მივალთ და ვერასოდეს გავუგებთ ვერც უწმინდესს, ვერც ქრისტეს მოძღვრებას და ვერც ღმერთს, რომელზეც საუბრობენ, რა სასტიკი ყოფილაო.

უფალმა რამდენიმე დღის წინათ ის ადამიანები წაიყვანა, რომელთა სასუფეველთან მიმთხვევის საუკეთესო დროც დადგა. ფილოსოფიითა და მწიგნობრობით ამ ტრაგედიის არსში წვდომა შეუძლებელია. ამას სჭირდება ეკლესიურობა. ამიტომ, ვიდრე ვინმე უწმინდესის კრიტიკას დაიწყებს, სულ ცოტა, აღმსარებელი, მაზიარებელი და სულიწმინდის მატარებელი ჭურჭელი მაინც უნდა იყოს.

**— მამაო, პატრიარქმა ბრძანა, რომ „უნდა იყოს გათვალისწინებლი ის, რაც მოხდა, და აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა...“**

— საზოგადოდ, დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. მე, როგორც ერთმა მღვდელმა, შემიძლია, ჩემი დასკვნა გამოვიტანო. რა თქმა უნდა, განსაცდელი ხდება, როდესაც ერი ღმერთს ზურგს აქცევს და მისთვის საღვთო ენა გაუგებარია. ამ ყველაფრის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ **ასი ათასი ხელმომწერის ნება ცინიკურად უგულებელყო იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. მან სასულიერო პირები შეხვედრის ღირსადაც არ ჩათვალა, მოადგილე გამოგზავნა, რომელიც სარკაზმით ესაუბრა სასულიერო პირებს. მეტიც, აქციის მონაწილეებს, რომლებიც ID ბარათებს აპროტესტებდნენ, ძალოვნები მიუსიეს და, როგორც ჯალალედინის დროს, ხატებს ხელით შეეხნენ, რის შემდეგაც ვნახეთ, რომ იუსტიციის სახლში ჭერი ჩამოინგრა.** იქნებ დავფიქრდეთ ამ ყველაფერზე. ახლაც იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორია დაიტბორა. **დიდი წილი დაღვრილის სისხლისა, თუნდაც ცხოველების, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისა და მისი მოადგილეების კისერზეცაა,** რომლებიც საქართველოში აიდიზაციის პროცესს უწყობენ ხელს.



# «ფილოსოფიითა და მწიგნობრობით ამ ტრაგედიის არსში წვდომა შეუძლებელია»

**— მამაო, დიდი გამოხმაურება და ვნებათაღელვა გამოიწვია პატრიარქის წინა საკვირაო ქადაგებამ ემიგრანტ ქართველებზე. „დღეს, ქართველი ადამიანი გაურბის მიწაზე მუშაობას; ეძებს ისეთ შემოსავალს, რომლისთვისაც შრომა არ არის საჭირო“, — ბრძანა პატრიარქმა. ხომ არ იყო პატრიარქი ზედმეტად კრიტიკული ემიგრანტების მიმართ, რომლებსაც ისედაც მძიმე პირობებში უწევთ უცხო ქვეყანაში ცხოვრება?**

— იმ მძიმე დემოგრაფიულ ფონზე, რომელიც დღეს საქართველოშია, ემიგრაციის თემაზე უწმინდესს ხმა საერთოდ რომ არ ამოეღო, მაშინ იმისთვის გააკრიტიკებდნენ — ამდენი ემიგრანტი გვყავს და პატრიარქი ხმას რატომ არ იღებსო. **ვიცით, რომ ემიგრანტების დიდი ნაწილი გაჭირვების გამოა ქვეყნიდან გასული, საქართველოში დარჩენილ ოჯახებს სწორედ ისინი ინახავენ და მათი ფულადი გზავნილები საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობას განაპირობებს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას — რა თქმა უნდა, უცხოეთში წასვლა უფრო იოლი გზაა, ვიდრე აქ დარჩენა და თავდადებული შრომა.** შეიძლება ეს ვიღაცამ ცუდად გაიგოს, მესმის, რომ უცხოეთშიც რთულია შრომა, მაგრამ არსებობს ფასეულობები, მაგალითად, სამშობლოს გადარჩენა, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას. მე თვითონ ქირით ვცხოვრობ... წინა ხელისუფლების ცხრაწლიანმა რეჟიმმა ბევრ ადამიანს ყველაფერი დააკარგვინა და არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ მიმაჩნია, რომ არც ერთი განსაცდელის გამო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოს დატოვება არ შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ **ანტიქართულ ძალებს აქვთ გეგმა, რომლის მიხედვითაც, საქართველო ქართველების გარეშე უნდა დარჩეს, რასაც, სამწუხაროდ, მშვენივრად ახორციელებენ.**

**— პატრიარქმა ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. „ჩვენი ახალგაზრობა მიდის უცხოეთში და იქ მოსამსახურედ მუშაობენ, იმ დროს როცა, აქ, სამშობლოში უცხო ხალხი შემოდის და იკავებს ჩვენს მიწა-წყალს. აი, ამიტომ მე მოგმართავთ ყველას, იფიქრეთ თქვენს თავზე, იფიქრეთ თქვენს შვილებზე, იფიქრეთ ჩვენს მომავალზე“, — ბრძანა პატრიარქმა. გასაგებია, რომ პატრიარქი ზრუნავს ქვეყანაზე, მაგრამ იქნებ, პირველ რიგში, ხელისუფლებას მოვუწოდოთ, ხალხი დაასაქმოს?**

— საერთოდ, ქვეყნის პოლიტეკონომიას ადამიანების უმრავლესობა ქმნის. ემიგრანტების დაბრუნებისას ბუნებრივად მოხდება მათი შრომის რეალიზება. წინა ხელისუფლების პერიოდში ხშირად გაიძახოდნენ, — ემიგრანტები უნდა დაბრუნდნენო, მაგრამ რეალურ ნაბიჯებს ამის საწინააღმდეგოდ დგამდნენ, რადგან მათ გეგმაში არ შედიოდა ქართველების დაბრუნება სამშობლოში. დღევანდელი ხელისუფლებაც გაიძახის, ემიგრანტები უნდა დაბრუნდნენო, მაგრამ რეალურად ამისთვის არაფერი კეთდება. **მართალი არ ვიქნებით, თუ ემიგრანტების დაბრუნებაზე ლაპარაკს მოვერიდებით, მით უფრო დღეს, როდესაც ამდენი უცხოტომელი შემოდის საქართველოში, ქვეყნის გადარჩენის იდეაზე მაღლა საკუთარი პრობლემების დაყენება გაუმართლებელია.** ეს შეიძლება სამშობლოს ღალატად აღვიქვათ.

პატრიარქი ხომ არ არის ეკონომისტი და მას ხომ არ აქვს განვითარების გეგმა ან წინასაარჩევნო პროგრამა? ის, უბრალოდ, გვთავაზობს თავის იდეას, იქნებ მეფუტკრეობას, მიწათმოქმედებას მივხედოთ; სერიოზული და კონკრეტული გეგმა სახელმწიფომ შესთავაზოს საზოგადოებას.

**— ამ ქადაგების გამო, საზოგადოების ნაწილმა პატრიარქი მწვავედ გააკრიტიკა. აქვს თუ არა პატრიარქის კრიტიკის უფლება რიგით მოკვდავს, თუ ეს დიდი ცოდვაა?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება პატრიარქის მხილებაც, თუ ის, მაგალითად, ერესში გადავიდა და ასეთი რამ მომხდარა, მაგრამ ის, რომ დღეს ღმერთსა თუ უწმინდესს ბევრი ვაიქართველი და უმწეო სულის მქონე უსინდისოდ ლანძღავს, სულ მცირე, მათ უზრდელობასა და გაუნათლებლობაზე მეტყველებს.

ამას წინათ ერთ მღვდელმთავარს ვუთხარი, საქართველოს ეკლესიას უნდა ჰქონდეს წყაროები, რათა გაძლიერდეს და სწორად მიმართოს ღვთისგან ბოძებული დოვლათი-მეთქი. გაეცინა, — საქართველოს ეკლესიას არანაირი შემოსავალი არ აქვს, ის მხოლოდ შემოწირულობებით არსებობსო. საპატრიარქოს ფინანსთა აპარატის უფროსი ვიყავი და მე მაინც ნუ მეტყვით ამას-მეთქი, — ვუპასუხე. ღირსადაც არ ჩამთვალა, საუბარი გაეგრძელებინა. პიროვნულად ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, **როდესაც ეკლესიაში პროფესიონალიზმის დეფიციტია, ამას ერიც ხედავს. გაუგებარ, წარმოუდგენელ პერსპექტივაზე გათვლილი დამანგრეველი ჩაკეტილობა მომავალში ცუდ რამეს გვიქადის. თუ საქართველოს საპატრიარქო სასულიერო დასში არსებულ პროფესიონალ კადრებს სწორად გამოიყენებს, საქართველოს ეკლესია შეძლებს, არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც გადაარჩინოს ქვეყანა.**

**— მამაო, ბოლო ხანს აქტუალურია ლგბტ საკითხები. რატომ მიმდინარეობს ასე აქტიურდ ამ თემების განხილვა, როცა ეს ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ?**

— ეს არის სიმსივნე, რომელიც, თუ დროზე არ ამოიკვეთა, ქვეყანას მეტასტაზებად მოედება. ასეთი ადამიანები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ **არ მახსენდება შემთხვევა, იმ ცნობილ 17 მაისამდე რომელიმე სოდომელს ქუჩაში დახვედროდნენ და ეცემათ ან შეურაცხყოფა მიეყენებინათ, მაგრამ 17 მაისის შემდეგ უკვე იყო ასეთი ფაქტები. ქურდები ან მრუშები რომ გამოვიდნენ და იძახონ, რა კარგია, ასეთები რომ ვართო, იგივე არ იქნება?! ეს ხომ ავადმყოფობაა, რომლის აგიტაცია-პროპაგანდა დაუშვებელია.**

**— სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა იუსტიციის მინისტრს ინიციატივით მიმართა, გამარტივდეს ბარიერები და ტრანსგენდერებს შესაძლებლობა მიეცეთ, საკუთარი სქესი დოკუმენტებში ჩაწერონ. თუმცა, თუ ადამიანს აქვს სქესის შეცვლის უფლება, რატომ აქვს მნიშვნელობა, რა ჩაიწერება ოფიციალურ დოკუმენტში?**

— ჩვენ ახლა რაზე ვსაუბრობთ, ავადმყოფობაზე ხომ? ადამიანებმა რაღაც ავადმყოფური თქვეს და ჩვენ სერიოზულად უნდა განვიხილოთ? **იუსტიციის სამინისტროს პირველი პირიდან დაწყებული, ყველა, ვინც ამ იდეას განიხილავს, ავადმყოფია. სახალხო დამცველი, არაადეკვატური განცხადებებით რომ გამოირჩევა, არაერთხელ ვნახეთ და ის ჩემთვის სახალხო დამცველი არ არის.** გაუმართლებელია, როდესაც სახალხო დამცველი სოდომიას დაუჭერს მხარს მხოლოდ იმიტომ, რომ ის დემოკრატი და ყველას უფლებების ქომაგი გამოჩნდეს.

დასასრულ, თუ რამე კარგად ვერ ვთქვი, ყველას შენდობას ვთხოვ, შემინდოს საპატრიარქომ, ჩემს უფლებამოსილებას თუ გადავამეტე, მაგრამ, ალბათ, მქონდა უფლება, ჩემი აზრი გამომეთქვა...

ესაუბრა **შორენა ციჟქარაშვილი**

**„რესპუბლიკურ პარტიას სერიოზული მხარდაჭერა აქვს დასავლეთისგან, კერძოდ, იმ ძალებისგან, რომლებსაც უნდათ, საქართველო მათი ვასალი და დირექტივების უსიტყვოდ შემსრულებელი იყოს. ცხადია, ამისთვის აქ სჭირდებათ არაქართული ორიენტაციის ხალხი; სწორედ ამას ემსახურება ის პროპაგანდაც, რომ თურმე ქართველი ხალხის არჩევანია დასავლეთი. ეს ასე არ არის, ეს სააკაშვილის დროსაც დიდი ტყუილი იყო და ახლაც ტყუილია. ქართველი ხალხის არჩევანი არის მართლმადიდებლური ცხოვრების წესი, ქართული ტრადიციები და კულტურა“.**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე):

# თუ ასე გაგრძელდა, ხვალ-ზეგ პრეზიდენტიც კონჩიტა გვეყოლება და პრემიერიც

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სოფელ დიღმის წმინდა მარინეს ეკლესიის მოძღვარი მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე).**

**— მამაო, კათოლიკოს-პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა: „ჩვენი ახალგაზრდები უცხოეთში მოსამსახურეებად მუშაობენ იმ დროს, როდესაც სამშობლოში უცხო ხალხი შემოდის და ჩვენს მიწა-წყალს იკავებს...“ ზუსტად იმ დღეს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი მოაწერა სამთავრობო დადგენილებას, რომლის თანახმადაც, 94 უცხო ქვეყნის მოქალაქეს, 90-ის ნაცვლად, 365 დღე შეუძლია საქართველოში უვიზოდ დარჩენა. წინა ხელისუფლების ანალოგიურმა პოლიტიკამ მოგვცა ის, რომ ათიათასობით თურქმა და ირანელმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. ამჯერად რასთან გვაქვს საქმე?**

— პოლიტიკა იგივეა. ფაქტია, რომ ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა საზღვარგარეთ ეკონომიკური გაჭირვების გამო წავიდა. ძალიან ბევრს აქვს ბანკის ვალი, რომელსაც ვერ ისტუმრებს და კარგავს სახლს. ცხადია, ეს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს.

რაც შეეხება იმას, რომ ადამიანები უნდა ბრუნდებოდნენ სამშობლოში, ის, რაც პატრიარქმა ბრძანა, სრული ჭეშმარიტებაა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ის ერის სულიერი მამაა და გული სტკივა, ამიტომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რათა, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობა დაასაქმოს. კი, ბატონო, სხვაც შემოდის, შემოვიდეს; მაგრამ, როგორც ჩვენ გვილებენ სხვა ქვეყნებში, ჩვენც ისე უნდა ვილებდეთ მათ. ეს იქნება სწორი პოლიტიკა. სხვანაირად ამ პრობლემების გადაჭრა ვერ მოხერხდება, ვერანაირი საზღვრის გახსნა და ვიღაცებთან უვიზო მიმოსვლა მდგომარეობას ვერ გამოასწორებს.

**— ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის ლიბერალიზაცია ტურისტების რაოდენობას და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს გაზრდის.**

— საინტერესოა, რომელ ტურისტებზე საუბრობენ. რომ გაიძახიან, კრიმინალი გაიზარდაო, მარტო ქართველი სჩადის ამ კრიმინალს? რამდენჯერ იყო ხმაური და ერთი ამბავი საროსკიპოების გახსნაზე, ამასაც ქართველები აკეთებდნენ? სულ თურქების გახსნილია. **ნარკოტიკები ავიღოთ: საიდან შემოდის, თურქეთიდან არ შემოდის? და ვის შემოაქვს ეს ნარკოტიკები? ისევ იმ ხალხს, რომელსაც ესენი ტურისტებს ეძახიან.**

**— გამოდის, ხელისუფლებამ გზა გაუხსნა ამ ყველაფერს?**

— ხელისუფლება განიცდის ზეწოლას არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებსაც მმართველ გუნდში სერიოზული ლობი ჰყავთ რესპუბლიკური პარტიის სახით. აი, ეს არის დღეს ჩვენი უბედურება და ჭირი, თუმცა ამ ხელისუფლებაში არიან ნორმალური ადამიანებიც, რომლებსაც სურთ სასარგებლო საქმის კეთება, მაგრამ ისინი ცოტანი არიან და მათი ხმა, ფაქტობრივად, არ ისმის...

**— მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ რესპუბლიკური პარტია ძლიერდება და სულ უფრო მაღალ სახელისუფლო პოსტებს იკავებს. როგორ ფიქრობთ, რა ძალებითა და მექანიზმებით ახერხებენ ამას?**

— საქმე ის არის, რომ **რესპუბლიკურ პარტიას სერიოზული მხარდაჭერა აქვს დასავლეთისგან, კერძოდ, იმ ძალებისგან, რომლებსაც უნდათ, საქართველო მათი ვასალი და დირექტივების უსიტყვოდ შემსრულებელი იყოს. ცხადია, ამისთვის აქ სჭირდებათ არაქართული ორიენტაციის ხალხი და სწორედ ამას ემსახურება ის პროპაგანდაც, რომ თურმე ქართველი ხალხის არჩევანია დასავლეთი. ეს ასე არ არის, ეს სააკაშვილის დროსაც დიდი ტყუილი იყო და ახლაც ტყუილია. ქართველი ხალხის არჩევანი არის მართლმადიდებლური ცხოვრების წესი, ქართული ტრადიციები და კულტურა.** არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: მზე არც დასავლეთიდან ამოდის, არც სამხრეთიდან და არც ჩრდილოეთიდან, მზე ყოველთვის აღმოსავლეთიდან ამოდის...

**— თქვით, რომ ჩვენი არჩევანი არის არა ევროპა, არამედ მართლმადიდებლური ცხოვრების წესი. ეს ორი რამ ეწინააღმდეგება ერთმანეთს?**

— ეს ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებაა, მეტიც, ის ცხოვრების წესი, რომელსაც ე.წ. ლიბერალები თავს გვახვევენ, და მართლმადიდებლობა აბსოლუტურად საპირისპირო რამეა...

**— კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს ყველაფერი?**

— ავიღოთ 17 მაისი, ჩვენი წესი და ტრადიციაა მამათმავლების აღლუმი და ორგიები?! ახლა ვიღაცები დაიწყებენ ლაპარაკს — ამის უფლებებს არღვევ, იმას ლახავ, ამას ლახავ... მოდი, ასე ვთქვათ: არიან ავადმყოფები და არიან ჯანმრთელები. მამათმავალი და ამ ცოდვაში მყოფი ადამიანები იყვნენ ყოველთვის ჩვენთანაც და სხვაგანაც, მაგრამ მათ სახლში არავინ უვარდებოდა, არავინ დევნიდა. დღეს რატომ უნდა წარმოჩნდეს ეს ხალხი, რატომ უნდა გაიარონ რუსთაველზე?! საქართველოში თითოეული კუთხე ჩვენი გმირი წინაპრების სისხლითაა მორწყული... აქ უნდა გაიარონ?! ეს ყველაფერი არის დასავლეთის მიერ თავს მოხვეული იდეოლოგია და **უკვე დაუფარავად გვეუბნებიან: თუ გინდათ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, — ამ ე.წ. უმცირესობების უფლებები უნდა დაიცვათო. მე კი მათ ვეუბნები: არ მჭირდება შენი სავიზო ლიბერალიზაცია იმის სანაცვლოდ, რომ მამათმავლებმა და ვიღაც ავადმყოფებმა აქ ქუჩაში ირბინონ...**

— ამას წინათ სახალხო **დამცველმა უჩა ნანუაშვილმა იუსტიციის სამინისტროს მოუწოდა, ტრანსგენდერების მიერ სქესის შეცვლის აღიარება საკანონმდებლო დონეზე დაარეგულიროს. რა მიზანს ემსახურება ეს მოწოდება? ხომ არ მივყავართ ნელნელა იქით, რომ მალე ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებაზეც დაიწყოს საუბარი?**

— სამწუხაროდ, **ჩვენ დღეს სახალხო დამცველი არ გვყავს, ის კონჩიტების დამცველია.** სხვა რა დავარქვა, არ ვიცი. ჩვენ უმრავლესობა ვართ, ის კი უმცირესობის ინტერესს იცავს; თანაც, ცინიზმი ნახეთ, — ჩვენ, უმრავლესობას, გვეძახიან მოძალადეებს. არადა, **მოძალადეები არიან ისინი, ვისაც ეს საცოდავი ე.წ. სექსუალური უმცირესობა გამოჰყავს და საზოგადოებაში მათდამი ზიზღსა და სიძულვილს აღვივებს. თუმცა, როგორც ჩანს, მათი მიზანიც სწორედ ეს არის და ამიტომ ცდილობენ, მოსახლეობა მუდმივად გააღიზიანონ.** კიდევ ვიმეორებ: **თუ ასე გაგრძელდა, ხვალ-ზეგ პრეზიდენტიც კონჩიტა გვეყოლება და პრემიერიც.**

რაც შეეხება ერთსქესიანთა ქორწინებას, რა თქმა უნდა, მთელი ეს ე.წ. ნეოლიბერალური პროპაგანდა ამას უმზადებს საფუძველს და ძალიან მალე დაიწყებენ ამაზე საუბარს. შემდეგ იქნება ინცესტი, მერე — ძაღლებთან, კატებთან... რა თქმა უნდა, მათ „აქვთ“ ამის „უფლება“... სად მივდივართ — უფსკრულში? ეს გზა დაღუპავს საქართველოს, ამიტომ ვამბობ, რომ არ არის ეს ჩვენი არჩევანი, ასეთი დასავლეთი მე არ მინდა.



**— გასაგებია, მაგრამ ხალხში თუ არის პროდასავლური განწყობა? საზოგადოების რა ნაწილი შეიძლება იყოს დღეს ევროინტეგრაციის მომხრე?**

— კონკრეტული ციფრების დასახელება, ცხადია, გამიჭირდება, მაგრამ მე ვარ სასულიერო პირი, ვისმენ აღსარებებს და არანაირ დასავლურ ორიენტაციაზე საუბარი არ არის. ეს არის ტყუილი. კიდევ ვიმეორებ: იმ გარყვნილებისა და აღვირახსნილობის ფონზე, რომელსაც დღევანდელ ევროპაში ვხედავთ, რომელ ჭკუათმყოფელს შეიძლება ევროინტეგრაცია მოსწონდეს. ჩვენ ამ ყველაფერს თავს გვახვევენ პროპაგანდით და ამ პროცესში ძალიან დიდ როლს თამაშობს ტელევიზია...

**— ტელევიზია, რომელიც დიდწილად ისევ „ნაცმოძრაობის“ მიერ კონტროლდება.**

— ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს, ვის მიერ კონტროლდება — „ნაციონალების“ თუ ხელისუფლების, მთავარია, რომ **ორივეს ერთი ძალა მართავს და დამკვეთიც არის ერთი.**

**«უკვე დაუფარავად გვეუბნებიან: თუ გინდათ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა, ამ ე.წ. უმცირესობების უფლებები უნდა დაიცვათო. მე კი მათ ვეუბნები: არ მჭირდება შენი სავიზო ლიბერალიზაცია იმის სანაცვლოდ, რომ მამათმავლებმა და ვიღაც ავადმყოფებმა აქ ქუჩაში ირბინონ!»**

**— ერთსქესიანთა ქორწინებაზე ვსაუბრობდით და მცირე ხნის წინათ ჟურნალ „17 მაისის“ კორესპონდენტმა ხელისუფლების წამომადგენლებს ასეთი შეკითხვა დაუსვა: წარმოგიდგენიათ თუ არა ორი მამაკაცის ან ორი ქალის ერთობა ოჯახად. უმრავლესობამ თქვა, რომ წარმოუდგენია. როგორ ფიქრობთ, პარადოქსი არ არის ასეთი ადამიანების ყოფნა ხელისუფლების სათავეში?**

— პარადოქსია, საერთოდ, ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც დღეს გვაქვს. ეს არის უბედურება და ამის ასე დიდხანს დატოვება არ შეიძლება. რაც შეეხება ხელისუფლების კონკრეტულ წარმომადგენლებს, **არ ვიცი, ვინ თქვა, რომ ორი მამაკაცის ან ორი ქალის ერთობა ოჯახია, მაგრამ, ის ადამიანი ნორმალური რომ არ არის და ცნობიერების სერიოზული პრობლემები აქვს, აშკარაა.** ასეთ ადამიანებს არ უნდა ებაროთ სახელმწიფოს სადავეები, თავისთვის კი, რაც უნდათ, როგორც უნდათ, ისე იცხოვრონ, ეს უკვე მათი ნებაა.

**— დასასრულ, თუ მოხდა სასწაული და ჩვენი „ისტორიული არჩევანი“ აღსრულდა, ანუ ევროკავშირში შევედით, რას მივიღებთ შედეგად — რა სახელმწიფო გვექნება?**

— მოდი, რაც არ მოხდება, იმაზე ნუ ვილაპარაკებთ. ეს არის მირაჟი და ჩვენ ახლა ვართ იმ სახედრის მდგომარეობაში, რომელსაც წინ თივა დაუკიდეს და მიჰყვება იმედით, რომ ოდესმე შეჭამს. სწორად გამიგეთ, მე ქართველ ერს სახედარს არ ვადარებ, მაგრამ ვიღაცებს სურთ, ამ მდგომარეობაში გვამყოფონ...

აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ერთ საკითხსაც შევეხო, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლება საგულდაგულოდ ჩქმალავს, წლების განმავლობაში, განსაკუთრებით — „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში, ჩვენს სკოლებში ცდილობდნენ, ესწავლებინათ ე.წ. სექსუალური აღზრდა. ეს, ღვთის წყალობით, ვერ შეძლეს აქამდე, მაგრამ დღეს უკვე იმავეს სხვა ფორმით ცდილობენ. ამას ეძახიან ჯანსაღი ცხოვრების წესს და არავინ აკონკრეტებს, რას გულისხმობენ. ასევე ხშირად გვესმის სიტყვები **გენდერული თანასწორობა.** პირდაპირ ვამბობ: სადაც ეს სიტყვები ითქმება, იქ უკვე იგულისხმება ლგბტ საზოგადოება. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გვინდა, რომ ეს საკითხი იყოს საზოგადოებრივი განხილვის საგანი და ყველამ გაიგოს, რაზეა საუბარი. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რა „რეფორმებს“ გვიმზადებენ და კონკრეტულად რა სიახლეების დანერგვაზეა საუბარი, როცა განათლების მინისტრი სისტემაში მთელი რიგი ნოვაციების დანერგვაზე ლაპარაკობს. ისე, საზოგადოდ, ყველამ ვიცით, რა მზაკვრობა იმალება ამ ცვლილებების მიღმა და კიდევ გავიმეორებ: მათი ვერანაირი მცდელობა მიზანს ვერ მიაღწევს. ჯობია, **გონს მოეგონ და ნუ გაყოფენ თავს უბედურებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან ღვთისა და ერის რისხვა არ ასცდებათ...**

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და უკრაინის მთავრობას მადლობა გადავუხადო „ნაციონალების“ წაყვანისთვის; იქნებ რესპუბლიკელებიც წაეყვანათ... რაც უფრო დააჩქარებენ ამ პროცესს, მით უკეთესი. იქნებ ასე მაინც მოვიშოროთ ეს ჭირი და უბედურება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

უცხოური მედია საქართველოზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პირველი — საქართველო, პოლიტიკური თვალსაზრისით, აზერბაიჯანელებისთვის პროევროპული ქვეყანაა; მეორე — საქართველოს ეკონომიკური კუთხითაც მნიშვნელოვანი პლუსი აქვს: შავი ზღვის სანაპირო, თურქეთთან მეზობლობა, ხელსაყრელი საგადასახადო და საბაჟო პირობები; მესამე — საქართველოში ბევრი აზერბაიჯანელი სტუდენტი სწავლობს, ბევრი ერთობლივი საწარმოა შექმნილი. იქ, ასევე, მუშაობენ აზერბაიჯანული კომპანიები და ბანკების ფილიალები. მარტო „სოკარს“ საქართველოში 50 ბენზინგასამართი სადგური აქვს, ხოლო სამშენებლო კომპანია „აკორდი“ უამრავ ობიექტს აშენებს“.**

# რატომ ყიდულობენ საქართველოში საცხოვრებელს აზერბაიჯანის მოქალაქეები?



**„საქართველოში უცხოელ ინვესტორთაგან ყველაზე მეტ ბინას (სახლს) აზერბაიჯანის, თურქეთისა და ჩინეთის მოქალაქეები ყიდულობენ. 2014-2015 წლებში ქვეყნის მიმართ მნიშვნელოვანი დაინტერესება გამოხატეს დასავლეთ ევროპისა და სპარსეთის ყურის სახელმწიფოებმა“, — აღნიშნულია აზერბაიჯანის გაზეთ „ეხოს“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორები: ბ. საფაროვი, ნ. ალიევი), რომელშიც განხილულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, ინვესტიციების მოზიდვის გეგმები, უცხოელი ბიზნესმენების საქმიანობა და სხვა საკითხები. აღნიშნულია, რომ საქართველოს მიმართ დაინტერესებას იჩენენ აზერბაიჯანელი ინვესტორებიც, რომლებსაც ბოლო ხანს საქართველოში ბინადრობის უფლების მოპოვება სურთ.**

აზერბაიჯანელი ექსპერტი **აზერ ალახვერანოვი** განმარტავს, რით არის გამოწვეული აზერბაიჯანელთა დაინტერესება საქართველოში ბინადრობის უფლების მიღებით. „პირველი — საქართველო, პოლიტიკური თვალსაზრისით, აზერბაიჯანელებისთვის პროევროპული ქვეყანაა; მეორე — საქართველოს ეკონომიკური კუთხითაც მნიშვნელოვანი პლუსი აქვს: შავი ზღვის სანაპირო, თურქეთთან მეზობლობა, ხელსაყრელი საგადასახადო და საბაჟო პირობები; მესამე — საქართველოში ბევრი აზერბაიჯანელი სტუდენტი სწავლობს, ბევრი ერთობლივი საწარმოა შექმნილი, აქ ასევე მუშაობენ აზერბაიჯანული კომპანიები და ბანკების ფილიალები. მარტო „სოკარს“ საქართველოში 50 ბენზინგასამართი სადგური აქვს, ხოლო სამშენებლო კომპანია „აკორდი“ უამრავ ობიექტს აშენებს. ეს ყველაფერი განაპირობებს იმას, რომ აზერბაიჯანელი სპეციალისტების განსაზღვრული რაოდენობა სამუშაოდ საქართველოში მიდის, მათ იქ საკუთარ ბინაში სურთ ცხოვრება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ბინადრობის უფლებას — დროებითი ცხოვრების უფლებას ითხოვენ; სამომავლოდ კი, არ არის გამორიცხული, მუდმივი ცხოვრების უფლებაც და მოქალაქობაც მიიღონ. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ საქართველოს ევროკავშირთან, ალბათ, მალე ექნება უვიზო რეჟიმი“, — ამბობს აზერ ალახვერანოვი.

ჩნდება კითხვა — რატომ მაინცდამაინც საქართველო და არა თურქეთი ან უკრაინა, რომლებიც ასევე შავიზღვისპირა სახელმწიფოებია? „იმიტომ, რომ თურქეთში, საქართველოსგან განსხვავებით, ბიზნესის დაწყება რთული საქმეა. რაც შეეხება უკრაინას, ეს ქვეყანა ჩვენი თანამემამულეებისთვის, გასაგები მიზეზების გამო, ნაკლებად მიმზიდველია. იქ მიმდინარე კონფლიქტის გამო უკრაინაში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები საქართველოში გადმოსახლდნენ“, — აღნიშნავს აზერბაიჯანელი ექსპერტი.

**ЭХО (აზერბაიჯანი)**

# მიხეილ სააკაშვილი, როგორც უკრაინელი პოლიტიკოსი



**„საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს“ მიერ 7 ივნისს გადაცემულ სიუჟეტში საქართველოს შესახებ, რომლის ავტორია თბილისელი კორესპონდენტი გიორგი ლებანიძე, მთავარი აქცენტი გაკეთდა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დანიშვნაზე ოდესის ოლქის გუბერნატორად: „საქართველოში კვირის მთავარ მოვლენად იქცა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიერ თავისი შტატგარეშე მრჩევლის — მიხეილ სააკაშვილის სენსაციური დანიშვნა ოდესის ოლქის გუბერნატორის თანამდებობაზე, რაც ყველასათვის მოულოდნელი იყო უკრაინაშიც და საქართველოშიც“.**

რამდენიმე თვის წინათ მიხეილ სააკაშვილი ამბობდა, რომ საქართველოს მოქალაქეობას უკრაინის ვიცეპრემიერად დანიშვნის ფასადაც არ დატოვებდა, ახლა კი მან უკრაინის მოქალაქეობა მიიღო, რაც თავისთავად საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ამისათვის გარკვეული იურიდიული პროცედურებია საჭირო, მაგრამ აშკარაა, ექსპრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეობას უნდა გამოემშვიდობოს.

რა შეიცვალა ამ რამდენიმე თვის განმავლობაში?

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებაზე რამდენიმე ფაქტორმა იქონია გავლენა:

**პირველი** — საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო აქტიურად ითხოვდა მის, როგორც საქართველოს მოქალაქის, ექსტრადირებას სამშობლოში. მართალია, კიევი თბილისს უარს ეუბნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იუსტიციის მინისტრის — თეა წულუკიანის ამასწინანდელმა ვიზიტმა უკრაინაში მოვლენების განვითარება დააჩქარა. ამბობენ, რომ მან მკაცრად დასვა საკითხი უკრაინის ხელისუფლების წინაშე. შესაბამისად, სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა ამჯობინა, თანაც ოდესის გუბერნატორობის პერსპექტივით;

**მეორე** — განხეთქილება პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“, რომლის ხელმძღვანელიც თვითონაა. მიხეილ სააკაშვილმა დაინახა, რომ ყველა თანაპარტიელი არ არის მზად, მის დაბრუნებას დაელოდოს, ხოლო მომავალ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვება ბუნდოვანია. ოდესის ოლქის გუბერნატორობა კი უკრაინაში სააკაშვილისთვის გავლენის ბერკეტია სამომავლო წინსვლისთვის;

**მესამე** — ყოფილი პრეზიდენტი მოქმედებს ლათინური ანდაზის მიხედვით: „სჯობს, პირველი კაცი ვიყო პროვინციაში, ვიდრე მეორე — რომში“. მართლაც, სრული ხელისუფლება უკრაინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სტრატეგიულ ოლქში მიხეილ სააკაშვილს საშუალებას მისცემს, თავისი ენერგიის რეალიზება მოახდინოს. იგი რომ კიევში ვიცეპრემიერობაზე დათანხმებულიყო, მინისტრთა კაბინეტში ჩაიკარგებოდა, ოდესის გუბერნატორობა კი პრესტიჟული თანამდებობაა. თუ მიხეილ სააკაშვილი იქ წარმატებით განახორციელებს რეფორმებს და კორუფციას ამოძირკვავს, იგი უკრაინისა და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იქნება.

**RFI - Radio France Internationale (საფრანგეთი)**

# საქართველო «ისლამური სახელმწიფოს» «ბოევიკებთან» წამსვლელების ნაკადის შემცირებას ცდილობს

**„საქართველოს პარლამენტის დეპუტატები განიხილავენ კანონპროექტებს, რომლებიც მიმართულია ქვეყნის მოქალაქეების სირიაში მებრძოლ „ბოევიკებთან“ წასვლის დასაბრკოლებლად, თუმცა, ხელისუფლების მიერ ბოლო ხანს მიღებული ზომების მიუხედავად, კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მთავრობას მეტის გაკეთება შეუძლია“, — ნათქვამია ამერიკული გამოცემა „ევრაზიანეთ“-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც ჩამოთვლილია ბრძოლებში საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობისა და მათი დაღუპვის ფაქტები, აღნიშნულია, რომ ბოლო ხანს გავრცელდა ინფორმაცია ქალების სირიაში წასვლის თაობაზეც — „ბოევიკებზე“ გათხოვებისა თუ „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ცხოვრების მიზნით.**

საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც „ისლამური სახელმწიფოს“ მეომრებთან მხარდამხარ ბრძოლა სურთ, სირიაში, ჩვეულებრივ, თურქეთის გავლით მიდიან. ზუსტად არავინ იცის, საქართველოს რამდენი მოქალაქე მონაწილეობს სირიასა და ერაყში მიმდინარე სამოქალაქო ომში, მაგრამ, რადგან საქართველოში შემოდგომაზე ნატოს საწვრთვნელი ცენტრის გახსნა იგეგმება, საზღვრების უსაფრთხოების დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

„ბევრი ფიქრობს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს საბრძოლველად მხოლოდ პანკისის ხეობელები მიდიან (პანკისელია „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარების ერთ-ერთი მეთაური თარხან ბათირაშვილი, იგივე აბუ-ომარ ალ-შიშანი), თუმცა არის ცნობები, რომ სირიაში იბრძვიან საქართველოს სხვა მუსლიმანური თემიდან წასულებიც — აჭარიდან და ქვემო ქართლიდან, რომლებიც გეოგრაფიულად თურქეთისა და აზერბაიჯანის საზღვრისპირა რეგიონებია.

სირიაში წასვლის მსურველთა ნაკადის შესამცირებლად 29 მაისს საქართველოს პარლამენტმა გამკაცრებული კანონი მიიღო (ისჯება 9-წლიანი პატიმრობით), მაგრამ ოფიციალური წრეების აღიარებით, მხოლოდ სადამსჯელო ზომებით ვითარება არ გამოსწორდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღიარა, რომ პანკისის ხეობაში მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდების გადაბირებას ეწევიან და მათ სირიაში გზავნიან. „ეს გლობალური პრობლემაა, რომელსაც განვითარებული ქვეყნებიც კი აწყდებიან — ქართველ ახალგაზრდებზეც ისეთივე გავლენას ახდენენ, როგორც ევროპელებზე“.

საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **ირაკლი ალასანიამ,** რომელიც 1990-იან წლებში, სახელმწიფო უშიშროების სამსახურში მუშაობისას, პანკისის ხეობაში ხშირად იმყოფებოდა, განაცხადა, რომ ხელისუფლებამ კომპლექსური ღონისძიებები უნდა გაატაროს „ისლამურ სახელმწიფოში“ საბრძოლველად წამსვლელი ახალგაზრდების რაოდენობის შესამცირებლად. „პირველ რიგში, სოციალური პრობლემებია გადასაწყვეტი. ახალგაზრდები ხაფანგში არიან მოქცეულნი, მათ განვითარებისთვის პირობები არ აქვთ. ადგილობრივმა და ცენტრალურმა ორგანოებმა აქტიურობა უნდა გამოიჩინონ, თუმცა ამას ვერ ვხედავ“.

**შოთა უტიაშვილი,** რომელიც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობისას შსს-ს ანალიტიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ახლა პოლიტიკური ანალიზის ცენტრის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელია, ირაკლი ალასანიას პოზიციას ეთანხმება: „ხელისუფლება თვალს ხუჭავს მოხალისეთა გადაბირების ფაქტებზე. მთავრობა ფიქრობს, რომ ეს მათი საქმე არ არის“.

ქართველ საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა ორი პანკისელი ახალგაზრდის — 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილისა და 18 წლის რამზან ბაგაკაშვილის სირიაში წასვლას. პანკისის ხეობის მოსახლეობა ამ ფაქტმა აღაშფოთა და მთავრობას საჩივრით მიმართა. როგორც ამ სტატიის ავტორთან შს მინისტრის მოადგილემ თალაკვაძემ განაცხადა, იმ პოლიციელებმა, რომელთა მუშაობის დროსაც ახალგაზრდებმა საქართველოს საზღვარი გადაკვეთეს, „მკაცრი საყვედური დაიმსახურეს“.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა დიდი თანხები დახარჯეს საქართველოს სასაზღვრო კონტროლის გასაუმჯობესებლად. მართლაც, ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება დადებითია. ირაკლი ალასანიას თქმით, საქართველოს აქვს ტექნიკური შესაძლებლობები სირიაში წამსვლელთა მიერ საზღვრის გადაკვეთის აღსაკვეთად, მაგრამ არ ხდება სხვადასხვა უწყების ძალისხმევის კოორდინაცია, რომლებიც მართლწესრიგის დაცვითა და ტერორიზმთან ბრძოლით არიან დაკავებულნი.

**პოლ რიმპლი**
**Eurasianet (აშშ)**

**მომზადებულია გლობალური კვლევების ცენტრის მიერ**

„სააკაშვილმა, რომელიც იქითა მხარემ უკვე მაღალ პოსტზე დანიშნა, საქართველოს ძირითადი ნაწილი ამერიკას მიჰყიდა. ის, რაც ხალხს გადაუგდეს, მოხელეების ხელფასებს მოხმარდა. ადრეც და ახლაც, ვინც ნორმალურ ხელფასს იღებს, არიან სამხედროები და პოლიციელები, პენსიონერ ბებიას კი პურის ფული არ აქვს. იქ არ არის ისეთი ცხოვრება, როგორც აპიარებენ. კი, ქალაქი ლამაზად გადაღებეს ამერიკული ფულით და მორჩა. ცხოვრება, როგორიც იყო, ისეთივე დარჩა; სამუშაო ადგილები, როგორც არ იყო, ახლაც არ არის“.

ერთხელ უკრაინაში

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რომან ფარცვანია:

# ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ მეორედ მომიწევდა იარაღის ხელში აღება

## საქართველოს ეროვნული გვარდიის უფროსი ლეიტენანტი შვილთან ერთად რუსების მხარდამხარ იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ

**დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ტელევიზიის ჟურნალისტმა ინტერვიუ ჩამოართვა სახალხო ლაშქრის ბრიგადა „ვოსტოკის“ მე-2 ბატალიონის ასეულის მეთაურს — რომან ფარცვანიასა და მისი 19 წლის ვაჟს — გიას (გიორგს). მათი ასეული დონეცკის ოლქის დასახლება სპარტაკის ყველაზე სახიფათო ზონაში იბრძვის.**
**საქართველოს ეროვნული გვარდიის უფროსი ლეიტენანტი რომან ფარცვანია საუბრობს, როგორ მოხვდა შვილთან ერთად აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ძმათამკვლელ ომში.**
**გთავაზობთ ამ ინტერვიუს, რომელიც მიმდინარე წლის 2 ივნისს „იუთუბზე“ აიტვირთა.**



**გია:** — ომამდე სპორტით ვიყავი დაკავებული, ვსწავლობდი მზარეულობას. ახლაც, როდესაც სროლები არ არის, ვცდილობ, სასწავლებელში ვიარო.

**რომანი:** — გია ჩვენი ქვედანაყოფის ფელდშერია. უნარ-ჩვევებს გზადაგზა ვიძენთ, ვინც უნდა იყოს — ჩემი შვილი იქნება თუ სხვა ნებისმიერი მებრძოლი. ყველა ერთნაირად მუშაობს, თითოეულმა თავისი საქმე იცის.

ჩემს ქვედანაყოფში, ჩემს ასეულში არიან აზერბაიჯანელებიც, მე ქართველი ვარ, ყაზახებიც იყვნენ. მრავალეროვანი ასეულია, ისეთივე, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი, შეიძლება ითქვას, აი აქ, ჩვენთან კვლავ შეიკრიბა საბჭოთა კავშირი, ჩვენ აქ ერთად ვდგავართ. იმის მიუხედავად, ვინ ვის წინააღმდეგ იბრძოდა — ქართველები აფხაზების თუ ოსების წინააღმდეგ, **ერთმანეთის გვერდით ვდგავართ და ლუკმაპურს ვიყოფთ. ჩვენთან არავინ ფიქრობს შურისძიებაზე ან იმაზე, რომ ვიღაცას ზურგში ესროლოს, ღმერთმა დაგვიფაროს!**

ჩემს ასეულში არის ოსიც, რომელიც დაჯილდოებულია ჯვრით და ღირსეული მებრძოლია, ჩემი თითოეული მებრძოლი ღირსეული პიროვნებაა, დიდი მეომარი. ყველამ როტაციის გარეშე გამოვიზამთრეთ.

იქითა მხარეს რაც შეეხება, **ბევრი აქვთ ტექნიკა, ამუნიცია, მაგრამ სული, სიმამაცე არ ჰყოფნით. ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის არა უკრაინული არმია ან „მემარჯვენე სექტორი“, თუმცა ისინიც გვებრძვიან, მაგრამ ძირითადად ნატოს ბლოკის წარმომადგენლები არიან.** ამას იმიტომ ვამბობ, რომ სულ უფრო ხშირად გვივარდება ხელში იარაღი, დანით დაწყებული, მძიმე ტექნიკით დასრულებული, რომელიც ნატოს შეიარაღებაშია, ნატოს ნუმერაციაც კი აქვს. ვისაც ახსოვს საბჭოთა წლები, ცივი ომი ყოველთვის მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის, ასეა დღესაც — უბრალოდ, **ამერიკას ახალი პლაცდარმი სჭირდებოდა ვალების ჩამოსაწერად, რომელიც მსოფლიოს მიმართ აქვს, ამიტომ ჩაითრიეს უკრაინა ამ ომში და ახლა ძმა ძმის წინააღმდეგ და ნათესავი ნათესავის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძვის.** ეროვნებით ქართველი ვარ, ნამდვილი ქართველი. ვფიქრობ, **უახლოეს ხანში აღდგება მეგობრული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის.** ეს ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული იყო, ყოველ შემთხვევაში, რაც თავი მახსოვს. და არსებობს კიდევ ისტორიაც, სადაც ბევრი რამ არის ნათქვამი; აგრეთვე, მშობლებისა და ბაბუების მონათხრობი, რომ კავკასიაში ყოველთვის მოხარული იყვნენ რუსეთის.

> «ბევრი აქვთ ტექნიკა, ამუნიცია, მაგრამ სული, სიმამაცე არ ჰყოფნით. ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის არა უკრაინული არმია ან «მემარჯვენე სექტორი», თუმცა ისინიც გვებრძვიან, მაგრამ ძირითადად ნატოს ბლოკის წარმომადგენლები არიან»

**სააკაშვილმა, რომელიც იქითა მხარემ უკვე მაღალ პოსტზე დანიშნა, საქართველოს ძირითადი ნაწილი ამერიკას მიჰყიდა. ის, რაც ხალხს გადაუგდეს, მოხელეების ხელფასებს მოხმარდა. ადრეც და ახლაც, ვინც ნორმალურ ხელფასს იღებს, არიან სამხედროები და პოლიციელები, პენსიონერ ბებიას კი პურის ფული არ აქვს. იქ არ არის ისეთი ცხოვრება, როგორც აპიარებენ. კი, ქალაქი ლამაზად გადაღებეს ამერიკული ფულით და მორჩა. ცხოვრება, როგორიც იყო, ისეთივე დარჩა; სამუშაო ადგილები, როგორც არ იყო, ახლაც არ არის.**

თუკი ყველაფერი რიგზეა, რატომ მიდიან სამშობლოდან ქართველები? ჩვენი თანამოძმეები უკრაინაში ჩავიდნენ და რუსეთშიც ძალიან ბევრი ცხოვრობს. რა აზრი აქვს უცხოეთში გამგზავრებას, თუ სამშობლოში ცხოვრება კარგია?!

მე ჩემი პირველი ომის შემდეგ წამოვედი, არ ვმონაწილეობდი არც აფხაზეთისა და არც ოსეთის ომში. მე ზუსტად ასეთ ომში, სამოქალაქო ომში ვიბრძოდი, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო, რომლისკენაც გზას იკაფავდა შევარდნაძე. **მე შევარდნაძის წინააღმდეგ ვიბრძოდი. იმხანად უკვე მქონდა წოდება — საქართველოს ეროვნული გვარდიის უფროსი ლეიტენანტი. ცხონებული მამაჩემიც იბრძოდა — დასავლეთ საქართველოში კომენდანტი იყო...** აი, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ მეორედ მომიწევდა ხელში იარაღის აღება. იარაღი კი იმიტომ ავიღე, რომ ჩემი ორი შვილი აქ დაიბადა. მეორე ნიუანსი არის ის, რომ საღ გონებაზე ვარ, არ ვარ ინვალიდი და იმის ყურება, როგორ ბომბავენ ქალაქებს, იღუპებიან ბავშვები და ქალები, ძალიან მძიმეა; რეალურად ვხედავთ, როგორ იწყებს ფაშიზმი აყვავებას, აყვავებას ჩვენ წინააღმდეგ და სწრაფად ვრცელდება.

როგორ შეიძლება იმ ადამიანებთან ერთად ცხოვრება, რომელთა წინააღმდეგაც იყო ომი და რომელშიც ჩვენმა ბაბუებმა გაიმარჯვეს?!

რისთვის და ვისთვის იბრძოდნენ ისინი?! — ჩვენი კეთილდღეობისთვის, მშვიდობისთვის.

**მომზადდა youtube-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით (youtube.com/watch?v=IQwSx-nn9ss)**

> «იარაღი იმიტომ ავიღე, რომ ჩემი ორი შვილი აქ დაიბადა. საღ გონებაზე ვარ, არ ვარ ინვალიდი და იმის ყურება, როგორ ბომბავენ ქალაქებს, იღუპებიან ბავშვები და ქალები, ძალიან მძიმეა; რეალურად ვხედავთ, როგორ იწყებს ფაშიზმი აყვავებას, აყვავებას ჩვენ წინააღმდეგ და სწრაფად ვრცელდება. როგორ შეიძლება იმ ადამიანებთან ერთად ცხოვრება, რომელთა წინააღმდეგაც იყო ომი და რომელშიც ჩვენმა ბაბუებმა გაიმარჯვეს?! რისთვის და ვისთვის იბრძოდნენ ისინი?! — ჩვენი კეთილდღეობისთვის, მშვიდობისთვის»



მთავარი



## «ისლამურ სახელმწიფოს» ატომური ბომბის შექმნის შესაძლებლობა აქვს

**„ისლამურ სახელმწიფოს“ ატომური ბომბის შექმნის შესაძლებლობა აქვს. ამის თაობაზე მედია ავსტრალიურ სადაზვერვო სამსახურზე დაყრდნობით იტყობინება.** გავრცელებული ცნობით, ისლამისტები ფლობენ საკმარის რადიოაქტიურ მასალას იმისათვის, რომ შექმნან ატომური ბომბი. აღსანიშნავია, რომ ჯიჰადისტებმა მასობრივი განადგურების იარაღის განვითარების ამბიციების შესახებ უკვე განაცხადეს. მანამდე კი ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა გააფრთხილეს მსოფლიო, რომ ისლამისტებს ბირთვული იარაღის მიღება პაკისტანიდან შეუძლიათ.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლენინ-ტროცკის ორივე ძუძუზე მიშვებული მენშევიკური მთავრობა, რუსეთისგან გამოყოფამ და დამოუკიდებლობის გამოცხადების კარნახმა შოკში ჩააგდო. ყველაზე მამალ მენშევიკს — კაკი წერეთელს „კაპლით“ აბრუნებდნენ, როდესაც ნოე ჟორდანია დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად აივანზე გასასვლელად ემზადებოდა.**

## ნაწილი V

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №18-21 (300-303)

# სტალინი და მენშევიკური მთავრობა

**გოგიტა ფალავას მიერ „ფოშტით“ გამოგზავნილი დეპეშა — „პეტროგრადში მთავრობაძე გარდაიცვალა, გადაეცით ახლობლებს!“ — ის „რევოლუციური ქარიშხალი“ იყო, რომელმაც რუსეთის დროებით მთავრობაში მოკალათებული ქართველი მენშევიკი ლიდერები ნევის ნაპირებიდან გამორეკა და პოზიციები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დააკავებინა.**

ცოტა ხნის შემდეგ მეორე „ტრაგიკული“ დეპეშა მიიღო საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ: სტამბულიდან ზურაბ ავალიშვილი ატყობინებდა საქართველოს მთავრობას, რომ ქვეყანამ სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს დამოუკიდებლობა და, თუ ასე არ მოხდებოდა, ყოველგვარი მცდელობა დახმარებისა გერმანიის სახელმწიფოსგან უშედეგოდ დასრულდება. **ლენინ-ტროცკის ორივე ძუძუზე მიშვებული მენშევიკური მთავრობა, რუსეთისგან გამოყოფამ და დამოუკიდებლობის გამოცხადების კარნახმა შოკში ჩააგდო. ყველაზე მამალ მენშევიკს — კაკი წერეთელს „კაპლით“ აბრუნებდნენ, როდესაც ნოე ჟორდანია დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად აივანზე გასასვლელად ემზადებოდა.**

ამ ორმა დეპეშამ ძირეულად შეცვალა მენშევიკების არა მხოლოდ სტრატეგია, არამედ ტაქტიკაც. არაეროვნულები უცბად ეროვნულები გახდნენ, „ინტერნაციონალები“ — ნაციონალისტები. დავიწყებას მიეცა ნოე ჟორდანიას სიტყვები საზღვარგარეთ ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციაზე, სადაც მან განაცხადა:

**„თუ ისინი წინათ იყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, ახლა გახდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები და მათ ყველაფერი ეროვნული დაკარგეს“** („ოქმი ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციისა“, პარიზი, 1904 წელი, გვ. 3).

მენშევიკური მთავრობა და პირადად ნოე ჟორდანია დაუნდობლად ებრძოდა ე.წ. ნაციონალისტებს და მიწასთან ასწორებდა მათ დებულებებსა და მოთხოვნებს. **ნოე ჟორდანიას მოგონებათა წიგნი „ჩემი წარსული“ მოვლენათა მიმდინარეობიდან 10-12 წლის შემდეგ დაიწერა, მაშინ, როდესაც ურემი უკვე გადაბრუნებული იყო და გზა გამოჩენილი, ამიტომ ავტორის მიერ წარსული მოგონებების შელამაზების მცდელობა კომიკურად წარმოაჩენს არა მხოლოდ ნაწარმოებს, არამედ ავტორსაც.**

როგორც წინა წერილებში აღვნიშნეთ, **მენშევიკების მიერ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქვეყნოდ გამართული პოლემიკის შელამაზება-გადაკეთება ათწლეულების შემდეგ მკითხველისა და საზოგადოების შეურაცხყოფაა, რასაც თავხედურად განაგრძობს ზოგიერთი თანამედროვე მეისტორიე.**

ისტორიამ იცის და მკითხველიც დარწმუნებულია, რომ ნოე ჟორდანიასთვის ილია ჭავჭავაძე „ძველი, დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობის განსახიერება იყო... ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი საქმიანობა (სათავადაზნაურო ბანკის შექმნა და სხვ.) ვიწრო კლასობრივი მოღვაწეობა უფრო იყო, ვიდრე დიდი ეროვნული საქმე“ (უშანგი სიდამონიძე. ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსული“, გვ. 132).

**უახლესი ისტორიისადმი არასწორი მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია მკვლევარი ისტორიკოსების მიერ გვერდის ავლა მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულების მიმართ ეროვნული საკითხისადმი და ამ დამოკიდებულების გადაფარვის მცდელობა სხვადასხვა ზღაპრითა და ლეგენდით. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ეს ბედუკუღმართი და ისტორიას გზასაცდენილი სამი წელიწადი შეუსწავლელი და საგანგებოდ შექმნილ ბურუსშია გახვეული.** მე არ მიკვირს უახლესი ისტორიის მკვლევართა ფალსიფიკატორული საქმიანობა, ისინი ხომ ხარკს უხდიან იმ „ფოშტით“ მიღებულ რევოლუციას და „ფოშტითვე“ მიღებულ ნანატრ დამოუკიდებლობას, რომლის მემკვიდრედაც, უკვე 25 წელია, თავს აცხადებს სამჯერ გადაგდებული და მეოთხედ უკვე შესაცვლელი ხელისუფლება.

მე ის მიკვირს, სტალინურმა ეპოქამ, სტალინურმა ისტორიოგრაფიამ რატომ არ შეისწავლა და დღის სინათლეზე არ გამოიტანა ის არასახელმწიფოებრივი აზროვნება, პრივიტივიზმი და სიბნელე, რომელიც 1918-1921 წლებში სუფევდა საქართველოში. თუმცა სხვას რას ვერჩი, როდესაც თვითონაც მეუხერხულება წერა იმაზე, რომ ქვეყნის მეთაურმა არ იცის „აღსტაფა“ თბილისსა და გორს შუა რომ არ მდებარეობს, რომ ჯარისკაცი ფეხით, როგორ სწრაფადაც უნდა იხევდეს უკან, მატარებელს ვერ გაუსწრებს, რომ კახეთის ტერიტორიის შემოხაზვის შემდეგ მთავრობის წევრმა გაკვირვებულმა თქვას, ეს რამხელა ქვეყანა გვქონიაო, რომ ახლა უნდა გავყაროთ გურულები, რომლებმაც დაღუპეს საქართველო და მეგრელებმა და ქართლელებმა გადავარჩინოთ სამშობლოო. და სხვა უამრავი პრიმიტიული აზროვნების ნიმუში, რომლებმაც დააკნინეს საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური პოტენციალი. **კერძო საკუთრების უდიერი მოპყრობის კლასიკური ნიმუშია მენშევიკების მიერ წამოწყებული მიწის რეფორმა, სახელმწიფოს მშენებლობის ელემენტარული უცოდინარობაა მათი დამოკიდებულება ჯარის შექმნის მიმართ. ძალმომრეობის უკიდურესი ფორმებია გამოყენებული რელიგიისა და ეკლესია-მონასტრების წინააღმდეგ. სრულ ქაოსსა და ანარქიაშია გახვეული მთის მოსახლეობა, რომელიც რიგ ადგილებში უკანონოდაც კი გამოცხადდა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სვანეთი.**



საქართველოს მთავრობა, 1920 წ.

# მენშევიკების მიერ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქვეყნოდ გამართული პოლემიკის შელამაზება-გადაკეთება ათწლეულების შემდეგ მკითხველისა და საზოგადოების შეურაცხყოფაა, რასაც თავხედურად განაგრძობს ზოგიერთი თანამედროვე მეისტორიე

მენშევიკურმა მთავრობამ სვანეთის საკითხი იმით გადაჭრა, რომ ეს ხალხი კანონს გარეშე გამოაცხადა ლეჩხუმში მომხდარი გამოსვლების გამო და გზა დაუკეტა მას ყოველი მხრიდან. ასეთ დროს ისეთი ხალხის კანონგარეშე გამოცხადება, როგორიც არიან სვანები და მათთვის გზების დაკეტვა და მთებში მომწყვდევა რა შედეგით დამთავრდებოდა, ადვილი წარმოსადგენი იყო... ......

1918 წლსი 12 თებერვალს სვანეთის დელეგაცია წარუდგა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. დელეგაციის ხელმძღვანელმა **ეგნატე გაბლიანმა** სხვათა შორის მიმართა მას შემდეგი სიტყვებით:

„ნება მოგვეცით, მუდამ თავისუფლების მოტრფიალენი მოგვესალმოთ, უძველეს დროიდან კავკასიის მთებს შუა მომწყვდეული სვანები, აქ არსებულ ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობების წყალობით, მოწყვეტილნი ვართ ქვეყნიერებას და განვიცდით ცხოვრების პირველყოფილ პირობებში არსებობას. რევოლუციის შემდეგ დავრჩით სრულიად უპატრონოდ. ჩვენი ხალხი ანარქიის ქარცეცხლშია გახვეული, სვანები აწუხებენ ერთმანეთს, აწუხებენ მეზობელ ხალხებს. საჭიროა პატრონობა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევს, ჩვენთან არ მოდის და ამიტომ თვითონ ჩამოვედით მის საძებრად და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობად“.

მთავრობის თავმჯდომარემ **ნოე ჟორდანიამ** კი ეს პასუხი გასცა სვანებს:

„მართალია, ჩვენ სვანეთს ასეთ არევ-დარევის დროს ყურადღება ვერ მივაქციეთ სიშორის გამო. ჩვენ აქაც ბევრი საქმეები გვქონდა და სვანეთისათვის ვერ მოვიცალეთ, მაგრამ ვეცდებით, შემდეგ მაინც გიპატრონოთ“ (ეგნატე გაბლიანი, „ძველი და ახალი სვანეთი“, გვ. 188-191).

ისე დამთავრდა მენშევიკური მთავრობის სამწლიანი ეპოპეა, რომ მათ სვანეთისკენ არ გაუხედავთ. სვანების გაუსაძლის ყოფა-ცხოვრებაზე თვით დიდი პოეტი **გალაქტიონ ტაბიძეც** კი შეწუხებული წერს:

**„კავკასიის მაღალ მთეში დადგა სისხლის ფეშხუმიო, გადიკიდნენ იქ სვანები, აქეთ — რაჭა-ლეჩხუმიო“.**

სვანეთის სამწლიანი მენშევიკური პერიოდი ენით აუწერელი და წარმოუდგენელი მოვლენების კალეიდოსკოპია, რომელიც შეუძლებელია, მკითხველმა აუღელვებლად წაიკითხოს.

1917 წლის რევოლუციის არც მიმდინარეობა და არც მნიშვნელობა სვანებისთვის არავის აუხსნია; არავის უთქვამს, რატომ მოხდა რევოლუცია ან რა იქნება რევოლუციის შემდეგ. სვანეთი ხელისუფლების გარეშე დარჩა. ისედაც თემურ წყობილებაზე აგებული სვანეთი კიდევ უფრო ჩაიკეტა მტკიცედ ნაშენ ციხეკოშკებსა და გალავნებში. ურთიერთკავშირი და თემთა შორის ერთგულება ხატის წინაშე დაფიცებით მტკიცდებოდა, რამაც შექმნა თავდაცვისა და თავდასხმის დროს ურღვევი კავშირები.

თემი თემის წინააღმდეგ, ხოლო სოფელი სოფლის წინააღმდეგ იბრძოდა. არავინ იცოდა, რომელი ციხის გალავნიდან იქუხება „ბერდანკა“ თუ „კაჟიანი თოფი“ და სად დაეცემოდა განგმირული ახლო მეზობელი თუ თანასოფლელი. შურისძიებამ მოიცვა სვანეთის მთელი მოსახლეობა. გაუგონარი შურისძიების ფორმა — „ლიშვან“ (სვანობა) — ერთის გამო ორის მოკვლა, სისასტიკეს და აუარებელ სისხლის ღვრას იწვევდა. შურისძიების ფაქტები არათუ გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა ერთის გამო — ორი, ორის გამო — ოთხი და ასე შემდეგ.

არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ 1918 წლის ლეჩხუმის აჯანყებამ კატასტროფაში მოახვედრა სვანეთი, რომელსაც მოჰყვა ამ კუთხის მოსახლეობის კანონგარეშედ გამოცხადებაც კი:

„სვანეთი ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, რომ შურისძიების ნიადაგზე დაღვრილი საკუთარი სისხლის მდინარეებში იხრჩობოდა. მეურნეობა გაჩანაგდა, მეზობლები ნადგურდებოდნენ და სიტყვა სვანის გაგონებაზე ტანში ცახცახი უტყდებოდათ“ (ეგნატე გაბლიანი, „ძველი და ახალი სვანეთი“, გვ. 19).

**ეგნატე გაბლიანი გამორჩეული გარეგნობის, სიმამაცისა და ერისკაცობის ნიმუშია დღემდე არა მხოლოდ სვანეთში, არამედ სრულიად საქართველოში. ეგნატე გაბლიანი მამაა ვერმახტის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის — გივი გაბლიანისა, რომელიც 1939 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში, როგორც ექიმი, ომის დაწყებისთანავე, 1941 წელს, გადავიდა გერმანელთა მხარეზე და იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.**

ეგნატე გაბლიანი 1907 წლიდან აქტიურად იყო ჩაბმული მენშევიკურ საქმიანობაში. 1921 წლიდან ის საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლთა რაზმებს ედგა სათავეში, მის მიერ ორგანიზებულ აჯანყებას, რომელიც სვანეთში 1921 წელს მოხდა, 113 წითელარმიელის განადგურება მოჰყვა. ხოლო 1922 წელს საფრანგეთიდან ფარულად ჩამოსულ ნოე ხომერიკთან ერთად, მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის აქტიური მონაწილეობით, ეგნატე გაბლიანის მიერ ორგანიზებულ შეიარაღებულ შეტაკებაში ექვსი წითელარმიელი დაიღუპა.

1924 წლის აჯანყებაში ეგნატე გაბლიანი ერთ-ერთი გავლენიანი და ავტორიტეტული ხელმძღვანელი იყო. მან 1924 წლის 26 აგვისტოს შემდეგი შინაარსის წერილობითი განკარგულება გაუგზავნა სვანეთის ორგანიზაციას:

„სასწრაფოდ გაცნობებთ, რომ გამოსვლა მთელ საქართველოში შუაღამი-

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უახლესი ისტორიისადმი არასწორი მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია მკვლევარი ისტორიკოსების მიერ გვერდის ავლა მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულების მიმართ ეროვნული საკითხისადმი და ამ დამოკიდებულების გადაფარვის მცდელობა სხვადასხვა ზღაპრითა და ლეგენდით. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ეს ბედუკუღმართი და ისტორიას გზასაცდენილი სამი წელიწადი შეუსწავლელი და საგანგებოდ შექმნილ ბურუსშია გახვეული.**


მენშევიკები

◀ სას, 28-29 აგვისტოს დაიწყება. დარწმუნებული იყავით, რომ ქართველი ხალხი და ჯარი ჩვენ მხარეზე არის. დახმარებას, აგრეთვე, ევროპა გვიწევს. ამიტომ გთავაზობთ, დანიშნულ დღეს მოაწყოთ შეიარაღებული ამბოხება სვანეთში და მოახდინოთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ლიკვიდაცია. ამის შემდეგ დაიძარით ლეჩხუმისა და ქუთაისისაკენ, ვინაიდან ლეჩხუმის ორგანიზაციის სისუსტის გამო მას დახმარება ესაჭიროება".

შეიარაღებულ გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ **ბიძინა პირველი, ეგნატე გაბლიანი, თენგიზ დადეშქელიანი და ბესარიონ ხერგიანი.** 27 აგვისტოს ბიძინა პირველმა გაბლიანთან ერთად ცხენით შემოიარა მულახის, მესტიის, ლატალის, ცხუმარის, ბეჩოსა და ეცერის დასახლებები. მათ ხალხს მოუწოდეს, 28 აგვისტოს იარაღით ხელში Bბალის მთაზე (ბეჩოს მახლობლად) გამოცხადებისკენ.

**28 აგვისტოს** დანიშნულ ადგილზე 150 კარგად შეიარაღებული სვანი შეიკრიბა. ისინი 50-კაციან რაზმებად დაყვეს და უბრძანეს შეტაკების დაწყება. შეიარაღებულმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს სოფელ ბეჩოს და დაიკავეს.

28 აგვისტოს ბიძინა პირველისა და ეგნატე გაბლიანის ხელმოწერით სვანეთის თხუთმეტივე საზოგადოებას დაეგზავნა ბრძანება სოფელ კალაში ოციდან ორმოც წლამდე ბრძოლისუნარიანი სვანების თავმოყრის შესახებ.

120-მა კარგად შეიარაღებულმა სვანმა გადმოკვეთა ლატფარის უღელტეხილი და 30 აგვისტოს ქვემო სვანეთის სოფელ ჩოლურში შევიდა, რომელიც **გრიგოლ კვასტიანის** მიერ დაპყრობილი აღმოჩნდა. კვასტიანს

ახლდა ლაშხეთის შეარაღებული რაზმის უფროსი **მალაქია ონიანი.** ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა გადაწყვიტეს ცაგერზე გალაშქრება, მაგრამ ამ მომენტში მათ მოუსწრო საქართველოში აჯანყების დამარცხების ცნობამ, რამაც შეაფერხა ცაგერის ოპერაციის წარმატებით დასრულება. სვანეთის აჯანყების კომიტეტი დამარცხდა. ხელმძღვანელებმა ტყეს შეაფარეს თავი.

1924 წლის 1 ოქტომბერს ბიძინა პირველი დანებდა ბოლშევიკურ მთავრობას და აღიარა თავისი დანაშაული. ეგნატე გაბლიანიც ჩაბარდა ხელისუფლებას და დაადასტურა, რომ ის იყო სვანეთის მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლების ხელმძღვანელი, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი და გაუგებრობა მოჰყვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეგნატე გაბლიანსა და ბიძინა პირველსაც აპატია წლების განმავლობაში მათ წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა და მოუწოდა, შედგომოდნენ მშვიდობიან ცხოვრებას თავიანთ ხალხთან ერთად, ეგნატე გაბლიანი მეთაურადაც კი დაინიშნა.

ეგნატე გაბლიანის შვილი, დიდი სამამულო ომის დროს ვერმახტის ერთ-ერთი წარმომადგენელი — **გივი გაბლიანი** თავის ჩანაწერში ამბობს:

„მას (მამას) სასამართლომ 10 წელი მიუსაჯა. იმ პერიოდისათვის ეს ყველაზე გრძელვადიანი სასჯელი იყო (შემდეგი ზომა იყო დახვრეტა). სასჯელის აღსრულება შეჩერდა და ერთი თუ ორი წელი მამაჩემს აუკრძალეს თბილისიდან გასვლა. მას ევალებოდა, პერიოდულად „სპეცკომისიაზე" (ჩეკა) გამოცხადებულიყო ქალაქში ყოფნის დასადასტურებლად. მან სიტყვა შეასრულა და მალე თავისი ენერგია კვლევითი სამუშაოსაკენ მიმართა" (ეგნატე გაბლიანი, „ძველი და ახალი სვანეთი", გვ. 16).

**მამა გვიყვებოდა, როგორ დალია ბიძაჩემმა შარდენმა მეორე ბიძის ქორწილზე სადღეგრძელო: «გაუმარჯოს რევოლუციურ უმცირესობას და კონტრრევოლუციურ უმრავლესობას!». ბიძაჩემმა, არც რევოლუციური უმცირესობა იცოდა, რას ნიშნავდა და არც — კონტრრევოლუციური უმრავლესობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, «პოლიტიკური ლაყბობისთვის წელიწად-ნახევარი ციხეში აყურყუტეს»**

მიუხედავად მძიმე წარსულისა, ეგნატე გაბლიანს საბჭოთა წყობილების პერიოდში, 1925 წელს, უქაღალდობისა და უფულობის ხანაში, უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა პირველი წიგნი „ძველი და ახალი სვანეთი", ხოლო 1927 წელს გამოაქვეყნა მეორეც — „თავისუფალი სვანეთი".

ეგნატე გაბლიანი სვანეთის გამგებლის მოადგილედ დანიშნეს და მან აქტიურად მოჰკიდა ხელი სვანეთის განვითარების საქმეს. მისი ინიციატივით შექმნილი დელეგაცია, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა, 1928 წლის ნოემბერში მოსკოვში გაემგზავრა, რათა საბჭოთა ხელმძღვანელებისთვის დაემტკიცებინა სვანეთში გზის გაყვანის აუცილებლობა. კრემლში დელეგაცია საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ


გივი გაბლიანი


ეგნატე გაბლიანი

მიიღო. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სვანეთის გზის მშენებლობისთვის

სახკომსაბჭოს 1929 წლისთვის 350 000 მანეთი უნდა გამოეყო გზის პროექტების დასამთავრებლად და საავტომობილო გზის გასაყვანად. მთავრობამ მალე დამატებით 3 მილიონი მანეთი გამოყო.

1936 წელს მთავრობამ ეგნატე გაბლიანს დაავალა, დაეარსებინა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ყოვლისშემძლე ეგნატემ ეს დავალებაც ბრწყინვალედ შეასრულა, ალბათ, ასევე ბრწყინვალედ ასრულებდა იგი „სხვა" დავალებებსაც, რომელმაც სვანეთში ტროცკისტულ-მენშევიკური მოძრაობის არნახული აღზევება გამოიწვია. ამაში, ალბათ, ლომის წილი თვით ეგნატე გაბლიანსაც მიუძღოდა. ეგნატე გაბლიანის მსგავსად, აჯანყების ყველა მეთაური შეიწყალეს და სასჯელისგან გაათავისუფლეს; მათ შორის: **მალაქია ონიანი, გრიშა ონიანი, გიორგი ფოჩიანი, ბიძინა პირველი, ბიძინა გვიშიანი, ბიძინა ნიჟარაძე, სამსონ ქალდანი, ალექსანდრე წერეთელი, ილია ფალიანი და ბესარიონ ხერგიანი.**

მიუხედავად ამ ჰუმანური აქტისა, ყველა მათგანი სვანეთში ტროცკისტურ-მენშევიკური მოძრაობის აღორძინების საქმეში აქტიურობდა, რასაც, რა თქმა უნდა, მძიმე შედეგები მოჰყვა 1937 წელს.

1950-იან წლებში მამაჩემი გვიყვებოდა, როგორ მოჰქონდათ ცხენებით რკინის სალტეებშემოჭერილი დიდი ყუთები, რომლებიც ფულით იყო სავსე; როგორ ხსნიდნენ მათ და როგორ ურიგებდნენ წითელ სამთუმნიანებს იმ მოხალისეებს, რომლებიც ხიდს ააფეთქებდნენ, ან კომუნისტური პარტიის წევრს საქონელს ან ცხენს მოუკლავდნენ, პარტუჯრედის უფროსს სახლს ან გომურს დაუწვავდნენ და სხვ. 1942 წელს, როდესაც გერმანელებმა იალბუზზე დროშა ააფრიალეს, ყველას ეგონა, რომ სულ მალე სტალინის ხსენებაც აღარ იქნებოდა. ჩვენი მეზობელი **მალაქია ონიანის** მეუღლე მიადგა მეზობელი სოფლის თორმეტ ოჯახს და განუცხადა, რომ მათი ოჯახები მალაქია ონიანის ოჯახის განკარგულებაში უნდა გადმოსულიყო, — ასე ყოფილა გადაწყვეტილიო ზემოთ.

მამა გვიყვებოდა, როგორ დალია ბიძაჩემმა შარდენმა მეორე ბიძის ქორწილზე სადღეგრძელო: „გაუმარჯოს რევოლუციურ უმცირესობას და კონტრრევოლუციურ უმრავლესობას!".

ბიძაჩემმა არც რევოლუციური უმცირესობა იცოდა, რას ნიშნავდა და არც — კონტრრევოლუციური უმრავლესობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „პოლიტიკური ლაყბობისთვის" წელიწად-ნახევარი ციხეში აყურყუტეს.

ნეტავ, ვინ იყო ყოველივე ამის უკან, ვინ აფინანსებდა მათ, ან ვის კისერზეა ის სისხლი, რომელიც გამარჯვების ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე დაიღვარა მთასა თუ ბარში?

ხანა თურქეთის მიერ გაკოტრებული მენშევიკური მთავრობისა, რომელმაც თავისი მომავალი გერმანიას დაუკავშირა, მოკლე გამოდგა. მათი თარეში საქართველოში აუტანელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ამბობდნენ, „ქართველებისთვის გაცილებით უკეთესია გერმანული ტყვია, ვიდრე თურქული დანაო".

გერმანელებმა რუსების შიშით გუდა-ნაბადი აიკრეს და საქართველოდან გაიქცნენ. ხელისუფლებისა და, საერთოდ, ქართველებისთვის აქამდე მიუღებელი ინგლისი ახლა უკვე უძველესი დემოკრატიის ქვეყანა გახდა, რომელსაც შეეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის და საზღვრების დაცვა.

გერმანელების ნაცვლად მოვლენილი ახალი ინტერვენტები — ინგლისელები — დიდი ხანია, უთვალთვალებდნენ კავკასიას და რუსეთთან საქართველოს შეერთების სასტიკი წინააღმდეგნიც იყვნენ და უპატრონოდ დარჩენილ კავკასიას, რა თქმა უნდა, სიხარულით დაეპატრონებოდნენ. ინგლისი დარწმუნებული იყო რუსეთის სისუსტეში და ფიქრობდა, რომ ის სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა კავკასიაში, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ბრიტანეთი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა". ინგლისის საშინაო და საგარეო მდგომარეობამ და საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმატებებმა (სტალინის ხელმძღვანელობით) კონტრრევოლუციონერთა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ წარმოებულმა ბრძოლებმა აიძულა ინგლისის მთავრობა, საქართველოდან შეიარაღებული ძალები გაეყვანა.

საქართველოში მომავალ ექსპედიციისათვის ემზადებოდა **იტალია,** რომელსაც კოლონიად უნდა ექცვია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ეს ავანტიურისტული გეგმა პრემიერმინისტრ **ვიტორიო ორლანდოს** უეცარმა გადადგომამ ჩაშალა. ახალმა პრემიერმა **ფრანჩესკო ნიტიმ** განაცხადა, რომ მეთორმეტე კორპუსის ორი დივიზია და ალპური მსროლელთა რაზმი უკვე მზად იყო საქართველოში გასამგზავრებლად, რაც აუცილებლად გამოიწვევდა იტალიასა და მოსკოვს შორის ომს.

იტალიელების შემდეგ რიგში **ამერიკელები** ჩადგნენ, რომლებსაც ადრეც ჰქონდათ საქართველოს მიმართ ინტერესი. ამერიკის შეერთებული შტატების კონსულმა თბილისში — **უილოუბი სმიტმა** 1917 წლის დეკემბერში თხოვნით მიმართა თავის მთავრობას, რომ: „თუ ამიერკავკასიის კომისარიატი

დაუყოვნებლივ არ მიიღებს ამერიკიდან 60 მილიონ დოლარს, იძულებული იქნება, ძალაუფლება გადასცეს ბოლშევიკებს".

1921 წლის დასაწყისში საბჭოთა რუსეთმა წარმატებით მოიგერია უცხოეთის ინტერვენცია, დაამთავრა სამოქალაქო ომი და ამიერკავკასიაში შექმნა ორი რესპუბლიკა, რომელთაც იმავე წლის 25 თებერვალს მესამე დაემატა — საქართველოს სსრ.

**ეგნატე გაბლიანი გამორჩეული გარეგნობის, სიმამაცისა და ერისკაცობის ნიმუშია დღემდე არა მხოლოდ სვანეთში, არამედ სრულიად საქართველოში. ეგნატე გაბლიანი მამაა ვერმახტის ერთ-ერთი გამორჩენილი წარმომადგენლის — გივი გაბლიანისა, რომელიც 1939 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში, როგორც ექიმი, ომის დაწყებისთანავე, 1941 წელს; გადავიდა გერმანელთა მხარეზე და იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ**

## ხსოვნა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გურამმა შეძლო და ყველა სამინისტროს წარმომადგენელი შეიყვანა ერთ გაერთიანებაში, რომელიც აბაშის რაიონში დააარსა. ამით მან ყველა საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის პირობები შექმნა და რესურსებისადმი წვდომა გააიოლა; ეს იყო პირველი მცდელობა იმ ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის განხორციელებისა, რომელზეც ჩვენი დღევანდელი ეკონომიკის სისტემაა აწყობილი, იგულისხმება საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მოქმედების პირობები“.**

# კაცი, რომელმაც შექმნა «რა მოხდა აბაშაში»

**გასულ კვირაში საქართველომ მიწას მიაბარა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე გურამ მგელაძე, რომლის სახელთან იყო დაკავშირებული საქვეყნოდ გახმაურებული აბაშის ექსპერიმენტი და ბევრი სხვა სასიკეთო სახალხო საქმე. გურამ მგელაძეს მისი თანამედროვენი იხსენებენ.**

**თამაზ კუნჭულია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მრჩეველი-კონსულტანტი:**

— გურამ მგელაძე სიახლის მაძიებელი და შედეგზე ორიენტირებული მოღვაწე იყო. რა მიზანსაც დაისახავდა, აუცილებლად უნდა მიეღწია.

გურამმა იმთავითვე აუღო ალღო ახალი ტექნოლოგიების დანერგვას სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მესიმინდეობასა და მეცხოველეობაში, აგრეთვე, მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგში. შემოჰქონდა და ნერგავდა ახალ ტექნოლოგიებს. ის, რასაც გურამ მგელაძე აკეთებდა მემცენარეობასა და მეცხოველეობაში გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, მხოლოდ და მხოლოდ ახალ ტექნოლოგიებზე იყო დაფუძნებული.

ერთ მაგალითს დაგისახელებთ: მეღორეობაში სწორედ გურამის ინიციატივით დაინერგა ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი, რომელიც პროგრესულ მეთოდად იქნა აღიარებული და უაღრესად დადებითი შედეგი გამოიღო.

რასაც ვყვები, აბაშის მაგალითზე მოგახსენებთ.

**გურამმა პირველმა შეუწყო ხელი საქართველოში კოოპერაციის განვითარებას.** გლეხები საზოგადოებრივი მეურნეობებიდან მიცემულ პირუტყვს ასუქებდნენ და შემდეგ აბარებდნენ სახელმწიფოს. ეს გლეხის კერძო მეურნეობას ისეთი მოგებით უზრუნველყოფდა, რომელზეც მანამდე ვერც იოცნებებდა. ის, რასაც დღეს 95-99, ხოლო ზოგიერთ დარგში სრული 100 პროცენტი უჭირავს, ოჯახური, დამხმარე მეურნეობების წილია, გურამ მგელაძემ ჯერ კიდევ მაშინ დაინახა და მეურნეობრიობის ამ ტიპს უპირატესობა მიანიჭა, ხელი შეუწყო მის დანერგვასა და განვითარებას აბაშის რაიონში. ოჯახური მეურნეობები იყო ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველი ყოველთვის. ეს აბაშის ექსპერიმენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა შედეგით.

იმხანად საქართველო, განსაკუთრებით კი, აბაშის რაიონი, საბჭოთა კავშირში აღიარებული იყო, როგორც მოწინავე მეთოდების დანერგვის ლაბორატორია. ყველა რესპუბლიკიდან ჩამოდიოდნენ ჩვენი გამოცდილების გასაზიარებლად, აბაშის ექსპერიმენტს პირადად ეცნობოდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარე **ალექსეი კოსიგინი**, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მინისტრები...

ცენტრალური დაგეგმვის პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა საწარმოო რესურსების რაიონებისთვის მოზიდვა-მობილიზება იყო. ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად უნდა დაკავშირებოდი თბილისს, მოგეძია ფონდები, შეგძლებოდა მათი მიღება, შემდეგ ჩაგეტანა, ვთქვათ, იმავე აბაშაში.

ასეთი ბიუროკრატიული სისტემა დიდად აბრკოლებდა ადგილებზე, ნებისმიერი სიახლის დანერგვას. **გურამმა შეძლო და ყველა სამინისტროს წარმომადგენელი შეიყვანა ერთ გაერთიანებაში, რომელიც აბაშის რაიონში დააარსა. ამით მან ყველა საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის პირობები შექმნა და რესურსებისადმი წვდომა გააიოლა; ეს იყო პირველი მცდელობა იმ ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის განხორციელებისა, რომელზეც ჩვენი დღევანდელი ეკონომიკის სისტემაა აწყობილი.**

რესურსების მოპოვების, ახალი ტექნოლოგიების, წარმოების ორგანიზების ახალი ფორმების დანერგვის თვალსაზრისით, რომელიც დღევანდელობას ეხმიანება და დღევანდელობაზეა მორგებული, გურამ მგელაძემ თავის დროზე ერთ, ცალკე აღებულ რაიონში განახორციელა — აბაშაში.

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი სამინისტროების ოპტიმიზაციის საქმე მან თბილისში გადმოყვანის შემდეგაც განაგრძო და აქაც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ რესპუბლიკის დონეზე გარკვეული დროის განმავლობაში ასეთ ცვლილებებს საკმაო ეფექტი ჰქონდა, მაგრამ გაჩნდა გარკვეული ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუშალა მინისტრს, ეს რეფორმები მასშტაბურად რომ განევითარებინა: ეს ფაქტორები იმდროინდელ სახელმწიფო-პოლიტიკურ წყობილებაში იყო დაბუდებული.

გურამმა აბაშის კეთილმოწყობაზეც იზრუნა და, შეიძლება ითქვას, იმდროინდელი რაიონული ცენტრებიდან არც ერთს ჰქონდა ისეთი იერსახე, როგორიც აბაშას. საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ ქალაქის ადმინისტრაციული შენობების ფასადები თვით **ზურაბ წერეთლის** მონუმენტური ჭედური ნამუშევრებით იყო (და არის) დამშვენებული. საქმის გამკეთებელი კაცი იყო გურამი და საერთო კეთილდღეობისთვის პირად ურთიერთობებსაც აქტიურად იყენებდა. მთავარი მაინც იყო ის, რომ **შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემოღებით მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, იმათა ოჯახების შემოსავალმა. აქაური გლეხები თითქმის ყოველ შემოდგომაზე ახალ ავტომანქანებს ყიდულობდნენ.**

დღეს ავტომობილი აღარავის უკვირს, მაგრამ იმხანად დეფიციტი იყო.

**ბაკურ გულუა, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს საპატრიარქოს განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი:**

— წავიდა ამ ქვეყნიდან ადამიანი, რომელმაც საქართველოს ცხოვრებას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია.

ბატონი გურამი თავისი პროფესიითა და ცხოვრებისეული პრაქტიკით სოფლის მეურნეობასთან თავიდან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ მისი ნიჭი და უნარი სწორედ ეკონომიკის ამ დარგში სრულად გამომჟღავნდა.

1973 წელს ჩაუდგა სათავეში აბაშის რაიონს და ქვეყნის ცხოვრებაში შემოვარდა, როგორც გრიგალი. ორიოდ წლის შემდეგ მუშაობა დავიწყე გალის რაიონში, მეზობლები და კოლეგები გავხდით. საშუალება მომეცა, მოწმე ვყოფილიყავი მისი განსაცვიფრებელი, არასტანდარტული დამოკიდებულებისა გადასაჭრელი პრობლემებისადმი.

იმ პერიოდს თავისი სიძნელეები ახლდა — გლობალური დეფიციტი, შრომის მარგი ქმედების კოეფიციენტის ნაკლები ეფექტიანობა, უნარიანი კადრების სიმცირე და ა.შ.

მან წამოიწყო ახალი და სარისკო საქმე, რომელსაც დაერქვა აბაშის ექსპერიმენტი. **გურამ მგელაძე იმით იყო გამორჩეული, რომ ნორმატიულ ჯებირებს ყურადღებას არ აქცევდა: დღე და ღამ ხალხთან ტრიალებდა, სოფელ-სოფელ დადიოდა, სწავლობდა, იკვლევდა იმ თვალშისაცემი ჩამორჩენის მიზეზებს, რომლებიც ხალხს ცხოვრებას უძნელებდა.** ცნობილია, რომ ახალ, საკოლმეურნეო პრინციპზე სოფლის გადასვლას მიწაჩამორთმეულმა გლეხობამ იმთავითვე ეჭვის თვალით შეხედა. საბჭოთა წლებში სახელმწიფომ მილიონობით მანეთი გაიღო ქართული სოფლის ასაღორძინებლად — კოლხეთის ჭაობის დასაშრობად, მიწების ასათვისებლად, მელიორაცია-ირიგაციის სისტემის მოსაწყობად, ახალი კულტურების შემოსატანად და ა.შ., მაგრამ გლეხის შრომა მაღალნაყოფიერი მაინც ვერ ახდა, ანუ ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ამ უზარმაზარი ფინანსური, სამეცნიერო თუ ტექნიკური პოტენციალის პირობებში.

სახელმწიფოს მიერ არნახული ძალისხმევის განხორციელება არანაკლებ რთული იყო, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება, მაგრამ ამ ყველაფერმა გლეხის გული ვერ მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ გლეხის მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებები მსოფლიოში უპრეცედენტო მოვლენა იყო. **საკოლმეურნეო და სახელმწიფო მიწებზე გლეხმა არ იმუშავა ისეთი გულმოდგინებით, რომლის გარეშე წარმოუდგენელია უხვი მოსავლის მიღება: გლეხმა შეიძულა მიწა და მიწათმოქმედება.**

გურამ მგელაძემ შეძლო, გლეხობა მიწისკენ შემოებრუნებინა. მოკლედ, საქმის არსი ასეთია: სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობა ორ ტონას არ აღემატებოდა. გლეხს დასამუშავებლად გადასცემდნენ, ვთქვათ, ერთ ჰექტარ მიწას და, თუ ორ ტონას მოიწევდა, აქედან ერთს შინ წაიღებდა, მაგრამ, თუ სამ ტონას მოიყვანდა, შვიდ ცენტნერს კიდევ უმატებდნენ; ე. ი. სამი ტონა მოსავლიდან გლეხს საკუთარ სარგებლობაში რჩებოდა ერთი ტონა და შვიდასი კილოგრამი. სახელმწიფო იტოვებდა ტონა სამას კილოგრამს, რომლითაც გადახდილი იქნებოდა ყველა ხარჯი: წყლის, ელექტროენერგიის, საწვავის, ტექნიკით მომსახურების ღირებულება. სახელმწიფოსთვის ასეთი ეკონომიკა წამგებიანი, მინუსი ნიშნით იყო, მოგებული რჩებოდა გლეხი.

ასეთ პირობებში გლეხი მზად იყო, საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთიც სახელმწიფოსთვის გადაეცა და ისე ემუშავა, ემუშავა გულით, მთელი მონდომებით.

**წლების განმავლობაში გურამმა სახელი გაითქვა საბჭოთა კავშირის მასშტაბით — მოსავლიანობა 2-3-ჯერ გაიზარდა, ხალხი წელში გაიმართა, გამდიდრდა, სოციალური პირობები არნახულად გაუუმჯობესდა.**

**ბოლოს ეს ყველაფერი დაგვირგვინდა გურამ მგელაძისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებით.** გმირობა ედუარდ შევარდნაძემაც დაიმსახურა.

მაგრამ ის, რაც აბაშაში ასე წარმატებით განხორციელდა, ქვეყნის ყველა რაიონში ვერ გამეორდებოდა. სოციალისტური ეკონომიკის პირობებში ეს სრულ კრახს გამოიწვევდა. ▶



**«გურამმა სახელი გაითქვა საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მოსავლიანობა 2-3-ჯერ გაიზარდა, ხალხი წელში გაიმართა, გამდიდრდა, სოციალური პირობები არნახულად გაუუმჯობესდა. ბოლოს ეს ყველაფერი დაგვირგვინდა გურამ მგელაძისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებით»**

მოკლედ

## სამხრეთ კორეაში MERS-ით დაავადებულთა რაოდენობა გაიზარდა

**სამხრეთ კორეის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ერთი დღე-ღამის განმავლობაში კორონავირუს MERS-ით დაავადების ოთხი ახალი შემთხვევა გამოვლინდა.**

ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისთვის დაავადებულთა რაოდენობა 126-მდე გაიზარდა, ხოლო 10 ადამიანი გარდაიცვალა. რესპირატორულ სინდრომს ადრეულ ეტაპზე კონკრეტული სიმპტომები არ ახასიათებს. დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერჯერობით არ არსებობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს მსოფლიოში MERS-ით დაავადების 1218 შემთხვევაა აღრიცხული, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა 449-ს შეადგენს.



ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი არ არის მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ — წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის...

ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩაჩია

(„საქართველო და მსოფლიო“, №20 (207), 5-11 ივნისი, 2013 წ.).

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...გურამი პრაქტიკული აზროვნების კაცი იყო, პრაგმატიკოსი, ვაჟკაცური და პირში მთქმელი.

ასე საჯაროდ პირველად ვიტყვი ერთ რამეს, რაც აქამდე არასოდეს მითქვამს: **მე და გურამი შეხმატკბილებული არ ვყოფილვართ. მიზეზებს არ ჩამოვთვლი... მაგრამ ეს შეუთავსებლობა კაცურად გადავწყვიტეთ და დამთავრდა ერთმანეთისადმი უდიდესი პატივისცემით.**

იმასაც გეტყვით, რასაც მთელი საქართველო პირველად გაიგებს თქვენი გაზეთის საშუალებით.

ჟამთეხილის დროს პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება სათავეში ჩაუდგა ქვეყანას. ნოემბრის დასაწყისიდან თებერვლამდე საქართველოს არ ჰყავდა სოფლის მეურნეობის მინისტრი. არავინ იცის, ეს ვაკანსია რატომ იყო დაუკავებელი ამ თვეების განმავლობაში.

საჯაროდ ვაცხადებ: **ეს მოხდა ზვიად გამსახურდიას და გურამ მგელაძის პირისპირ მოთათბირებისა და მსჯელობის შედეგად. ზვიადმა, კარგად იცოდა რა, საიდან ელოდა საფრთხე ეროვნულ ხელისუფლებას, გაითვალისწინა მგელაძისა და ჯაბა იოსელიანის ურთიერთობა და გურამს ჯაბას განეიტრალების პირობა წაუყენა. სანაცვლოდ გურამი დარჩებოდა თავის ადგილზე და გარანტი იქნებოდა სიმშვიდის.** ახლა კი ყურადღებას გთხოვთ: **საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აგრომრეწვის თავმჯდომარე გურამ მგელაძე სამი თვის განმავლობაში პირველ ეროვნულ მთავრობაში თავისი ყველა უფლებით რჩებოდა აღჭურვილი.**

იანვარში გურამმა დაწერა განცხადება შვებულებაში წასვლის შესახებ. წავიდა და აღარ დაბრუნებულა იმიტომ, რომ ვერ შეძლო იმ საკითხის მოგვარება, რომელიც ზვიად გამსახურდიამ ერთადერთ პირობად წაუყენა, თორემ პირადად მას არავინ არაფერს ერჩოდა. ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი, რომელიც შემდეგ დრამატული მოვლენების განვითარების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

* * *

**აი, ასეთი არაორდინალური პიროვნება იძულებული იყო, თავისი ცხოვრების ნაწილი უცხოეთში გაეტარებინა.**

**ახლა იგი მშობლიურ მიწაში განისვენებს.**

საუბარი ჩაიწერა
**არმაზ სანებლიძემ**

# მართებულია მიწის გასხვისება, ანუ კერძო საკუთრებაში გადაცემა?

**ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და მაღალფარდოვანი სიტყვაკაზმული გამოთქმების გარეშე, აღშფოთებას (გაოცებას, გაკვირვებას) ვერ ვფარავ, როცა საქმე ეხება მიწის (საერთოდ, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების) გასხვისებას და, მით უმეტეს, მის გადაცემას კერძო საკუთრებაში უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე.**

## გამოხმაურება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია მეორის განცხადებაზე მიწის გასხვისების შესახებ



**მიწა ერის საკუთრებაა. სახელმწიფოს შეუძლია, მიწა გადასცეს თავის მოსახლეობას (მოქალაქეებს) მხოლოდ უვადო სარგებლობაში იმ ოდენობით (ნორმით), რამდენიც მათი საჭიროებისათვის არის საკმარისი და რამდენსაც სათანადო მოვლა-პატრონობას გაუწევს (შეძლებს). თუ მიწათმფლობელი ეფექტიანად ვერ გამოიყენებს მიწას, მაშინ უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს იმ პირს, რომელიც შეძლებს მის გამოყენებას**

მიწა ერთადერთი და სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საფუძველია. მიწა არის საყოველთაო წარმოების საშუალება.

ტერმინი მიწა ეკონომიკაში გამოიყენება, როგორც ბუნებრივი რესურსი, რომლით სარგებლობა შესაძლებელია წარმოებაში, ამიტომ აღიარებულია წარმოების ფაქტორად. მიწა არის რესურსი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის და ქვეყნის მშენებლობისთვის გამოიყენება.

როგორც ამ პატარა მიმოხილვიდან ჩანს, მიწას განუზომელი, შეუფასებელი როლი აკისრია სიცოცხლის, ადამიანის არსებობაში და არ შეიძლება, შემოიფარგლოს ვიწრო კერძო საკუთრების უფლებით.

საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში კერძო საკუთრების ჩამოყალიბება დაკავშირებულია საწარმოო ძალების განვითარების იმ საფეხურთან, რომელზეც ადამიანს, ინდივიდს საშუალება მიეცა, ეწარმოებინა ზედმეტი პროდუქტი. ეს არის ეტაპი, როცა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში მოხდა ნახტომი — საწარმოო ძალები შევიდა ახალ თვისებრივ ფაზაში და განსაზღვრა უფრო მაღალი საფეხური (ეტაპი) ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში.

კერძო საკუთრების აღმოცენებამ ხელი შეუწყო საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას და დასაბამი მისცა ახალი ეკონომიკური სისტემის წარმოშობას. კერძო საკუთრების წარმოქმნა იმთავითვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **კერძო საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი (ფასეულობა), რომელსაც აქვს ღირებულება და, შესაბამისად, ფასიც. მაშინ შეიძლება ის ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც გახდეს. არ ვიზიარებ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ მცდარ (ცრუ) თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ თითქოს მიწის უცხოელებზე გასხვისება დასაშვებია. ბუნების პროდუქტებით სარგებლობამ და მითვისებამ თანდათანობით საკუთრების სახე მიიღო და დამოუკიდებელ ფორმად ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწა არის კერძო საკუთრების ობიექტი.**

ადამიანი ბუნებას იყენებს არა როგორც ცხოველი, არამედ მასთან ურთიერთობაში ექცევა გარკვეული საზოგადოებრივი ფორმით, რომელიც განპირობებულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოცემული სისტემით.

**სამყარო არის ღმერთის მიერ შექმნილი და წარმოადგენს სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საშუალებას. ის არ არის ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური (ეკონომიკური) რესურსი, ამიტომ მიწას არ აქვს ღირებულება და, შესაბამისად, ფასიც. მისი შეფასება შეუძლებელია და არც ყიდვა-გაყიდვა არის დასაშვები.**

ადამიანთა საზოგადოებას თუ სწამს ღმერთი, მაშინ მის მიერ შექმნილი სამყაროც უნდა ირწმუნოს.

**მიწა არის სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საფუძველი, მიწის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს, ამიტომ არ შეიძლება, მიწა კერძო საკუთრება იყოს!**

კერძო საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი, რომელსაც აქვს ღირებულება, ღირებულება არის საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომა, სახმარი ღირებულება და ფასი. ასეთი ობიექტები (ნივთები) მიეკუთვნება კერძო საკუთრებასაც და მისი ყიდვა-გაყიდვაც შეიძლება; რაც შეეხება მიწას, ის არც კერძო საკუთრებაა და არც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი.

მიწა სოფლის მეურნეობაში საყოველთაო (მთავარი, ძირითადი) წარმოების ფაქტორია და საერთოდ, ყოველგვარი წარმოების საფუძველთა საფუძველი, იგი რაოდენობრივად შეზღუდულია. მიწა წარმოების ბუნებრივი ფაქტორია.

**მიწაზე ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი (ფასეულობა, რესურსი თუ სხვ.) არის კერძო საკუთრებაც და ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც.**

ამჟამად ფართოდ გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ კერძო საკუთრების საგანს (ნივთი, ობიექტი) წარმოადგენს მიწა, რაც, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

**მიწა ერის საკუთრებაა. სახელმწიფოს შეუძლია, მიწა გადასცეს თავის მოსახლეობას (მოქალაქეებს) მხოლოდ უვადო სარგებლობაში იმ ოდენობით (ნორმით), რამდენიც მათი საჭიროებისათვის არის საკმარისი და რამდენსაც სათანადო მოვლა-პატრონობას გაუწევს (შეძლებს). თუ მიწათმფლობელი ეფექტიანად ვერ გამოიყენებს მიწას, მაშინ მას უნდა ჩამოერთვას ის და გადაეცეს იმ პირს, ვინც შეძლებს მის გამოყენებას.**

ამრიგად, მიწის გაყიდვა-გასხვისების პრობლემა შეეხება მხოლოდ მიწაზე ადამიანის შრომით შექმნილ მატერიალურ რესურსებს.

**ქართველ ერს ღმერთმა უბოძა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მიწა-წყალი და მისი გაყიდვის უფლება არავის აქვს, მით უმეტეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.**

**მიწა არის ერის ხელშეუხებელი სასიცოცხლო საკუთრება და სიმდიდრე. მიწის გაყიდვა და გასხვისება უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეებზე და მიღებული ფულით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და „შეჭმა“ ყოვლად გაუმართლებელი და უსასტიკესი დანაშაულია ერისა და ღმერთის წინაშე. ბიბლიაში აღნიშნულია: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა და თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან“ (ბიბლია, ძველი აღქმა, ლევიანნი. თავი 25, მუხლი 23. თბ., 1989).**

ამიერიდან მაინც უნდა მოელოს ბოლო მოღალატეობრივ საქმიანობას, ვიდრე ჯერ კიდევ შეგვრჩენია სინდის-ნამუსი, ერის (სამშობლოს) პატივისცემა (სიყვარული) და უფლის რწმენა.

**ჭიჭიკო ადეიშვილი,**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

# 2017 წელს ენგურჰესი გაჩერდება, საიდან შეავსებს საქართველო დანაკლისს?

**აფხაზური მედიის ცნობით, აფხაზებისა და ქართველების ურთიერთთანამშრომლობის ერთადერთი მოედანი ენგურჰესი 2017 წელს რემონტის გამო გაჩერდება.**

აფხაზური „ჩერნომორენერგოს“ გენერალური დერექტორის — ასლან ბასარიას განცხადებით, საქართველოსთან ურთიერთთანამშრომლობის გარეშე აფხაზეთი ელექტროენერგიას ვერ მიიღებს ისევე, როგორც ქართული მხარე ვერ მიიღებს ენგურჰესის ელექტროენერგიას აფხაზების გარეშე.

ბასარიამ აღნიშნა, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ნაწილი უკვე მიმდინარეობს ვარდნილჰეს-1-ზე. უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური სამუშაოები 2017 წლისთვის არის დაგეგმილი, რომელიც ენგურჰესის საირიგაციო გვირაბის რემონტს გულისხმობს. „დიდი ხანია, ეს გვირაბი არ გარემონტებულა, მიუხედავად იმისა, რომ ნორმატივებით ყოველ 5 წელიწადს უნდა შეკეთდეს“, — განაცხადა ბასარიამ, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ ამ სამუშაოების შესრულებისას ენგურჰესი მთლიანად უნდა გაჩერდეს. ენგურჰესის გაჩერებით გამოწვეულ ელექტროენერგიის დეფიციტს, ბასარიას განცხადებით, აფხაზეთი რუსეთიდან შეავსებს. გასარკვევი რჩება საკითხი, საიდან შეავსებს საქართველო იმ კოლოსალურ დანაკლისს, რომელიც ენგურჰესის გაჩერებით წარმოიშობა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონისათვის „ისლამური სახელმწიფოს" არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 2012 წელს იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, ის განაგრძობდა სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერას „ისლამური სახელმწიფოს" წინამორბედებისთვის — „ალ ქაიდასა" და „ერაყის ისლამური სახელმწიფოსთვის".**

# «ისლამური სახელმწიფო»: made in USA!

**„ისლამური სახელმწიფო" აშშ-ის პროდუქტი იყო, მოსულისა და ერ-რამადის დაცემა კი — დაგეგმილი სცენარი. იმის თაობაზე, რომ ეს ასეა, თვითონ ამერიკის სამხედრო სადაზვერვო ორგანიზაცია DIA საუბრობს. DIA-ს შვიდგვერდიანი მოხსენება, რომელიც აღიარებითი ხასიათისაა, სულ რამდენიმე დღის წინ გაჩნდა. ეს დოკუმენტი გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოიტანეს. ანგარიშში დეტალური პასუხებია ისეთ „საინტერესო" კითხვებზე, როგორიცაა „ისლამური სახელმწიფოს" შექმნა, ასევე, მოსულისა და ერ-რამადის დამხობა ერთი მუჭა ჯიჰადისტების მიერ, რომლებიც წინააღმდეგობასაც კი არ გადაყრიან.**



ანგარიში გამოქვეყნდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის ფარგლებში, სასამართლოს დადგენილების შესაბამისად სარჩელზე, რომელიც რამდენიმე დღის წინათ განიხილეს. დოკუმენტი, რომელზეცაა საუბარი, დათარიღებულია 2012 წლის აგვისტოთი. მას „საიდუმლო" ეწოდებოდა და ნებადართული იყო გავრცელება აშშ-ის მხოლოდ ისეთ ინსტიტუტებს შორის, როგორიცაა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო, სახელმწიფო დეპარტამენტი, სამხედრო დაზვერვა, გამოძიების ფედერალური ბიურო, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, თავდაცვის სამინისტრო, ცენტრალური სარდლობა და ზოგიერთი სხვა. მაგრამ ფაქტებს ერთი ცუდი თვისება ახასიათებს — ერთ დღესაც გამოაშკარავდებიან ხოლმე.

**ვაშინგტონისათვის „ისლამური სახელმწიფოს" არსებობის შესახებ ჯერ კიდევ 2012 წელს იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, ის განაგრძობდა სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერას „ისლამური სახელმწიფოს" წინამორბედებისთვის — „ალ ქაიდასა" და „ერაყის ისლამური სახელმწიფოსთვის".** ის განაგრძობდა ამ დაჯგუფებების ბოევიკების წვრთნასაც. აშშ „ისლამური სახელმწიფოს" ზრდას განიხილავდა, როგორც სტრატეგიულ უპირატესობას საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისათვის. დამასკოს იზოლაციისა და ირანის გავლენის ზრდის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მათ ესაჭიროებოდათ „სუბდაქირავებული" ძალა. აი, რისთვის დასჭირდათ ჯიჰადისტები, ამიტომაც დახუჭეს მათ თვალი ორგანიზაციის გაჩენაზე, ზრდასა და მობილიზაციაზე.

ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. **აშშ-ის თავდაცვის მინისტრი პროგნოზირებდა, რომ სხვა ორგანიზაციების გაერთიანებით „ერაყის ისლამური სახელმწიფოს", შესაძლოა, „ისლამური სახელმწიფო" გამოეცხადებინა ერაყსა და სირიაში და აღმოსავლეთ სირიაში გამოეცხადებინა ან რეალურად შეექმნა სალაფიტური ემირატი.** ასევე იწინასწარმეტყველა, რომ მოსული და ერ-რამალი დაემხობოდა, ისიც, რა შედეგებამდე მიიყვანდა ერაყსა და სირიას ამ ქალაქების, ასევე რაკასა და დეირ-აზ-ზორის დაცემა. მოხსენება ასევე შეიცავს პროგნოზებს იმის შესახებ, როგორ განვითარდება კრიზისი. ხაზგასმულია, რომ **„რეჟიმი განაგრძობს არსებობას" და შემდგომში მოვლენები მივა „სხვათა ხელით ომამდე, რომელშიც, ერთი მხრივ, მონაწილეობას მიიღებენ ირანი, რუსეთი და ჩინეთი, მეორე მხრივ კი — დასავლეთი, სპარსეთის ყურის ქვეყნები და თურქეთი.**

ეხმარებოდა რა ოპოზიციას, რომელშიც აქტიურ როლს ასრულებდნენ ჯიჰადისტები და ეძახდა რა მას „ზომიერს", აშშ, რომელიც დღეს ირწმუნება, რომ „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ „ომობს", მსუბუქად რომ ვთქვათ, სცოდავდა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ „ისლამური სახელმწიფო" შეიქმნებოდა. მიუხედავად ამისა, ის განაგრძობდა ხელშეწყობას. მისი რეგიონალური პოზიციის გათვალისწინებით, ამგვარი „დაბადება" უნდა მომხდარიყო. და მოხდა კიდეც. ძირითადად, ყველა ეს პროგნოზი თავისთავად წარმოადგენს პროცესს, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს" შექმნისას მიმდინარეობდა. ეს არის პროგნოზირება მოვლენებისა, რომლებიც არა იმდენად გარდაუვალია, რამდენადაც სასურველი.

გასულ წელს, დაახლოებით ამავე დროს, „ისლამური სახელმწიფოს" ბოევიკების ჯგუფმა მოსული აიღო. მსოფლიოში გაოგნება გამოიწვია ერაყის არმიის პანიკურმა გაქცევამ. რამდენიმე კვირის წინათ ანალოგიურად დაემხო ერ-რამადი. ამის შემდეგ აშშ-მა და ერაყმა ერთმანეთი დაადანაშაულეს, რუსეთმა და ირანმა კი — აშშ. DIA-ს ანგარიში, მხარეების განცხადებები, აშშ-ის რეგიონალური ინტერესები და ბრძოლის ველიდან მოსული ამბები განაპირობებს მოსაზრებას, რომ „ისლამური სახელმწიფოს" შენაძენი სასურველიც კია აშშ-ისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში მთელ რიგი კონკრეტულ ფაქტებია მოყვანილი, მაინც სადავოა, რა ხარისხით არის „ისლამური სახელმწიფო" ამერიკული წარმომავლობის. იმის მტკიცება, რომ „ისლამური სახელმწიფო" სრულად აშშ-ის პროდუქტია, ზედმეტად თავდაჯერებული ქმედებაა. იმას, თუ რამდენადაა ეს ფიქცია ან პოლიტიკური უპირატესობების თანამდევი მოვლენა, დრო აჩვენებს. ჭეშმარიტება, შესაძლოა, გავიგოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველაფერი ჩაწყნარდება. აშშ-ის დამსახურებათა სია ყველასათვის ცნობილია, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მრავალი ისლამური ორგანიზაციის გაჩენასა და ზრდაში — „ალ ქაიდადან" დაწყებული, თალიბანით დასრულებული. ყველას მშვენივრად ახსოვს, რომ ამ ორგანიზაციების საფუძველზე ქვეყნებსა და რეგიონებში ახალი დიზაინი იქმნებოდა. წარსულში რადიკალურ ისლამისტებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყენებდნენ, დღეს კი — ავღანეთში, ლიბიაში, სომალსა და სირიაში.

**Birgun**

# ევროკავშირს მინუს საფრანგეთი

**ვიდრე უკრაინა, საქართველო და მოლდოვა ცდილობენ, ევროკავშირის წევრობას მიაღწიონ, ძირძველი ევროპული სხელმწიფოები კავშირიდან გასვლაზე ალაპარაკდნენ. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ უკვე ჩამოაყალიბა მთავარი კითხვა, რომელსაც რეფერენდუმზე გაიტანენ — მიზანშეწონილია თუ არა გაერთიანებული სამეფოს დატოვება ევროკავშირის შემადგენლობაში? საფრანგეთში ულრამემარჯვენე პარტიამ „ნაციონალურმა ფრონტმა" ქვეყნის ხელისუფლებას ანალოგიური რეფერედუმის ჩატარებისაკენ მოუწოდა.**




ევროკავშირიდან საფრანგეთის გასვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე „ფრონტის" ლიდერი **მარინ ლე პენი** ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე საუბრობდა. მაშინ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ლე პენის გამარჯვების შემთხვევაში შესაძლოა ამგვარი რეფერენდუმი ჩატარებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შეიძლება უფრო ადრეც მოხდეს.

ლე პენმა განაცხადა, რომ, თუ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ევროკავშირიდან გასვლის წინააღმდეგი იქნებოდა, იგი პრეზიდენტის სავარძელს დატოვებდა. შემდეგ კი დასძინა, რომ, ვიდრე ამგვარ ნაბიჯს გადადგამდა, ულტიმატუმის წინაშე დააყენებდა ევროპულ ინსტანციებს, დაებრუნებინათ ფრანგი ხალხისთვის ტერიტორიული, საკანონმდებლო, ეკონომიკური სუვერენიტეტები და სუვერენიტეტი სავალუტო სფეროში. ახლა „ნაციონალური ფრონტი" იმედოვნებს, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება გაითვალისწინებს ინიციატივას.

**ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირიდან საფრანგეთის გასვლის მთავარი საფუძვლები ეკონომიკური ხასიათისაა — ევროკავშირის სხვადასხვა წევრისთვის საგარეო ვალი იზრდება, სუსტების გადარჩენა კი სხვებს უწევთ. გერმანიის შემდეგ საფრანგეთი თავს მიიჩნევს იმ ქვეყნებიდან ერთ-ერთად, ვის მხრებსაც აწვება ეს ხარჯები.**

მეორე მხრივ, საფრანგეთს თავადაც მნიშვნელოვანი დეფიციტი აქვს ბიუჯეტში და ევროკავშირიდან გასვლა ქვეყნის აღორძინებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

**საფრანგეთში ევროკავშირისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ძალებს იკრებს ნაციონალური განწყობების გაძლიერებასთან ერთად.** გახდა რა ევროკავშირის წევრი, საფრანგეთმა ნამდვილად დათმო საკუთარი სუვერენიტეტი, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საკითხებში — ახლა მას ბრიუსელთან უხდება შეთანხმება. „ნაციონალური ფრონტის" განცხადება არის მცდელობა, მიაპყრონ ევრობიუროკრატიის ყურადღება ევროკავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობების რეალური პრობლემებს.

ამჟამად არსებობს მთელი რიგი ქვეყნებისა, რომლებშიც ევროკავშირის წევრობისადმი უკმაყოფილება იზრდება. ამის თვალსაჩინო დემონსტრირება იყო ევროპარლამენტში ევროსკეპტიკების წარმატება.

პოლონეთში ახლახან გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა **ანჟეი დუდამ**, რომელიცასევე კრიტიკულადაა განწყობილი ევროკავშირისადმი, ევროსკეპტიკები შეიძლება მოვიდნენ პოლონეთის პარლამენტშიც. ანალოგიურ თვალსაზრისს იზიარებს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი **ვიქტორ ორბანი**. ფინეთის ხელისუფლებაში პირველად მოხვდნენ ევროსკეპტიკოსების პარტიები, მემარცხენეები აქტიურად მოქმედებენ ესპანეთსა და პორტუგალიაშიც. ბრიტანეთი ცდილობს, შეამციროს თავისი წილი საერთო ბიუჯეტში, პოლონეთი და ესპანეთი ჯერჯერობით სარგებელს ნახულობენ ევროკავშირის წევრობიდან, მაგრამ მას მიიჩნევენ დამნაშავედ ყველა პრობლემაში, რომელიც კი აქვთ. სამხრეთევროპული ქვეყნები ევროკავშირისაგან ითხოვენ ვალების ერთობლივ მომსახურებას, საბერძნეთი კი, რომელიც, ფაქტობრივად, გაკოტრებულია, საერთოდაც ტოვებს ევროზონას.

ევროზონიდან საბერძნეთის გასვლას და დრაჰმასთან დაბრუნების პროცესს უკვე შეარქვეს Grexit-ი. ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოყოფას Brexit-ს უწოდებენ, სულ მალე კი შესაძლოა, გაჩნდეს ახალი ტერმინი Frexit, რომელიც ევროკავშირიდან საფრანგეთის გასვლას აღნიშნავს.

**posthunt.net**

**აშშ, ნებსით თუ უნებლიეთ, ზურგს უკან მუდამ კრიზისებსა და კონფლიქტებს ტოვებს; შესაძლოა, თავის ჯერ კიდევ უზარმაზარ სამხედრო ძალაზე დაყრდნობით აიძულოს მოკავშირეები (ევროპაში), დამოკიდებულნი იყვნენ მასზე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთი უკვე ხელთათმანების გარეშე მოქმედებს

**2015 წელი მდიდარია იუბილეებით. 70 წელი დიადი გამარჯვებისა და მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან, 26 წელი ბერლინის კედლის დანგრევიდან და შემდგომ გერმანიის გაერთიანებიდან, 40 წელი ჰელსინკის აქტის ხელმოწერიდან და შემდგომ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნიდან...**



ამ ფონზე თითქმის ყველას დაავიწყდა დიდი იუბილე — 200 წელი ნაპოლეონზე საერთო გამარჯვებიდან საერთოევროპულ ომში და ვენის კონგრესი.

ამ კონგრესზე, როგორც ახლა იტყოდნენ, **არაოფიციალური კონსულტაციების პროცესში რუსეთის ძალამ, ალექსანდრე პირველის იდეალიზმმა და სიბრძნემ, მეტერნიხისა და ტალეირანის დიპლომატიურმა გენიამ შესაძლებელი გახადა „ნაციების კონცერტის" შექმნა, რამაც ევროპაში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უზრუნველყო მშვიდობა და თითქმის მთელი საუკუნით დაამყარა წესრიგი.** ვენის კონგრესის მთავარი მიღწევა — ომისშემდეგომი წესრიგი — შედარებით სამართლიანად იყო აგებული, ის არ ამცირებდა დამარცხებულ საფრანგეთს.

თუმცა წარმოიშვა ბიპოლუსიანი განხეთქილება, რომელიც ახალ მსოფლიო ომად მხოლოდ იმიტომ არ იქცა, რომ კურჩატოვის, ოპენჰაიმერის, ფერმის, ლავრენტიევის, სახაროვის, ტალერის, კოროლიოვის, ფონ ბრაუნის ხელით მსოფლიოს მოევლინა ბირთვული „არმაგედონის იარაღი".

დასავლეთი სწრაფად წავიდა პოსტევროპული ღირებულებებისკენ, რუსეთი კი — ტრადიციული ევროპულისკენ, ანუ სუვერენიტეტის, ძლიერი სახელმწიფოს, ქრისტიანული ეთიკური და მორალური ზომებისკენ, რომელსაც ძალადობრივად ჩამოაშორეს კომუნისტურ პერიოდში.

ცივ ომს მოჰყვა ერთპოლუსიანი მსოფლიოს ათწლიანი იზოლაცია, შემდეგ დასავლეთი პოლიტიკურად, მორალურად და ეკონომიკურად დაღმა დაეშვა, დანარცენი მსოფლიო კი აღმასვლის გზას დაადგა და გაჩნდა ახლანდელი მსოფლიო, რომელსაც მრავალპოლუსიანს უწოდებენ. სავარაუდოდ, მრავალპოლუსიანობაც დროებითი მოვლენაა.

**უკვე სრულდება ჯერ ევროპის, შემდეგ კი მისი მძლავრი დამხმარე აშშ-ის 500-წლიანი დომინირება. როგორც ჩანს, დასავლეთის მრავალსაუკუნოვანი სამხედრო, ეკონომიკური იდეოლოგიური, კულტურული ჰეგემონიის აღსასრული და არადასავლეთის წინსვლა მსოფლიოს განვითარების ამ ეტაპის მნიშვნელოვანი შტრიხია.**

ამგვარ ცვლილებას უამრავი მიზეზი აქვს. ძველი პერიფერიის ხალხებმა და ქვეყნებმა მიიღეს წვდომა ტექნოლოგიების, განათლების, მოწინავე სოციალური პრაქტიკების მიმართ. ტრანსპორტის ტექნოლოგიურმა რევოლუციამ დააკავშირა ბაზრები. მრავალმა ქვეყანამ გლობალურ დონეზე კონტროლის საშუალება მიიღო და თავის უპირატესობებს იყენებს.

ესოდენ მასშტაბური და შედარებით უკონფლიქტო ძალთა გადანაწილებამ შექმნა ბირთვული იარაღი, რომელმაც შეუძლებელი გახადა ახალწამოწეული ძალების სამხედრო გზით შეჩერება თვითგანადგურების რისკის გარეშე.

**დასავლეთის ისტორიული დასუსტების ტენდენციის ერთ-ერთი გამოვლინება არის აშშ-ის ნახევრად წასვლა ევროპიდან, ახლო აღმოსავლეთიდან. ამასთანავე, აშშ, ნებსით თუ უნებლიეთ, ზურგს უკან მუდამ კრიზისებსა და კონფლიქტებს ტოვებს; შესაძლოა, თავის ჯერ კიდევ უზარმაზარ სამხედრო ძალაზე დაყრდნობით აიძულოს მოკავშირეები (ევროპაში), დამოკიდებულნი იყვნენ მასზე.** ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე აშშ ერთხელ უკვე წავიდა სანახევროდ — ქვეყნის მორალურად გამომფიტავი ვიეტნამის ომის შემდეგ, მაგრამ კვლავ დაბრუნდა. ახლა ეს წასვლა, შესაძლოა, უფრო ღრმა აღმოჩნდეს. ზოგიერთი მოკავშირე, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი, მოუწოდებს მას დაბრუნებისკენ, რადგან შიშობს, რომ მძლავრი პროტექციის გარეშე დარჩება, მაგრამ ძველი პირობებით დაბრუნება, სავარაუდოდ, ვერ მოხდება. მსოფლიო აივსო ახალი სახელმწიფოებით, რომლებსაც არ სურთ ძველი ჰეგემონია. თუმცა ის ხშირად უჭერდა მხარს შედარებით სტაბილურობას, მაგრამ შეწყვიტა, როდესაც ამერიკამ დაკარგა საპირწონე — საბჭოთა კავშირი.

თუ დასავლეთის დასუსტების ტენდენციები გაგრძელდება, რაც სავარაუდოა ძალთა თანაფარდობის ვექტორის ცვლილების გათვალისწინებით, მაშინ საერთაშორისო საზოგადოებრიობის და არა, უბრალოდ, დასავლეთის წინაშე დადგება დესტაბილიზაციის გარეშე მისი მართვის ამოცანა.

ჯერ კიდევ ათი წლის წინათ „ახლების წინსვლის" მართვის საკითხი იდგა. დასუსტებამ, შესაძლოა, მთელი ეპოქა მოიცვას და შედარებით მშვიდად ჩაიაროს. სავარაუდოდ, ევროპა განაგრძობს დათმობას, ცხადია, ჯიუტობით. აშშ-ის პოლიტიკაში თავდაჯერებულობა არ არის. თუმცა ამერიკა, მიუხედავად ყველა პრობლემისა, ჯერ კიდევ მხნე ქვეყანაა.

**ახალმა ქვეყნებმა დაინახეს, რომ ძველმა დასავლეთმა, მართალია, შექმნა თანამედროვე გლობალიზაცია, მაგრამ, როგორც კი შენიშნა, რომ მისგან სხვები რჩებიან მოგებული, თავს არიდებს მას და იწყებს ინსტიტუტების საკუთარი სისტემის, საკუთარი ეკონომიკური ბლოკების შექმნას.** ერთ-ერთი ამგვარი კავშირი ნამდვილად იქმნება აშშ-ის ჰეგემონიისაგან გათავისუფლებულ ლათინურ ამერიკაში, მეორე და პოტენციურად ყველაზე მძლავრი — კონტინენტურ აზიაში. მას უერთდება რუსეთიც. ამ ჯერჯერობით უსახელო გაერთიანებას, შეიძლება, დიდი ევრაზიის საზოგადოება ვუწოდოთ.

დიდი ევრაზიის სივრცეში ბევრი ტერიტორიული და სხვა დავაა. რეგიონიდან სამხრეთით და დასავლეთით განთავსებულია ახლო აღმოსავლეთი, რომელიც განწირულია ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტებისა და არასტაბილურობის ექსპორტისთვის. რთულად მოგვარებადია ევროპული უსაფრთხოების პრობლემაც, მაგრამ, თუ პრობლემა გადაუჭრელია, საჭიროა მისი ჩარჩოებიდან გასვლა.

**ამიტომ საჭიროა ევროპული თანამშრომლობის, განვითარებისა და უსაფრთხოების ფორუმის — თანამედროვე „ვენის კონგრესის" შექმნა, რომელიც შეეცდებოდა ახალი წესებისა და რეჟიმების შემოღებას ევრაზიის კონტინენტისთვის. ეს არ უნდა იყოს ძველი სისტემის საწინააღმდეგო ფორუმი — დაე, მსურველები დარჩნენ ნატოში.**

მსოფლიოს განვითარების სავარაუდო კონცეფციაში გაურკვეველია აშშ-ის როლი, მაგრამ ეს კითხვა ამერიკული ელიტისთვისაა. მან უნდა გადაწყვიტოს, რა სურს — დაიმალოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ მსოფლიოზე გაბრაზებული, მოექცეს სანახევრო იზოლაციაში და ზურგს უკან ნანგრევები მოიტოვოს, რათა შემდგომში დაბრუნების საშუალება ჰქონდეს, თუ მოებღაუჭოს „ერთპოლუსიან" მომენტს, რომლის დაბრუნებაც, როგორც ჩანს, აღარავის სურს? თუ გახდეს ახალი, უფრო დემოკრატიული, თანასწორუფლებიანი და სამართლიანი მსოფლიოს პასუხისმგებელი მშენებელი?

globalaffairs.ru

**უკვე სრულდება ჯერ ევროპის, შემდეგ კი მისი მძლავრი დამხმარე აშშ-ის 500-წლიანი დომინირება. როგორც ჩანს, დასავლეთის მრავალსაუკუნოვანი სამხედრო, ეკონომიკური, იდეოლოგიური, კულტურული ჰეგემონიის აღსასრული და არადასავლეთის წინსვლა მსოფლიოს განვითარების ამ ეტაპის მნიშვნელოვანი შტრიხია**



## მოლდოვის პრემიერმა თანამდებობა დატოვა

**მოლდოვის პრემიერმინისტრმა კირილ გაბურიჩიმ გადადგომის შესახებ განაცხადა. „მე არ ვარ პოლიტიკოსი, მე ვარ მენეჯერი, ქვეყანას კი პოლიტიკური სისტემის ცვლილება სჭირდება", — განაცხადა მან. გაბურიჩმა პრემიერის პოსტი თებერვალში დაიკავა. იგი ბიზნესმენია.** კვირის დასაწყისში მან გადადგომისკენ მოუწოდა გენერალურ პროკურორსა და ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს, რადგან მიაჩნია, რომ მათ ვერ გადადგეს ეფექტიანი ნაბიჯები მოლდოვის სამი ბანკიდან 1 მილიარდი დოლარის გაქრობის საქმესთან დაკავშირებით. პრემიერის გადადგომა მისი განათლების შესახებ აგორებულ სკანდალსაც უკავშირდება. „ჩემი განათლება გამოიყენეს პოლიტიკური თამაშებისთვის. მე ეს არ მინდა. მე აქ მოვედი, როგორც მენეჯერი, ყველაფერი გავთვალე, როგორც მათემატიკოსმა და არა პოლიტიკოსმა", — განაცხადა პრემიერმა. როგორც ცნობილია, მოლდოვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გენერალურ პროკურატურას პრემიერმინისტრის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაყალბების საქმის გამოძიების შესახებ მასალები გადაუგზავნა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გაბურიჩიმ გენერალურ პროკურორსა და ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს გადადგომისკენ მოუწოდა. გაბურიჩი გენერალურ პროკურატურაშიც დაიბარეს. პრემიერის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ სკანდალი რამდენიმე თვის წინათ აგორდა — ერთ-ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ გაბურიჩის უმაღლესი განათლება არ აქვს და მისი დიპლომი ყალბია.

მოკლედ

## თეთრ სახლსა და სენატში ევაკუაცია გამოცხადდა

**აშშ-ის თეთრი სახლის ერთ ნაწილში და სენატის ორ შენობაში ევაკუაცია გამოცხადდა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, პოლიციაში შევიდა ინფორმაცია ბომბის არსებობის შესახებ, რომელიც თეთრ სახლსა და სენატის შენობაში უნდა ყოფილიყო.** თეთრ სახლში ტრადიციული პრესკონფერენცია იმართებოდა, როდესაც თეთრი სახლის პრესსპიკერმა ჯოშ ერნესტმა ჟურნალისტებს შენობის დატოვება სთხოვა. ამის შემდეგ, აშშ-ის საიდუმლო სამსახურმა შეამოწმა პრესის ოთახი, რომელშიც ბომბი არ აღმოჩნდა. სენატში კი ცრუ განგაშის გამო შეწყდა მოსმენა, რომელზეც აეროპორტების უსაფრთხოებას განიხილავდნენ. მასში, სენატორების გარდა, სწორედ ის სამსახურები მონაწილეობდნენ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან აშშ-ის ტერორისტული საფთხეებისგან დაცვაზე. ჟურნალისტების ოთახი პრეზიდენტის ოთახის გვერდით არის და, როგორც თეთრ სახლში აცხადებენ, არც პრეზიდენტს და არც პირველი ლედის განგაშისას ოთახი არ დაუტოვებიათ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აქტივისტებმა გაარკვიეს, რომ 2012-დან 2014 წლამდე ბრიტანეთში 730 ათასჯერ მოითხოვეს კავშირგაბმულობის მონაცემები. ამგვარი განაცხადების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. შარშან ამ მაჩვენებელმა პიკს მიაღწია — 250 ათასს.**

# პოლიცია, რომელსაც არასდროს ეუბნებიან უარს

**მინისტრები ისმენენ უამრავ მოთხოვნას, შეიზღუდოს პოლიციის წვდომა კერძო სატელეფონო საუბრებსა და ელექტრონულ მიმოწერაზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისთვის მებრძოლებმა აღმოაჩინეს, რომ მსგავსი წვდომისთვის პოლიციელები ყოველ ორ წუთში ერთხელ ითხოვენ ნებართვას და მოთხოვნათა 93% კმაყოფილდება.**



ეს მონაცემები გამოქვეყნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია Big Brother Watch-ის ანგარიშში და მოპოვებულია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის სრული დაცვით. **აქტივისტებმა გაარკვიეს, რომ 2012-დან 2014 წლამდე ბრიტანეთში 730 ათასჯერ მოითხოვეს კავშირგაბმულობის მონაცემები. ამგვარი განაცხადების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. შარშან ამ მაჩვენებელმა პიკს მიაღწია — 250 ათასს.**

ანგარიში ხელისუფლებისთვის არასასურველ დროს გამოქვეყნდა, რადგან სწორედ ახლა უნდა წარმოადგინოს თვალთვალის უფლებამოსილების თემაზე საკუთარი ანგარიში მთავრობის განსახილველად სამეფო ადვოკატმა დევიდ ანდერსონმა, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ მასალები „ყველას არ მოეწონება".

შინაგან საქმეთა მინისტრი ტერეზა მეი ცდილობს, როგორმე აღადგინოს კანონი, რომელიც უშიშროების სამსახურებსა და პოლიციას ანიჭებს დამატებით უფლებამოსილებას თვალთვალის წარმოებაზე. სხვა ყველაფერთან ერთად, პოლიციასა და ჯაშუშებს, შესაძლოა, მიეცეთ ახალი უფლებები სატელეფონო ზარების მოსმენის, ელექტრონული ფოსტის კითხვისა და ამონაცემების მოპოვების მიმართულებით.

საგამოძიებო ორგანოებისთვის უფლებამოსილებების გაფართოების წინადადების კრიტიკოსები ამბობენ, რომ ახლა მოქალაქეების შესახებ ისედაც ძალიან ბევრი მონაცემები გროვდება და ყოველთვის გასაგები როდია, ვის შესახებ იკრიბება ინფორმაცია, რა შემთხვევებში და რა სახით დასტურდება ყველა მოთხოვნა.

Big Brother Watch-ის ანგარიშის გამოქვეყნების ფონზე, ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა დევიდ დევისმა განაცხადა, რომ ამონაცემების მიმართ პოლიციის წვდომის მასშტაბები კონტროლს არ ექვემდებარება. მან მოითხოვა, რომ პოლიციელებმა, ვიდრე მოსმენებზე მიიღებენ წვდომას, ნებართვა მოსამართლისგან აიღონ.

„ვიდრე ახალ შესწორებებს შევიტანდეთ კანონში, უნდა გავუგოთ მათ, საჭიროა სიტუაციის კონტროლქვეშ დაბრუნება. ეს კი ნიშნავს, რომ ორდერებისა და ნებართვების გაცემის სისტემა სასამართლო ორგანოებმა უნდა სრულყონ".

დევისის განცხადებით, უარის მიღების შემთხვევათა შორის ესოდენ კოლოსალური სხვაობა — 0,1-დან 28-პროცენტამდე — იმის დასტურია, რომ განაცხადების დამუშავების სისტემაში რაღაც წესრიგში არაა. მისი აზრით, სამარცხვინოა, რომ არ არსებობს მონაცემები, რისთვის იყენებს პოლიცია მოპოვებულ კერძო ინფორმაციას, და განაცხადა, რომ „გამჭვირვალობის გასამყარებლად აქ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი".

„კავშირგაბმულობის შესახებ მონაცემების შეგროვების შესაძლებლობების გაფართოებაზე ხელისუფლების ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ ამ მონაცემების დეფიციტია, — განაცხადა დევისმა, — მაგრამ ხელისუფლება უარს ამბობს იმ ინფორმაციის მოწოდებაზე, რომელიც დაადასტურებს ან უარყოფს მის არგუმენტს".

პარლამენტის დეპუტატი ტომ უოტსონი, რომელიც უფლებამოსილების გაფართოების კამპანიის წინააღმდეგ გამოდის, აცხადებს: „ჩვენი სადაზვერვო და პოლიციური სამსახურები საზოგადოებაში ლეგიტიმურობას რისკავენ იმ თვალთვალის გამო, რომელსაც ისინი ახორციელებენ".

უკიდურესად მნიშვნელოვანია, ადამიანებს ესმოდეთ, თუ რა მიზეზით მოითხოვენ ამ

**სერ ენტონი მეი, რომელიც კავშირგაბმულობის საშუალებების მოსმენების კომისრად მუშაობს, ამბობს, რომ სადაზვერვო ორგანოებმა და ყველა სხვა უწყებამ, საერთო ჯამში, 2014 წელს ნახევარ მილიონზე მეტჯერ მიიღეს ნებართვა მეტამონაცემების გამოყენებაზე**



ინფორმაციას ესოდენ ხშირად. რაც შეეხება დაზვერვას, აქ მნიშვნელოვანია გასაიდუმლოება; თუმც ასახელმწიფო ხელმძღვანელებმა და საზოგადო მოღვაწეებმა უნდა იცოდნენ, რა პირობებში ტარდება გამოძიებები", — განაცხადა მან.

ხელისუფლება ემზადება სამოქალაქო თავისუფლებების საკითხზე ბრძოლისთვის, რომელიც მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდება, რადგან მეი მოუწოდებს მას, გაზარდოს სპეცსამსახურებისა და პოლიციის უფლებამოსილებები კერძო კავშირების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

კანონი, რომელსაც ადრე ერქვა „კანონი კავშირგაბმულობის მონაცემების შესახებ", 2013 წელს დაბლოკეს ლიბერალ-დემოკრატებმა. ეს იმ პერიოდში მოხდა, როდესაც ედუარდ სნოუდენის მხილებების შემდეგ სპეცსამსახურების მუშაობაზე ყურადღება გამახვილდა.

მეი ცდილობს, კანონის მიღების საჭიროება იმით დაასაბუთოს, რომ პოლიციასა და სპეცსამსახურებს პრობლემები აქვთ, რადგან ამჟამად მათ განკარგულებაში არსებული უფლებამოსილებები არ იძლევა საშუალებას, წვდომა იქონიონ კავშირგაბმულობის ზოგიერთ ახალ ტექნოლოგიაზე.

Big Brother Watch-ის ხელმძღვანელი რენატა სემსონი კი ამბობს, რომ უარის უკიდურესად დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ეჭვქვეშ აყენებს მტკიცებას, თითქოს პოლიციას ინფორმაციის მისაღებად საკმარისი შესაძლებლობები არ აქვს. „პოლიციის მუშაობის თანამედროვე მეთოდები და დანაშაულის გამოძიებისას გამოყენებული ტექნოლოგიები უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს, — აცხადებს იგი. — **ჩვენ მუდამ გვეუბნებიან, რომ მეტამონაცემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიციის მუშაობაში, მაგრამ ანგარიშში დასმულია სერიოზული კითხვები შიგა პროცედურებზე, რომელთა წესებსაც პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში სხვადასხვანაირად ადგენენ".**

„იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე პოლიციამ მეტამონაცემების მისაღებად 730 ათასი მოთხოვნა გაგზავნა, პოლიტიკოსების განცხადებები კავშირგაბმულობის წვდომის შემცირებაზე აშკარად გადაჭარბებულია. თუ კავშირგაბმულობის მიმართ წვდომა კიდევ უფრო გაიზრდება, მაშინ ნორმის სახით შემოღებულ უნდა იქნას გამჭვირვალობა და განაცხადების დამოუკიდებლად დამტკიცება სასამართლოში".

„ვიდრე ამგვარი ზომები არ იქნება მიღებული, საზოგადოება არ დაიჯერებს, რომ მისი კავშირების მიმართ წვდომა დაშვებულია ნამდვილად აუცილებლობის შემთხვევებში".

**BIG BROTHER WATCH-ის განმარტებით, კავშირგაბმულობის მონაცემები არის ინფორმაცია იმის თაობაზე, „ვინ, სად და როდის გზავნის ტექსტურ შეტყობინებებს, ელექტრონულ წერილებს, რეკავს ან აწარმოებს ძიებას ინტერნეტში".**

„დანიშნული პირი", რომელიც არ უნდა იყოს დაკავშირებული გამოძიებასთან, მაგრამ უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა ადამიანის უფლებების კანონმდებლობის მხრივ, იღებს ნებართვას ამ მონაცემების წვდომის თაობაზე.

ამჟამად მოქმედი წესებისა და კანონების თანახმად, თუ პოლიციას ან სპეცსამსახურებს სურთ, კავშირგაბმულობის საშუალებებით გადაცემული რაიმე ცნობის შინაარსის ცოდნა, მათ საამისო ნებართვა მინისტრისგან უნდა მიიღონ.

**სერ ენტონი მეი, რომელიც კავშირგაბმულობის საშუალებების მოსმენების კომისრად მუშაობს, ამბობს, რომ სადაზვერვო ორგანოებმა და ყველა სხვა უწყებამ, საერთო ჯამში, 2014 წელს ნახევარ მილიონზე მეტჯერ მიიღეს ნებართვა მეტამონაცემების** ►

---

მსოფლიო

## აშშ ერაყში დამატებით 450-ზე მეტ სამხედროს გააგზავნის

**„ბიზნეს ინსაიდერის" ცნობით, ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა.** მისი თქმით, ამერიკელი ჯარისკაცები ერაყის უსაფრთხოების ძალებს გაწვრთნაში დაეხმარებიან, რათა მათ ისლამისტებისგან ქალაქ რამადის გათავისუფლება შეძლონ. ამ დრომდე აშშ-მა ერაყში 3 000-ზე მეტი სამხედრო პერსონალი უკვე გააგზავნა, თუმცა, ისინი ბრძოლაში უშუალო მონაწილეობას არ იღებენ. პენტაგონის ცნობით, აშშ ყოველდღიურად „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ბრძოლაში 9 მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავს. აშშ-ის ხელმძღვანელობით საერთაშორისო კოალიცია ავიაიერიშებს ისლამისტი მებრძოლების წინააღმდეგ ერაყსა და სირიაში აგვისტოს შემდეგ ახორციელებს.



ტიკრიტის დაბრუნებისათვის ბრძოლა გარდამტეხი მომენტია ერაყის არმიისთვის... „ისლამური სახელმწიფო“ ნელ-ნელა კარგავს ძალას რეგიონში.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **გამოყენებაზე, მაგრამ მან უარყო მტკიცებულება, თითქოს ეს ორგანოები ძალიან ხშირად იყენებდნენ მეტამონაცემების მიღების უფლებამოსილებას.**

ამასთანავე, მან აღნიშნა: „განაცხადების ნაწილი სრულად არ შეესაბამებოდა აუცილებლობის მოთხოვნებს. არსებობს მაგალითები, როდესაც აღნიშნულ უფლებამოსილებას იყენებდნენ არასათანადო სახით და აუცილებლობის გარეშე“.

ამ კატეგორიას განეკუთვნება სხვადასხვა უწყების მიერ პრივილეგიური იურიდიული მასალების, მაგალითად, ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის საუბრების მიმართ ქცევის წესების, დარღვევა.

ანგარიშის საპასუხოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა განაცხადა: „უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა პოლიციამ და სპეცსამსახურებმა გარკვეული შეზღუდული გარემოებებისას შეძლონ კავშირგაბმულობის მონაცემების მოპოვება, რათა დაიცვან საზოგადოება და უზრუნველყონ ნაციონალური უსაფრთხოება“.

„ეს ინფორმაცია ეხმარება ტერორისტული შეთქმულებების ჩაშლას, დამნაშავეობრივი დაჯგუფების ლიკვიდირებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ამიტომ ხელისუფლება ვალდებულია, გააკეთოს ისე, რომ ჩვენი კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ცვალებად საფრთხეებს და პროგრესულ ტექნოლოგიებს“.

მთავარი სუპერინტენდანტი სტივენ გრემი, რომელიც უესტ-მიდლენდსის საგრაფოში პოლიციის საინფორმაციო განყოფილებას ხელმძღვანელობს, აცხადებს: „დღეს დანაშაულთა გამოძიებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მობილური ტელეფონები და ისინი გვეხმარება დაკარგული ადამიანების პოვნაში და მათი სიცოცხლისთვის საფრთხის არიდებაში“.

„მონაცემების მიღების შესახებ განაცხადი უნდა შეესაბამებოდეს ინსტრუქციებს და მკაცრ პროფესიულ წესებს“.

„მეტამონაცემები შესაძლებლობას იძლევა, შევიტყოთ დეტალები იმის შესახებ, როდის დარეკეს და რა ნომერზე. მათგან ასევე შეიძლება დამრეკავისა და მოპასუხის ადგილმდებარეობის დადგენა. მაგრამ ამ მონაცემებში არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, რას შეეხებოდა საუბარი ან რას შეიცავს გადაგზავნილი ტექსტი, აუდიოფაილი თუ ვიდეო“.

„ადამიანებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ეს ყველაფერი გააფართოებს პოლიციის უფლებამოსილებებს, მაგრამ სინამდვილეში ეს ზომები გვაძლევს იმის კეთების საშუალებას, რასაც უკვე ვაკეთებთ“.

**The Guardian**

# სიკვდილის მინდვრები ერაყსა და ტიკრიტში

**წლეულს, მარტში, ერაყის არმიის მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაციის შედეგად ტიკრიტი, როგორც იქნა, დაიხსნეს „ისლამური სახელმწიფოსგან“.**

ერაყის არმიის კონტროლქვეშ ქალაქის დაბრუნების შემდეგ ამოტივტივება დაიწყო იმ სამწუხარო პანორამებმა, რომლებიც რეგიონში „ისლამური სახელმწიფოს“ ყოფნისას გაჩნდა. **ერაყის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ქალაქ ტიკრიტთან ახლოს აღმოაჩინეს ოთხი დიდი სამარხი და 470 ადამიანის გვამი, ადამიანებისა, რომლებიც, სავარაუდოდ, „ისლამურმა სახელმწიფომ“ სიკვდილით დასაჯა.** ბაღდადში გამართულ პრესკონფერენციაზე ერაყის ჯანდაცვის მინისტრმა ადილია ჰამუდმა აღნიშნა, რომ მასობრივი სამარხები აღმოჩენილ იქნა ტიკრიტის ახლოს, სპაკერის სამხედრო ბაზის მიმდებარედ. სწორედ აქედან გაქრა 2014 წლის ივნისში დაახლოებით 1700 სამხედრო მოსამსახურე.

ბაღდადის მორგის ხელმძღვანელმა ზიიად ალი აბასმა განაცხადა, რომ ტიკრიტის შემოგარენში ნაპოვნია ოთხი მასობრივი სამარხი, მათგან ყველაზე დიდში 400 ადამიანის ცხედარი იპოვეს. ამ საფლავებიდან ამოტანილი გვამების ექსპერტიზა „წითელი ჯვრის“ სპეციალისტების მონაწილეობით ტარდება. როგორც ბაღდადის ხელისუფლებამ განაცხადა, დაღუპულთა წინასწარი სიები რამდენიმე დღეში გამოქვეყნდება. გარდაცვლილთა ვინაობა დადგენილი იქნება დნმ-ის ანალიზების საფუძველზე.

მიუხედავად ყველა მომხდარი ნეგატიური მოვლენისა, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქის დაბრუნება, როგორიც ტიკრიტია, უდავოდ არის ერაყის არმიისა და შიიტი ბოევიკების წარმატება, მაგრამ მომავალში რეგიონის ბედის გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა ერაყის ცენტრალური ხელისუფლების მიდგომა ტიკრიტისა და მისი მოსახლეობის მიმართ. **„ისლამური სახელმწიფო“ ხომ ორგანიზაციაა, რომელიც ძალებს იკრებს თავისი მტრების სისუსტისა და რეგიონში გამეფებული ქაოსის ხარჯზე.** ტიკრიტში ქაოსის შენარჩუნებამ კი, შესაძლოა, ხელი შეუწყოს „ისლამური სახელმწიფოს“ დაბრუნებას რეგიონში. ეს რისკი არსებობს, მაგრამ, თუ ერაყის არმია კვლავ მოიკრებს ძალებს და შეძლებს, გახდეს ორგანიზებული, „ისლამურმა სახელმწიფომ“, შესაძლოა, ვერ გაუძლოს ამგვარ ზეწოლას და საბოლოოდ დატოვოს ერაყის ყველა დიდი ქალაქი.



**ერაყის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ქალაქ ტიკრიტთან ახლოს აღმოაჩინეს ოთხი დიდი სამარხი და 470 ადამიანის გვამი, ადამიანებისა, რომლებიც, სავარაუდოდ, «ისლამურმა სახელმწიფომ» სიკვდილით დასაჯა**

გარდა ამისა, ოპერაცია, რომელიც ტერორისტებისგან სადამის მშობლიური ქალაქის გამოხსნით დასრულდა, თვალსაჩინოდ აჩვენა ერაყის ხელისუფლების ახალი მიდგომა „ისლამური სახელმწიფოს“ ბრძოლის საკითხებისადმი. ბაღდადის სტრატეგიული და სამხედრო კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა ემად ბელაუმ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ადრე ისეთ ფორმირებებს, როგორიცაა სახმელეთო ჯარები და საჰაერო ძალები, არ ჰქონდათ სათანადო კოორდინაცია და ბრძოლისათვის პროფესიონალური მომზადება. **ტიკრიტის დაბრუნებისათვის ბრძოლა გარდამტეხი მომენტია ერაყის არმიისთვის.**

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე იყო ლოჯისტიკური მხარდაჭერა და ბრძოლების დაწყებამდე მომარაგების მარშრუტების უსაფრთხოება. ეს ნაბიჯები აჩვენებს, რომ **„ისლამური სახელმწიფო“ ნელ-ნელა კარგავს ძალას რეგიონში, რადგან, როგორც ერაყის ენერგეტიკული ინსტიტუტის დირექტორმა ლუაი ალ-ხატიბმა აღნიშნა, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ საკუთარი მომხრეების მიმართაც კი უკიდურესი ზომების გამოყენება, გამანადგურებელი პოლიტიკის გატარება ჭაბურღილების გადაწვისა და არქეოლოგიური მემკვიდრეობის იავარქმნით სხვა არაფერია, თუ არა ძლევამოსილების დაკარგვის დაფარვის მცდელობა საყოველთაო დაშინების გზით.**

მაგრამ „ისლამური სახელმწიფოს“ დასუსტების პერიოდში ბაღდადის ხელისუფლების მხრებზე გადავა ძირითადი ფუნქციები. პრობლემა, რომლის გადაჭრაც ბაღდადს პირველ რიგში მოუწევს, უკავშირდება მის უუნარობას — კონტროლს დაუქვემდებაროს მის მხარეს მებრძოლი ყველა მოთამაშე და ცენტრალური ძალა განასახიეროს. იმის ნაცვლად, რომ იმოქმედონ მეთაურობის ცენტრალიზებული სისტემის ფარგლებში, ომში მონაწილე ბოევიკები და სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები თავიანთ პოზიციებს იკავებენ. ეს კი ბრძოლით დაბრუნებულ რაიონებში არ იძლევა ქაოსის, ზეწოლისა და ძალადობის შეჩერების საშუალებას და ზრდის „ისლამური სახელმწიფოს“ დაბრუნების რისკებს.

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ოპერაციამდე საუბარი იყო გეგმაზე, რომლის თანახმადაც, წარმატების შემთხვევაში, ტიკრიტი კონტროლი ადგილობრივ ძალებს უნდა გაეკონტროლებინა. ადგილობრივი ოფიცრები დიდხანს ემზადებოდნენ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მაგრამ ოპერაციის შემდეგ ქალაქში შეაღწიეს ბოევიკების არარეგულარულმა დაჯგუფებებმა და შეიარაღებულმა მეამბოხეებმა, რომლებიც ყველას და ყველაფერს ძარცვავდნენ. ასე რომ, ქალაქი დაიხსნეს „ისლამური სახელმწიფოსგან“, მაგრამ ვერ დაიცვეს ცეცხლისა და ნგრევისგან. ბაღდადის გეგმამ ფიასკო განიცადა და ერაყის ხელისუფლება ამ სიტუაციის მოსაგვარებლად უუნარო აღმოჩნდა.

ბაღდადის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა რეგიონის ძალთა შორის საკომუნიკაციო სტრატეგია. „ისლამური სახელმწიფოს“ წინაშე ეფექტიანი ომის წარმოების უმნიშვნელოვანესი გზა გადის ერაყელებსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის სწორ სიგნალებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბაღდადს ეს ყველაფერი ესმის, ის არასაკმარისად ეფექტიანია ფსიქოლოგიურ ომში. უფრო მეტიც, განცხადებებით, რომლებიც არ ასახავს რეგიონში მიმდინარე ყველა მოვლენას სრულფასოვნად, ის ზრდის დაძაბულობას. მართალია, ერაყის ცენტრალური ხელისუფლება ირწმუნება, რომ ტიკრიტი დატოვა ირანის კონტროლს დაქვემდებარებულმა ბოევიკების ყველა ჯგუფმა, სინამდვილეში ისინი ათასობით არიან ქალაქში. ყოველ შემთხვევაში, ამას ადასტურებს ქალაქის მოსახლეობა. ამასთანავე, იმის მიუხედავად, რომ ტიკრიტში მასშტაბური შეტაკებები დასრულდა, ჯერაც არავინ იცის, როდის დაბრუნდებიან საკუთარ სახლებში დევნილები. არსებობს მოსაზრება, რომ ხელისუფლება, რომელსაც არ აქვს რეალური გეგმა, ამ საკითხზე შეგნებულად არ აწვდის ინფორმაციას საზოგადოებას.

ერაყის ერთიანობისა და მომავლის სახელით ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი, რომლებიც ქვეყანაში ცხოვრობს, უნდა იბრძოდეს უკეთესი საერთო მომავლის მშენებლობის დამაბრკოლებელი გარემოებების წინააღმდეგ, ყველა ხალხმა უნდა დაივიწყოს არარეალური მოთხოვნები და აღიაროს თანაარსებობის შესაძლებლობა ნაციონალური იდენტურობის ფარგლებში.

გარდა ამისა, ერაყისთვის აუცილებელია ნაციონალური გაჯანსაღება, მშვიდობის შენარჩუნება, საზოგადოებრივი თანხმობა, ასევე რეალური, ეფექტიანი და გასაგები საგზაო რუკა სახელმწიფო მშენებლობისთვის. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი შეძლოს, სახელმწიფო მხარს უნდა უჭერდეს ქვეყანაში მოსახლე სუნიტებს, შიიტებსა და ქურთებს. მხოლოდ ასე შეიძლება ისტორიული თანხმობის მიღწევა, თანხმობისა, რომელიც გააკონტროლებს ეთნიკურ და რელიგიურ უთანხმოებებს, წინ აღუდგება დაძაბულობას და იმ ქვეყნის დანაწევრებას, რომლის ქუჩებშიც ამჟამად სიკვდილი პატრულირებს.

**Ankara Strateji Enstitusu**

მოკლედ

## გაეროს წარმომადგენლები დახმარებისთვის განკუთვნილ ნივთებს სექსმომსახურებაზე ცვლიან

**გაეროს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები დახმარებისთვის განკუთვნილ პროდუქტებს სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ არიგებენ, — ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შიდა ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშში, რომელიც Reuters-ის ჟურნალისტებს ჩაუვარდათ ხელთ.** ანგარიშის მიხედვით, ასობით ლიბერიელი და გაიტელი ქალი, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ, სამშვიდობოებს სექსუალურ მომსახურებას უწევენ, სანაცვლოდ კი თანხას, ტანსაცმელს, სამკაულებს, მობილურ ტელეფონებსა და სხვა ნივთებს იღებენ. ანგარიშის თანახმად, 2008-2013 წლებში რეგისტრირებულია დაახლოებით 480 ასეთი დარღვევა, ხოლო შემთხვევათა ერთი მესამედი ჩადენილია არასრულწლოვანთა მიმართ. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ 2014 წელს ბრალდებები წაუყენეს 51 სამშვიდობოს, ხოლო 2013-ში — 66-ს.



მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯანმრთელობის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი რისკფაქტორი ალკოჰოლის დიდი რაოდენობით გამოყენებაა: 60-მდე დაავადება, ტრავმები, ინვალიდობა და 2,5 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ყოველწლიურად. ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით გამოწვეული მოკვდავობა გაცილებით მაღალია შიდსით (იმუნოდეფიციტის სინდრომი) და ტუბერკულოზით გამოწვეულთან შედარებით. განსაკუთრებით დამღუპველია ალკოჰოლის მოხმარება ახალგაზრდულ ასაკში.

# ერთობლივი პროექტი — ჯანმრთელობა

თამბაქოს მავნეობაზე საუბრობენ ექიმები, იბეჭდება საგაზეთო წერილები, კეთდება ტელე და რადიოგადაცემები, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც წესი, ფუჭი შრომაა: ადამიანები კვლავ ერთგულებენ სიგარეტს და... თავს იღუპავენ.

დღეს ჩვენს მკითხველებს მივაწვდით სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც მოამზადა და დაამუშავა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა რობიზონ წიკლაურმა.

# ალკოჰოლი — გლობალური პრობლემა

**ალკოჰოლის საზიანო გამოყენებით მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 2.5 მილიონი ადამიანი კვდება, მათ შორის, 15-29 წლის 320 000 ადამიანი. ალკოჰოლის მიზეზით გამოწვეული მოკვდავობა ევროპის ქვეყნებში საერთო მოკვდავობის დაახლოებით 12%-ია (13.9 — მამაკაცებში და 7.7 — ქალებში). 2010 წლის მონაცემებით, ევროპაში ალკოჰოლის საზიანო მოხმარებასთან ასოცირებულია ღვიძლის ციროზის 10-დან 7 შემთხვევა, კიბოს ყველა შემთხვევის 3-5% და ტრავმების 27 % მამაკაცებში (ქალებში — 6%). კიბოს, ღვიძლის ციროზსა და ტრავმებზე ალკოჰოლით გამოწვეული მოკვდავობის 90% მოდის.**



2009 წლის მონაცემებით, 15 წელზე მეტი წლოვანების ადამიანთა მიერ „სუფთა“ ალკოჰოლის წლიური მოხმარების საშუალო მაჩვენებელი ევროპაში შეადგენს 12.5 ლიტრს (მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით), ანუ — 27 გრამ „სუფთა“ ალკოჰოლს დღეში (დაახლოებით 3 სტანდარტული ერთეული).

ალკოჰოლს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოიხმარენ დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, აგრეთვე, არგენტინაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ***(იხ. ცხრილები)***

დადგენილია, რომ „სუფთა“ ალკოჰოლის დღიური მოხმარების 10-დან 90 გრამამდე გაზრდით ალკოჰოლით გამოწვეული დაავადებებისგან სიკვდილის აბსოლუტური წლიური რისკი იზრდება დაახლოებით 14-ჯერ, ხოლო ტრავმებით გამოწვეული სიკვდილის რისკი — დაახლოებით 30-ჯერ. ევროპის ქვეყნებში ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებაზე მოდის საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილის 20-48%.

ევროპა ყველაზე „მსმელი“ რეგიონია მსოფლიოში. ევროგაერთიანების ქვეყნებში (EU) 23 მილიონი ადამიანი ალკოჰოლზე დამოკიდებულია. 15-16 წლის სტუდენტების 43%-მა აღნიშნა, რომ ჰქონდა მძიმე სიმთვრალე. 9 მილიონი ბავშვი და მოზარდი ცხოვრობს ერთ ალკოჰოლზე დამოკიდებულ მშობელთან მაინც. 4-დან 1 უბედური შემთხვევა დაკავშირებულია ალკოჰოლთან. დათვლილია, რომ არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი, სადაც მთავარი რისკფაქტორი ალკოჰოლია, 2005-2030 წლების პერიოდისთვის შეიძლება შეადგინოს 25 ტრილიონ ევრო; ევროპაში ალკოჰოლი განიხილება ძირითადი ოთხიდან ერთ-ერთ მთავარ რისკფაქტორად ისეთი არაგადამდები დაავადებებისთვის, როგორიცაა კიბო და კარდიოვასკულური დაავადებები; 25-დან 59 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ალკოჰოლი ნაადრევი სიკვდილის ერთ-ერთ მთავარი რისკფაქტორია მსოფლიოში; ალკოჰოლი ითვლება ტოქსიკურ ნივთიერებად, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ეფექტების გათვალისწინებით, რომლებიც 60-მდე დაავადების განვითარებას განაპირობებს.

## ალკოჰოლი და ახალგაზრდობა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ინიცირებული იყო გლობალური გამოკვლევის ჩატარება სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის. გამოიკითხა 13-15 წლის ასაკობრივი ჯგუფები.

2008 წლის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშში მოცემულია ალკოჰოლის მოხმარების ზრდის ხუთწლიანი ტენდენცია. 73 ქვეყანაში არასრულწლოვნებს (13-15 წელი) შორის ალკოჰოლის სმის მატების ტენდენცია აღინიშნა 72%-ში, შემცირება — 4%-ში, სტაბილურად შენარჩუნდა — 8%-ში, ხოლო 16%-ის პასუხი არადამაჯერებელი აღმოჩნდა.

82 ქვეყანაში გამოიკითხა 18-25 წლის ახალგაზრდები: ალკოჰოლის მოხმარების გაზრდა აღირიცხა — 80%-ში, შემცირება — 11%-ში, სტაბილურობა — 6%-ში, არადამაჯერებელი პასუხი — 12%-ში. ახალგაზრდებს შორის საშიში და მავნე სასმელით ინტოქსიკაციის რაოდენობა იზრდება, შესამჩნევად მომატებულია ალკოჰოლის ეპიზოდური მიღებაც.

კვლევებით დადგენილია, რომ ბავშვები, რომლებიც იწყებენ ალკოჰოლის სმას 15 წლამდე, 5-ჯერ მეტად არიან ალკოჰოლზე დამოკიდებულების განვითარების რისკის ქვეშ, ვიდრე პირები, რომლებიც 21 და მეტი წლისა იწყებენ ალკოჰოლის მოხმარებას.

## საქართველოში ალკოჰოლის მოხმარების ეპიდემიოლოგიური სიტუაცია

2009 წელს ჩატარდა კვლევა თბილისის სკოლის მოსწავლეებში (მე-10 კლასელთა შორის, რომლებიც კვლევის პერიოდში საშუალოდ 16.1 წლისანი იყვნენ).

მათი უმრავლესობა ალკოჰოლის მიღებას აღიქვამს დღებით მოვლენად. ყველაზე პოპულარული სასმელებია ღვინო და ლუდი. გამოკითხულ მოსწავლეთა 70%-მა აღნიშნა, რომ, სულ ცოტა, ერთი ჭიქა ღვინო მაინც აქვს დალეული 13 წლამდე, შამპანური — 66%-ს, ხოლო ლუდი — 63%-ს. მაგარი სპირტიანი სასმელი კი — 36%-ს. ალკოჰოლური სასმელები, განსაკუთრებით კი — ლუდი და ღვინო, შესაძლებელია, სრულიად თავისუფლად შეიძინოს მომხმარებელმა (მათ შორის, მოსწავლემ). მოსწავლეთა 90%-მა აღნიშნა, რომ, სულ ცოტა, ერთხელ მაინც ყოფილა ნასვამი (მთვრალი). ბოლო 12 თვისა და 30 დღის პერიოდში ეს მაჩვენებლები შესაბამისად იყო 80% და 40%. ბოლო სიმთვრალის შემთხვევათა 40%-ში მიღებული იყო ღვინო, ხოლო 38%-ში — ლუდი. შამპანური და მაგარი სპირტიანი სასმელი — შესაბამისად, 29% და 22 %-ში. მოსწავლეთა დაახლოებით 50% აღნიშნავს, რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც ჰქონდა ალკოჰოლური ინტოქსიკაცია. 40% აღნიშნავს ინტოქსიკაციის შემთხვევას ბოლო 12 თვის, ხოლო 12% ბოლო 30 დღის განმავლობაში. ბოლო 30 დღის განმავლობაში ალკოჰოლური სასმელის 5 და მეტი ერთეულის მიღება „მძიმე ეპიზოდური დალევა“ აღნიშნა მოსწავლეთა 40%-მა (45% ბიჭი, 33% გოგო). საზოგადოდ, შემთხვევათა დაახლოებით 70%-ში მოსწავლეები ალკოჰოლს იღებენ საკუთარ ან მეგობრის ბინაში, 10%-მდე — რესტორანში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში — ბარში, სკვერში, ქუჩაში და სხვ.

2010 წელს ჩატარდა „ქრონიკული არაგადამდები დაავადებების რისკფაქტორების“ კვლევა საქართველოში, რომელიც მოიცავდა 18-64 წლის მოსახლეობას (STEPS).

ალკოჰოლის მოხმარების საერთო პრევალენსი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მაღალია და 78.5%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი მაღალია მამაკაცებში (90,3), განსაკუთრებით, 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ალკოჰოლის მომხმარებელ ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობა 1:3 ტოლია. კვლევის ჩატარებამდე 12 თვის განმავლობაში ალკოჰოლის მოხმარების პრევალენსმა 22.5% შეადგინა, ალკოჰოლის ყოველდღიურად მიღების მაჩვენებელი საშუალოდ — 1.6%-ია; გაირკვა, რომ ალკოჰოლს ყოველდღიურად იღებს 35-44 წლის მამაკაცთა 3.4% და 55-64 წლის მამაკაცთა 4.7%. რეგიონების მიხედვით ამჟამად **მსმელთა ყველაზე მაღალი პროცენტი გვხვდება კახეთში (51,7%), ხოლო ყველაზე დაბალი — სამცხე ჯავახეთსა (28%) და აჭარაში (32%).** რესპონდენტ მამაკაცთა დიდი უმრავლესობა (42.6%) ალკოჰოლს თვეში 1-3 დღეს იღებს, ხოლო 22.4% — კვირაში 1-4 დღეს. ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 2-ჯერ და 7-ჯერ ჭარბობს ანალოგიურ მაჩვენებლებს ქალებში. აღსანიშნავია, რომ მამაკაცები ერთ ჯერზე იღებენ საშუალოდ 6-ს, ხოლო ქალები – ალკოჰოლური სასმელის 2 სტანდარტულ ერთეულს. ამ მხრივ გამოირჩევიან 35-44 წლის მამაკაცები და 25-34 წლის ქალები. საგულისხმოა, რომ გამოკითხვამდე ბოლო ერთი თვის განმავლობაში ერთ ჯერზე მიღებული სასმელის მაქსიმალური რაოდენობა საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა მამაკაცებში (9.3 სტანდარტული ერთეული); ქალები კი, საშუალოდ, 3 სტანდარტულ დოზაზე მეტს არ იღებდნენ.

## ალკოჰოლის გავლენა ჯანმრთელობაზე

ჯანმრთელობის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი რისკფაქტორი ალკოჰოლის დიდი რაოდენობით გამოყენებაა: 60-მდე დაავადება, ტრავმები, ინვალიდობა და 2,5 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ყოველწლიურად. ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით გამოწვეული მოკვდავობა გაცილებით მაღალია შიდსით (იმუნოდეფიციტის სინდრომი) და ტუბერკულოზით გამოწვეულთან შედარებით. განსაკუთრებით დამღუპველია ალკოჰოლის მოხმარება ახალგაზრდულ ასაკში. **ტრავმების 4,5%, თირკმლის დაავადებების 20-50% დაკავშირებულია ალკოჰოლის საზიანო მოხმარებასთან. კიბო, ეპილეფსია, კრუნჩხვები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ძირითადად, გულის იშემიური დაავადება), ციროზი, პანკრეატიტი (მწვავე და ქრონიკული), ინტოქსიკაცია, საგზაო შემთხვევების დიდი ნაწილი, ძალადობა, ინვალიდობა, ბავშვებში სხეულის მასის ინდექსის შემცირება, ეს ყველაფერი ალკოჰოლის გამოყენებით გამოწვეული დაავადებების არასრული ჩამონათვალია.** ალკოჰოლის რეგულარულმა (ჭარბად) გამოყენებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს თირკმლის, სარძევე ჯირკვლების, ღვიძლის, პირის ღრუსა და საყლაპავი მილის კიბო. რისკფაქტორები იზრდება სისხლში ალკოჰოლის კონცენტრაციის მატებასთან ერთად. მატულობს ტრავმების, ინვალიდობისა და საგზაო შემთხვევების ალბათობა. ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებულია არტერიული ჰიპერტენზია, ჰემორაგიული ინსულტი, ფეხმძიმობის ნაადრევი შეწყვეტა, ნაადრევი მშობიარობა და თანმდევი გართულებები, დიაბეტი და სხვ.

კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ **სასმელის ჭარბად მოხმარება ასუსტებს იმუნურ სისტემას. მსმელის ორგანიზმი დაუცველია პათოგენური მიკრობებისაგან და ადვილად ავადდება პნევმონიითა და ტუბერკულოზით.** არსებობს კავშირი ალკოჰოლის მოხმარებასა და შემდეგ დაუცველ სქესობრივი კავშირებს, და შედეგად აივ ინფექციის ან სხვა, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებას შორის. მსოფლიოში სიკვდილის 3,8% ალკოჰოლის მოხმარებას უკავშირდება. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოხმარებული ალკოჰოლის ხარისხი, რაოდენობა, მიღების რეგულარობა, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ალკოჰოლით ინტოქსიკაციის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი მაღალია რუსეთში, მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში. ყველაზე უფრო ხშირად ამ ქვეყნებში მოიხმარენ კუსტარული წესით დამზადებულ ალკოჰოლურ სასმელს.

ალკოჰოლთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შემცირება შეიძლება, თუ მეცნიერულად დასაბუთებული პრევენციული პროგრამები იქნება განხორციელებული. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 1999 წელს 34 ქვეყნის მონაწილეობით დაიწყო ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა და პოლიტიკის შემუშავება. გარკვეულწილად შეიზღუდა ალკოჰოლის მარკეტინგი და სიმთვრალეში სატრანსპორტო საშუალებების მართვა.

საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულია „ალკოჰოლის საზიანო მოხმარების შემცირების“ ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები, რომლებიც განხილვის პროცესშია.

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95









# ფილიპინები — ქვეყანა 7100 კუნძულზე

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბლიკა ფილიპინები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოა, მისი ტერიტორია შედგება წყნარ ოკეანეში მდებარე (ინდონეზიასა და ტაივანს შორის) 7100-ზე მეტი კუნძულისგან. მათ შორის ყველაზე დიდებია ლუსონი, მინდანაო, სამარი, პანაი, პალავანი, ნეგროსი, მინდორო, ლეიტე, ბოჰოლი, სებუ.

1565 წელს ესპანელმა კონკისტადორმა მიგელ **ლოპეს დე ლეგასპიმ** კუნძულ სებუზე პირველი ესპანური კოლონია დააარსა. ქვეყანას ფილიპინები დაერქვა ესპანეთის მეფე ფილიპე II (1527-1587) პატივსაცემად.

ფილიპინების ტერიტორია მთა-გორიანია. ყველაზე მაღალი წერტილია კუნძულ მინდნაოზე მდებარე ვულკანი **აპო (2954 მ).**

მინდანაოს სანაპიროსთან ახლოს გადის **ფილიპინების ღრმული,** რომლის სიღრმეც **10830 მ-ია** და მესამეა დედამიწაზე მარიანისა და ტონგას ღრმულების შემდეგ.

**კლიმატი.** კუნძულებზე კლიმატი ტროპიკულია, მუსონური, სამხრეთში — სუბეკვატორული. საშუალო ტემპერატურა **პლუს 24-დან 28 გრადუსამდეა**.

**ფლორა.** ფილიპინების ტერიტორიის 37% ტყით არის დაფარული, ყველაზე მეტად გავრცელებულია პალმა, კაუჩუკის ხე, ბანანი, ბამბუკი, ორქიდეა, დარიჩინი.

**ფაუნა.** კუნძულებზე ბინადრობს ირემი, ტახი, მანგუსტი, უამრავი რეპტილია და 700 სახეობის ფრინველი.

**ყველაზე დიდი მდინარეა კაგაიანი — 505 კმ.**

ყველაზე დიდი ტბა — **ლაგუნა დე-ბაი.**

**ტერიტორია — 30 ათას კვ.კმ** (72-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2015 წლის შეფასებით, ფილიპინების მოსახლეობა 101 მლნ კაცს შეადგენს (მე-12 მსოფლიოში). ეთნიკური შემადგენლობა: ტაგალები — 28,1%; სებუანო — 13%; ილოკანო — 9%; ბინისაია — 7,6%; ჰილიგაინონი — 7,5 და სხვ. უმცირესობას წარმოადგენს მეტოტისო — ადგილობრივებისა და ესპანელების, აგრეთვე, ამერიკელების, ჩინელებისა და სხვების ქორწინების შედეგად გაჩენილი ეთნიკური ჯგუფები.

**დედაქალაქი: მანილა (1,7 მლნ).**

უდიდესი ქალაქები: **მანილა, კესონ-სიტი (2,7 მლნ); დავაო (1,7 მლნ**).

**ოფიციალური ენა: ფილიპინური** და **ინგლისური**. ფართოდ არის გავრცელებული — **ესპანური**.

**დამოუკიდებლობის დღე: 1946 წლის 4 ივლისი** (აშშ-ისგან).

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ფილიპინები საპრეზიდენტო რესპუბლიკაა ორპალატიანი კონგრესითა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემით.

პრეზიდენტი ირჩევა 6 წლით. ამჟამად ფილიპინების პრეზიდენტია **ბენინგო აკინო.**

ფილიპინები დაყოფილია 17 რეგიონად, რომლებშიც 80 პროვინციაა გაერთიანებული.



მანილა



წმინდა თომას სახელობის ეკლესია მიაგაოში

**რელიგია**. ფილიპინელთა 80,9% კათოლიციზმს აღიარებს. 11% პროტესტანტია, 5% — მუსლიმანი, ნაწილი კი სხვა სარწმუნოების მიმდევარია.

## ეკონომიკა

ფილიპინები აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. განვითარებულია მრეწველობის შემდეგი დარგები: ელექტრონული, ქიმიური, მსუბუქი, ხის გადამამუშავებელი, კვების, ფარმაცევტული.

ფილიპინები ქოქოსის კაკლის, ბანანის, ბრინჯისა და ანანასის უდიდესი ექსპორტიორია. ქვეყანაში მოიპოვებენ სპილენძს, ნიკელს, კობალტს, ვერცხლს, ოქროსა და ნავთობს.

ქვეყნის **მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს 330,2 მლრდ დოლარს** (30-ე). მოსახლეობის ერთ სულზე — **3256 დოლარს.**

**ვალუტა: ფილიპინური პესო (1 ფილიპინური პესო უდრის 0,02 აშშ დოლარს).**

**ინტერნეტდომენი: ph**

**სატელეფონო კოდი: +63**

**საათობრივი სარტყელი: UTC +8**

## კულტურა

ფილიპინელთა კულტურა დასავლური (ძირითადად, ესპანური) და აღმოსავლური (ინდური, არაბული) კულტურების ნარევია. მაგალითად, ქრისტიანული საეკლესიო მუსიკის გვერდით შეხვდებით ინდონეზიურ გამელანს (ინდონეზიური ტრადიციული მუსიკალური მიმართულება), ამერიკულ ბლუზს, ფოლკსა და როკ-ენ-როლს.

ყველაზე ცნობილი ფილიპინელი მწერალია **ხოსე რისალი.**

**ღირსშესანიშნაობები:** მანილაში — სანტა-ტომასის მუზეუმი, ნაციონალური მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, ზოოპარკი, ბოტანიკური ბაღი. პასაიში — ლოპესის მემორიალური მუზეუმი. მიწისქვეშა მდინარე პუერტო-პრინსესა. მიაგაოში — წმინდა თომას სახელობის ეკლესია.

## სამზარეულო

ფილიპინური სამზარეულო თევზეულისა და ზღვის პროდუქტების სიუხვით გამოირჩევა, პოპულარულია ღორის ხორცი, ბრინჯი, ბოსტნეული, სასმელებიდან — ქოქოსის რძე (ბუკო) და ყავა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



კუნძული ბარაკაი



ეროვნული მუზეუმი მანილაში



### პოჩერო

**პოჩერო (ან პუჩერო) ესპანური კერძია, რომელიც საუკუნეების წინათ „გადასახლდა" ესპანეთის ყოფილ კოლონიებში, მათ შორის, ფილიპინებზეც. ამ კერძში ხორცთან ერთად ბევრი ბოსტნეულია.**

**ინგრედიენტები:**

* საქონლის ხორცი (უძვლო) — 1 კგ.
* ტომატის საწებელი — 200 გრ
* კომბოსტო — ძალიან პატარა თავი
* ბანანი (მკვახე) — 4 ც.
* კარტოფილი — 2 ც.
* სტაფილო — 1 ც.
* ხახვი — 1 თავი
* ნიორი — 5 კბილი.
* მცენარეული ზეთი — 100 გრ.

**1. საქონლის ხორცი საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით. სტაფილო გაასუფთავეთ და 5-6 ნაწილად დაჭერით, ხახვი — ნახევარრგოლებად. ნიორი დაჭყლიტეთ.**

**2. ბანანებსა და კარტოფილს კანი გააცალეთ და მსხვილ ნაჭრებად დაჭერით.**

**3. კომბოსტო გული ამოაცალეთ და 2,5-3 სმ სიგრძის ნაჭრებად დაჭერით.**

**4. დიდ ქვაბში გააცხელეთ ზეთი და შებრაწეთ საქონლის ხორცი. შემდეგ დაასხით ადუღებული წყალი ისე, რომ ხორცის ნაჭრები ოდნავ დაფაროს. ქვაბს თავი დაახურეთ და ხორცი ნელ ცეცხლზე 1 სთ-ის განმავლობაში ხარშეთ.**

**5. მაღალკედლიანი ტაფის ფსკერზე მოასხით ზეთი და შეწვით კარტოფილი და ბანანები, შემდეგ ეს ყველაფერი გადაიტანეთ თეფშზე. ერთი ბანანი ცალკე თეფშზე ჩანგლით დაჭყლიტეთ.**

**6. ტაფაზე დასხით ცოტა ზეთი, ჩაყარეთ ხახვი და ნიორი და 2 წთ-ის განმავლობაში მოხრაკეთ. ქვაბიდან ამოიღეთ ხორცი და დადეთ ტაფაზე ხახვსა და ნიორთან ერთად, წვით ნელ ცეცხლზე 3 წთ-ის განმავლობაში. შემდეგ დაუმატეთ ტომატის საწებელი და დაბალ ცეცხლზე 5 წთ-ის განმავლობაში გააჩერეთ.**

**7. პარალელურად, ქვაბში დარჩენილი ბულიონი აადუღეთ, ჩაყარეთ სტაფილო, კარტოფილი, ბანანი და 10 წუთის განმავლობაში ხარშეთ. ბულიონი ბოსტნეულთან ერთად დაასხით ხორცს, დაუმატეთ გაჭყლეტილი ბანანი და კარგად აურიეთ.**

**8. მიღებული მასა აადუღეთ, დაუმატეთ კომბოსტოს ნაჭრები და 5 წთ-ის განმავლობაში ხარშეთ, შემდეგ კარგად აურიეთ.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოკერი, როგორც თამაში, უკვე 500 წელზე მეტია, არსებობს. იგი წარმოიშვა ევროპაში, მაგრამ თამაშის წესები დღევანდელისგან განსხვავებული იყო. პოკერის წესები დროთა განმავლობაში იხვეწებოდა. პირველი წერილობითი მასალა პოკერის წესების თაობაზე არის მსახიობ ჯოზეფ კაუელის მემუარებში.**

# ზოგი რამ პოკერის შესახებ

**პოკერი არის თამაში, რომლის მიზანია, მოიგო ფსონები 5 კარტით შექმნილი მაღალი კომბინაციით ან აიძულო მოწინააღმდეგე, შეწყვიტოს თამაში. ადრე პოკერს თამაშობდნენ კოვბოები, მძარცველები და თაღლითები, რომლებიც პატიოსან ადამიანებს ქონებას ართმევდნენ თამაშის მსვლელობისას. ამ ყველაფერმა კი პოკერის სახელის გატეხა და მისი აკრძალვა გამოიწვია.**

პოკერის წარმოშობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ ის სპარსულია; ზოგი კი მისი რეალური წარმოშობის ადგილად გერმანიას მიიჩნევს. საუბარია თამაშ „პოხენ“-ზე, რომელიც შემდეგ საფრანგეთში შეიტანეს და მას უკვე „პოკუე“ ეწოდა. შემდეგ საფრანგეთიდან ამერიკაში გადასახლებულმა ადამიანებმა ეს თამაში პოპულარული გახადეს და, ვინაიდან „პოკუეს“ ინგლისურად „პოკე“ ეწოდებოდა, ოდნავი შელამაზებით სახელწოდება პოკერად იქცა.

პოკერის წესებსა და მისი სახელის წარმოშობაზე დღესაც კამათობენ, რადგან დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, თამაშის სახელწოდება მომდინარეობს გერმანული სიტყვიდან pochen, რაც კაკუნს ნიშნავს.

პოკერის მსგავს თამაშზე ინფორმაციას მე-16 საუკუნემდე მივყავართ. **პოკერი, როგორც თამაში, უკვე 500 წელზე მეტია, არსებობს. იგი წარმოიშვა ევროპაში, მაგრამ თამაშის წესები დღევანდელისგან განსხვავებული იყო. პოკერის წესები დროთა განმავლობაში იხვეწებოდა. პირველი წერილობითი მასალა პოკერის წესების თაობაზე არის მსახიობ ჯოზეფ კაუელის მემუარებში.**

მისი ცნობით, პოკერი პირველად 1829 წელს ახალ ორლეანში, ლუიზიანაში ითამაშეს. 20 კარტის საშუალებით ოთხი მოთამაშე ფსონს იმაზე დებდა, ვის ჰქონდა კარტების უკეთესი კომბინაცია. ჯონათან გრინის წიგნში „აზარტული თამაშების ხელოვნებისა და აგონიის გამოაშკარავება“ (1843. ფილადელფია), აღწერილია, თუ როგორ გავრცელდა თამაში ახალი ორლეანიდან ამერიკაში მდინარე მისისიპიზე მცურავი სატრანსპორტო ნავებით, რომლებზეც აზარტული თამაშები გართობის მიღებული საშუალება იყო.

როდესაც პოკერი მდინარე მისისიპის გასწვრივ ჩრდილოეთსა და დასავლეთითაც გავრცელდა ეგრეთ წოდებული ოქროს ციებ-ცხელების პერიოდში, იგი ახალი მიწების ამთვისებლების ცხოვრების ნაწილი გახდა.

თამაშის ფართოდ გავრცელების შემდეგ პოკერში 52 კარტის გამოყენება დაიწყეს და თამაშს ახალი კომბინაცია „ფლეში“, ხოლო 1850 წელს კი წილისყრის წესი დაემატა.

ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდში თამაშს ბევრი სხვა წესიც შეემატა, მაგალითად, „სტად პოკერი“ (ხუთკარტა სტადი) და „სტრეიტი“. ამერიკის ეკონომიკურად განვითარებასთან ერთად პოკერიც განვითარდა და ის სხვადასხვა კომბინაციით შეივსო, მაგალითად, „ვაილდ ქარდით“ (1875 წ.), „ლოუბოლით“, „სპლიტ პოტ პოკერით“ (1900 წ.) და სხვ.

80-იან წლებში პოკერი დასვენების უკვე ფართოდ გავრცელებული საუკეთესო საშუალება იყო. პოკერი გამოჩნდა ფილმ „სტარ-ტრეკი: ახალი თაობის“ სულ ცოტა ათ სერიაში, როგორც კოსმოსური ხომალდის მაღალჩინოსნების ყოველკვირეული გასართობი.

90-იან წლებში პოკერი და სხვა აზარტული თამაშები კიდევ უფრო პოპულარული გახდა ამერიკაში, განსაკუთრებით კი ატლანტიკ სიტიში (ნიუ ჯერსი). XXI საუკუნეში პოკერმა უპრეცედენტო პოპულარობა მოიხვეჭა ინტერნეტის „ჰოულ-ქარდ კამერის“ (აპარატი, რომელიც ტელემაყურებლებს მოთამაშეთა დაფარული კარტის ნახვის საშუალებას აძლევს) წყალობით, რაც თამაშს მშვენირ სანახავს ხდის.

ახლა უკვე, როგორც ცნობილია, ინტერნეტის მომხმარებელს საშუალება ეძლევა, არა მხოლოდ სხვათა თამაშს მიადევნოს თვალი, არამედ საკუთარი სახლის კომფორტულ გარემოში თვითონაც ითამაშოს.

თავდაჯერებულობა პოკერში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომელმაც შეიძლება შედეგზე დიდი გავლენა იქონიოს. თუმცა ის არც გადაჭარბებული ვარგა. კვერცხისა და ქათმის მსგავსი კითხვა პოკერშიც არსებობს: გამარჯვება იწვევს თავდაჯერებულობას თუ თავდაჯერებულობა გამარჯვებას?

პოკერი ითვლებოდა ამერიკის ნაციონალურ თამაშად. ის დღესაც ყველაზე პოპულარული და გავრცელებული თამაშია აშშ-ში.

**არსებობს პოკერის სხვადასხვა სახეობა, რომლებსაც განსხვავებული წესები აქვს, მაგრამ ყველა სახის პოკერისთვის აუცილებელია კომბინაციები და ფსონები თამაშის მიმდინარეობისას.**

გამომდინარე იქიდან, რომ მოთამაშემ არ იცის მოწინააღმდეგის კარტი, არ გაქვს სრული ინფორმაცია, როგორც სხვა თამაშებში (ჭადრაკი, ნარდი და ა.შ), ამიტომ რისკი და აზარტი პოკერის მოთამაშის ძირითადი მახასიათებელია.



**1970 წელს ჩატარებულმა მსოფლიო ჩემპიონატმა დიდი გარდატეხა მოახდინა პოკერის ისტორიაში და თამაშს ლეგალურობა დაუბრუნა. მას შემდეგ მიხვდნენ ადამიანები, რომ პოკერის თამაში მხოლოდ გამართლება არ არის და ნიჭი, გამოცდილება, დიდი ოსტატობაც სჭირდება**



არსებობს პოკერის სხვადასხვა სახეობა. ზოგიერთი მათგანი აღიარებულია ნაციონალურ სახეობად, ზოგიერთი კი მხოლოდ ოჯახურ წრეებში არის მიღებული.

პოკერის ყველაზე პოპულარული სახეობებია:

**Drawpoker** – ყველაზე ადვილი სახეობა პოკერისა. მოთამაშეებს ურიგდებათ 5-5 კარტი დახურული. მოთამაშეები დებენ ფსონს და შემდეგ ერთმანეთში ცვლიან კარტებს. რამდენ კარტსაც მისცემ მოწინააღმდეგეს, იმდენსვე გიბრუნებს. შემდეგ ისევ მიმდინარეობს ფსონები და გამოვლინდება გამარჯვებული.

**Double Discarding Drawpoker** – ამ პოკერის წესებიც თითქმის ანალოგიურია, როგორც Drawpoker-ში, უბრალოდ, აქ კარტების გაცვლა ხდება ორჯერ, ხოლო ფსონების დადება — სამჯერ.

**Stud** – არსებობს ორი ვარიანტი ამ სახეობის პოკერისა, 5-კარტიანი და 7-კარტიანი.

7-კარტიანის წესები შემდეგნაირია:

მოთამაშეები დებენ საწყის ფსონს, შემდეგ ურიგდებათ ერთი ღია და ორი დახურული კარტი. შემდეგ ისევ დებენ ფსონებს, შემდეგ ერთი ღია კარტი, ისევ ფსონების ჩამოდება და ისევ ერთი ღია კარტი. ისევ ფსონები და ისევ ერთი ღია კარტი, ფსონები, შემდეგ დახურული მე-7 კარტი და ხდება საბოლოო ფსონების ჩამოდება.

გამარჯვებულად ითვლება ის მოთამაშე, რომელიც ყველაზე მაღალ 5-კარტიან კომბინაციას შეკრავს.

7-კარტიანი Stud-ი ითვლებოდა ყველაზე პოპულარულ სახეობად პოკერში, ვიდრე არ გამოჩნდა პოკერის ახალი სახეობა Texas Holdem.

**Texas Holdem** – დღეს პოკერის ყველაზე პოპულარული სახეობაა. Texas Holdem-ის პოპულარობა განაპირობა საერთო ინფორმაციის ბალანსმა. მაგალითად, Drawpoker-ში საერთო არ არსებობს საერთო ინფორმაცია, ხოლო Stud-ში პირიქით — ბევრი საერთო ინფორმაციაა. Texas Holdem-ის დაბალანსებული ინფორმაცია იძლევა უფრო მეტი ქმედებისა და რისკის საშუალებას.

ზოგჯერ ყველა მოთამაშე კარტის დარიგებამდე დებს ერთნაირ ფსონს (ante). შემდეგ ორი მოთამაშე, რომლებიც სხედან დამრიგებლის მარცხენა მხარეს, დებენ ბლაინდებს (Blinds). არსებობს პატარა (Small Blind) და დიდი ბლაინდი (Big Blind). დიდი ბლაინდი 2-ჯერ მეტია პატარაზე.

ყველა მოთამაშეს ურიგდება ორი დახურული კარტი, შემდეგ დებენ ფსონებს, შემდეგ მაგიდაზე იდება სამი გახსნილი კარტი (Flop), ისევ ფსონები, შემდეგ მაგიდაზე იდება ერთი გახსნილი კარტი (Turn), ისევ ფსონები და ისევ ერთი გახსნილი კარტი (River) და ხდება საბოლოო ფსონების დადება.

**Omaha** – მისი წესები ძალიან ახლოსაა Texas Holdem-თან. განსხვავება ის არის, რომ მოთამაშეებს ურიგდებათ ოთხი დახურული კარტი; მათ კომბინაცია უნდა შეკრან ხელში არსებული ოთხი კარტიდან ორით და მაგიდაზე არსებული ხუთი კარტიდან სამით.

**Badugi** – ეს არის პოკერის ყველაზე „ახალგაზრდა“ სახეობა, რომელიც კორეაში გამოიგონეს. მოთამაშეებს ურიგდებათ 4-4 დახურული კარტი, ისინი აკეთებენ ფსონებს, შემდეგ ცვლიან ერთმანეთში კარტს და ისევ აკეთებენ ფსონებს, ისევ კარტების გაცვლა, ისევ ფსონები, ისევ გაცვლა და ისევ ფსონები. გამარჯვებულად ითვლება ყველაზე დაბალი ოთხკარტიანი კომბინაცია. ყველაზე ძლიერი კომბინაცია არის სხვადასხვა ფერის 4 დაბალი კარტი.

პოკერს თამაშობენ კარტის სხვადასხვა დასტით – 32, 36 ან 54 კარტით. ყველაზე გავრცელებულია 54 კარტით. თამაშობს რამდენიმე მოთამაშე (2 ან მეტი, ჩვეულებრივ მაგიდაზე 10 მოთამაშეზე მეტი არ არის მიღებული). კარტის სიძლიერე იწყება ტუზიდან და მიდის ქვემოთ. ტუზი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ყველაზე დაბალი კარტი (მაგალითად, კომბინაცია straight-ის დროს).

თამაში მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. ყოველი ეტაპზე რიგდება კარტი და იდება ფსონები. გამარჯვებულად ითვლება ის 5-კარტიანი კომბინაცია, რომელიც უფრო ძლიერია.

კომბინაციების თანმიმდევრობა ყველაზე ძლიერიდან, ყველაზე სუსტამდე ასე გამოიყურება:

**Royalflush** (როიალფლეში) – ერთი ფერის ხუთი ყველაზე მაღალი კარტი: ტუზი, მეფე, ქალი, ვალეტი, ათიანი.

**Straightflush** (სტრიტფლეში) – ერთი ფერის ნებისმიერი ხუთი კარტი თანმიმდევრობით. თუ ორმა მოთამაშემ შეკრა სტრიტფლეში, იგებს მაღალი კარტების მფლობელი.

**Fourofakind** (4 ერთნაირი კარტი, იგივე კარე) – ნებისმიერი 4 ერთნაირი კარტი, მაგალითად, ოთხი სამიანი. ამ დროს მეხუთე კარტს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ კომბინაციის შეკვრისთვის აუცილებელია 5 კარტი. თუ ორმა მოთამაშემ შეკრა კარე, იგებს ის, ვისაც მაღალი კარტის კარე აქვს.

**Fullhouse** (ფულჰაუსი) – სამი ერთნაირი კარტი და კიდევ ორი ერთნაირი ▶



# 2015 წელს „პოკერის მსოფლიო ტურმა“ EUROPE-BET.COM-თან თანამშრომლობა დაიწყო და ისტორიაში პირველად საქართველოში ტარდება მისი ტურნირების სერია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ კარტი, მაგალითად, სამი ათიანი და ორი რვიანი. თუ ორმა მოთამაშემ შეკრა ფულჰაუსი, იგებს მაღალი კარტის მფლობელი.

**Flush** (ფლეში) – ხუთი ერთნაირი ფერის კარტი. თუ ორმა მოთამაშემ შეკრა ფლეში, იგებს მაღალი კარტის მფლობელი.

**Straight** (სტრიტი) – ნებისმიერი ფერის ხუთი კარტი თანმიმდევრობით... თუ ორმა მოთამაშემ შეკრა სტრიტი, იგებს მაღალი კარტის მფლობელი.

**Threeofakind** (სეტი) – სამი ერთნაირი კარტი და ორი ნებისმიერი სხვა. თუ ორმა მოთამაშემ შეკრა სეტი, იგებს ის მოთამაშე, ვისაც კომბინაციაში დანარჩენი ორი კარტი აქვს უფრო მაღალი.

**Twopairs** (ორი წყვილი) – მაგალითად, ორი რვიანი, ორი ოთხიანი და მეხუთე ნებისმიერი კარტი. თუ ორმა მოთამაშემ შეკრა ეს კომბინაცია, იგებს ის მოთამაშე, რომელსაც უფრო მაღალი წყვილი აქვს. და თუ ეს კომბინაცია ორივე მოთამაშისთვის ერთნაირია, მაშინ მოგებული არის ის, ვისაც მეხუთე კარტი აქვს მაღალი. თუ მეხუთე კარტი ორივესთვის ერთია, მაშინ თანხა იყოფა მოთამაშეების რაოდენობაზე.

**Onepair** (წყვილი) – ამ კომბინაციის შემთხვევაში მოგებული გამოვლინდება ისევე, როგორც ორი წყვილის კომბინაციაში.

**Highcard** (მაღალი კარტი) – თუ მაგიდაზე არსებული კარტებიდან არ შეიკრა არანაირი კომბინაცია, მაშინ იგებს ის კარტი, რომელიც ყველაზე მაღალია.

პოკერის ზოგიერთ ვარიანტში კარტის დარიგებამდე მოთამაშეებმა უნდა დადონ საწყისი ფსონი (Ante).

ზოგიერთ ვარიანტში რამდენიმე მოთამაშე ბრმად, კარტის დარიგებამდე დებს თანხას — ბლაინდს (Blinds).

თამაშის მიმდინარეობისას მოთამაშე აკეთებს შემდეგ სვლებს:

**Bet** – ფსონის დადება.

**Call** – იმდენივეს დადება, რამდენიც დადო მოწინააღმდეგემ, ანუ ფსონი გათანაბრდეს.

**Raise** – ფსონის გაზრდა, უფრო მეტის დადება, ვიდრე მოწინააღმდეგემ დადო.

**Fold** – კარტის დაყრა და თამაშის შეწყვეტა მორიგ დარიგებამდე.

**Check** – თამაშის გაგრძელება ფსონის გაზრდის გარეშე.

ფსონების ჩადება მთავრდება, როცა ყველა მოთამაშის ფსონი გათანაბრდება ან კარტს დაყრიან.

დადებული ფსონები გროვდება ეგრეთ წოდებულ ბანკში (Pot).

თუ ფსონების დადების დასრულების შემდეგ დარჩა ორი ან მეტი მოთამაშე, იხსნება მათი კარტები და მოგებული კომბინაცია იღებს ბანკში დაგროვილ ფსონს. თუ დარჩა ერთი მოთამაშე ისე, რომ მაგიდაზე არ გაიხსნა ყველა კარტი, ის ავტომატურად იგებს არსებულ ფსონს.

კაზინოში თამაშისას ბანკში არსებული თანხის გარკვეული პროცენტი კაზინოს მიაქვს (Rake).

თუ ერთზე მეტი კომბინაცია მოიგებს, მაშინ ბანკში არსებული თანხა თანაბრად ნაწილდება გამარჯვებულ მოთამაშეებზე (Splitpot).

თუ მოთამაშეს ერთი ფსონის ჩამოდების შემდეგ გამოელია თანხა, ის არ წყვეტს თამაშს. მას, უბრალოდ, აღარ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს შემდეგ ფსონებში, ამ დროს იქმნება დამატებითი ბანკი (Sidepots) და მოგების შემთხვევაში ის მიიღებს დამატებით ბანკში არსებულ თანხას.

არსებობს ფსონების გაზრდის სხვადასხვა ვარიანტი:

**Limit** – მოთამაშეს შეუძლია მხოლოდ ფიქსირებული ფსონის გაზრდა.

**Potlimit** – მოთამაშეს შეუძლია, დადოს ფსონის ის სიდიდე, რამდენიც არის ბანკში.

**Nolimit** – მოთამშეს შეუძლია, დადოს ნებისმიერი რაოდენობის ფსონი.

**პოკერში არ არსებობს 100%-იანი სტრატეგია, რადგან მოთამაშემ იცის მხოლოდ თავისი კარტი და კარტი, რომელიც მაგიდაზეა. სტრატეგია მოთამაშემ უნდა შეიმუშაოს კარტის დარიგებისას.** მან ყურადღება უნდა მიაქციოს ფსონების ზრდას, უნდა განიხილოს სხვადასხვა ვარიანტი არსებული კარტიდან, შეაფასოს თავისი კომბინაციის შანსები, გათვალოს მოწინააღმდეგის კარტი. ასევე მოთამაშე უნდა ეცადოს, დააბნიოს მოწინააღმდეგე ბლეფით და მოიგოს არცთუ ძლიერი კომბინაციით; შეუძლია, გააკეთოს ფსონის გაზრდა მოლოდინის პროცესში, ანუ გარისკოს, თუ მას რაღაც კომბინაციისთვის ესაჭიროება ერთი კარტი, გაზარდოს ფსონი ამ კარტის მოლოდინში.



**World Series of Poker არის ყველაზე პრესტიჟული მსოფლიო ტურნირი. იგი ტარდება ყოველ წელს აშშ-ის ქალაქ ლას-ვეგასში, გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს და შედგება 50-ზე მეტი პატარა ტურნირისგან. ტურნირის გამარჯვებული ჯილდოვდება პოკერის სამაჯურით. World Series of Poker-ი მთავრდება «მთავარი ტურნირით» Main Event პირველადი შენატანით 10 000 დოლარი**







**შეუძლებელია, პოკერში განსაზღვრო, კარტი კარგია და ცუდი, ან სუსტი და ძლიერი მოთამაშე. კარტი კარგია თუ ცუდი, გამოჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მაგიდაზე ყველა კარტი დარიგდება. ასევე შეიძლება, ახალბედა მოთამაშემ მოუგოს ყველაზე გამოცდილ მოთამაშეს. ეს დამოკიდებულია, ვის როგორი კარტი დაურიგდება, მაგრამ პოკერში გამარჯვება არ არის მხოლოდ იღბალზე დამოკიდებული, აქ საჭიროა მათემატიკური გათვლები, განსაზღვრა, სტრატეგია და რისკი.**

ახლა ყოველდღიურად ტარდება პოკერის სხვადასხვა სახის ტურნირი. ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი ტურნირი არის WSOP World Series of Poker.

ტურნირები ამერიკულ კაზინოებში მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც 1970 წელს მსოფლიოს პოკერის სერიები დაიწყო. ადრეული სერიების გამორჩეული ჩემპიონები იყვნენ ჯონი მოსი, ამარილო სლიმი, ბობი ბოლდვინი, დოილ ბრუნსონი და პუგი პირსონი.

**1970 წელს ჩატარებულმა მსოფლიო ჩემპიონატმა დიდი გარდატეხა მოახდინა პოკერის ისტორიაში და თამაშს ლეგალურობა დაუბრუნა. მას შემდეგ მიხვდნენ ადამიანები, რომ პოკერის თამაში მხოლოდ გამართლება არ არის და ნიჭი, გამოცდილება, დიდი ოსტატობაც სჭირდება.**

ამის შემდეგ მოთამაშეების რაოდენობა ყოველწლიურად სწრაფად იზრდებოდა.

პოკერის პოპულარობის გაზრდის შემდეგ გაჩნდა პოკერის ახალი, მაგალითად, მსოფლიოსა და ევროპის ტურნირები (ორივე ტელევიზიით გადაიცემა). ამ უკანასკნელის სპონსორი იყო პოკერის ინტერნეტკომპანია „პოკერსტარი“. შემდგომი ტურნირები, მაგალითად, „პოკერის ლათინური ამერიკის ტურნირი“, „პოკერის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ტურნირი“ და სხვა ეროვნული ტურნირები სწორედ „პოკერსტარის“ მიერაა ორგანიზებული.

**WORLD SERIES OF POKER არის ყველაზე პრესტიჟული მსოფლიო ტურნირი. იგი ტარდება ყოველ წელს აშშ-ის ქალაქ ლას-ვეგასში, გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს და შედგება 50-ზე მეტი პატარა ტურნირისგან. ტურნირის გამარჯვებული ჯილდოვდება პოკერის სამაჯურით. WORLD SERIES OF POKER-ი მთავრდება „მთავარი ტურნირით“ MAIN EVENT პირველადი შენატანით 10 000 დოლარი.**

პირველი მასშტაბური ტურნირი ჩატარდა 1968 წელს, როდესაც ტომ მურმა სან-ანტონიოდან თავისი სასტუმროს — Holiday Hotel and Casino პოპულარობისთვის სწორედ ამგვარი ხერხი მოიფიქრა. ტურნირს ერქვა The Texas Gamblers Reunion და მასში კრენდელ ადინგტონმა გაიმარჯვა.

პირველი ოფიციალური ტურნირი კი ჩატარდა 1970 წელს და გაგრძელდა ერთი კვირის განმავლობაში სასტუმრო Benny Binions Horseshoe-ში. მასში მხოლოდ 7 მოთამაშე მონაწილეობდა. გაიმარჯვა ჯონი მოსმა, რომელმაც მიიღო ვერცხლის თასი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება პოკერში. სწორედ მაშინ დაერქვა ამ ტურნირს World Series of Poker (WSOP)

**ყოველ წელს უფრო და უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობდა თამაშში და იზრდებოდა საპრიზო ფონდიც. თუ 1971 წელს ტურნირში მონაწილეობა მიიღო 6 ადამიანმა და საპრიზო ფონდი 30 000 დოლარი იყო, 2006 წელს ამერიკელმა ჯეიმ გოლდმა 8772 მოთამაშე დაამარცხა და პოკერის ისტორიაში ყველაზე დიდი ფული — 12 000 000 დოლარი მოიგო.**

2008 წლის იანვარში WPT-მ გამოაცხადა, რომ იწყებდა ტურნირს ქალებისთვის, სახელწოდებით WPT Ladies. პირველი სეზონი მოიცავდა ხუთ ღონისძიებას, buy-inებით §300-დან §1 500-მდე. ქალთა პირველ ჩემპიონატზე პირველ ადგილზე გავიდა ნენსი ტოდი, ხოლო მეორეზე — ვანესა სელბსტი. ამ ეტაპზე WPT Ladies არ იგეგმება.

„პოკერის მსოფლიო ტურში“ გამარჯვებულთა პატივსაცემად WPT დიდების ხეივანი შეიქმნა. ის განკუთვნილია მათთვის, ვინც მოიპოვა წარმატება პოკერში და, აგრეთვე, მათთვისაც, ვინც ხელი შეუწყო, რაიმე განსაკუთრებული წვლილი შეიტანა WPT-ს ღონისძიებაში.

**2015 წელს „პოკერის მსოფლიო ტურმა“ Europe-bet.com-თან თანამშრომლობა დაიწყო და ისტორიაში პირველად საქართველოში ტარდება მისი ტურნირების სერია.**

„დიდების ხეივანში“ 2004 წლის შემდეგ ახალი მოთამაშეები არ შეუყვანიათ. პირველი წევრები არიან დოილ ბრანსონი, გას ჰანსენი და ჯეიმზ გარნერი.

**„პოკერის მსოფლიო ტურის“ ყველაზე წარმატებული გამარჯვებული იყო კარლოს მორტენსენი, რომელმაც WPT-ს ჩემპიონატის მეხუთე სეზონის მიწურულს 3 970 415 დოლარი მოიგო.**

1994 წელს ამერიკელმა ალექს ჰემსტრიმ ლას-ვეგასის ერთ-ერთ კაზინოში (The Mirage) ზედიზედ 2-ჯერ შეაგროვა როიალ ფლეში. ხუმრობით ამბობენ ხოლმე, რომ ალბათობა, როიალ ფლეშის ორჯერ ზედიზედ შეგროვებისა ტოლია ალბათობისა, რომ მაიმუნს დასვამენ როიალთან და ის მთვარის სონატადან სამი წუთის განმავლობაში ამონარიდს დაუკრავს.

კაზინოში, როგორც წესი, ყოველი 15 წუთის შემდეგ კარტის დასტას თამაშის შეუჩერებლად ცვლიან. შესაძლეhბელია, 52-კარტიანი სტანდარტული კარტის დასტიდან შეგროვდეს პოკერის 2 598 960 კომბინაცია.

ამერიკის შეერთებული შტატების 37-ე პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს უყვარდა პოკერის თამაში. საჭირო თანხა წინასაარჩევნო კამპანიისთვის მან სწორედ პოკერის დახმარებით შეაგროვა. ამერიკის შეერთებული შტატების 43 პრეზიდენტიდან 19 თამაშობდა პოკერს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რა მოხდა ლა პოლას სანაპიროზე?

**თუ სურათს კარგად დააკვირდებით, პირველ რიგში, ალბათ, ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის ლაქა მოგხვდებათ თვალში.** სწორედ ასე იფიქრეს ადგილობრივებმაც, მაგრამ, როდესაც ახლოდან კარგად დააკვირდნენ, ზღვის სანაპიროზე გამოსახული სურათი თევზების „ნახელავი" აღმოჩნდა. ეს თევზები სანაპიროსთან ერთად, სინქრონში ნავარდობდნენ.





# კოღოებისგან თავის დასაცავად

**ზაფხულში ბევრ სასიამოვნო მომენტთან ერთად, სამწუხაროდ, ერთი უსიამოვნებაც გველის წინ — ეს კოღოების სეზონია.**

ამ აბეზარი მწერებისგან თავის დაცვის რამდენიმე საშუალება არსებობს, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მათ შორის მცენარეებიცაა. ქიმიური საშუალებები საჭირო არ არის, რადგან პრობლემის გასაღები თავად ბუნებაშია.

### რეჰანი (ბაზილიკი)

მძფრი არომატი აქვს. ამ მცენარის ქოთანი ღია ფანჯარასთან უნდა იდგეს.

### პომიდორი

პომიდვრის აივანზე მოყვანა რთული სულაც არ არის. თუ მოისურვებთ, ნერგებიც იყიდება. კოღოებსაც მოიცილებთ, მისი მოვლითაც გაართობთ ბავშვს და გემრიელ ნაყოფსაც მიიღებთ.

### პიტნა

მისი შემადგენელი ეთერზეთი კოღოს ახლოს არ გაგაკარებთ.

### ქონდარი

არა მარტო გემრიელი სანელებელია, მწერები ვერ იტანენ მის სუნს.

ასეთივეა მიხაკი და მიხაკის ზეთი, რომელიც აუცილებლად დაგეხმარებათ მწერებთან ბრძოლაში.



# პორნოფილმს კოსმოსში გადაიღებენ

**მომავალ წელს ფილმის მოყვარულებს საშუალება მიეცემათ, იხილონ ისტორიაში პირველი პორნოგრაფიული ფილმი, რომელიც კოსმოსში იქნება გადაღებული. ეს ამბიციური იდეა „პორნჰაბმს" ეკუთვნის. როგორც მედიისთვის გახდა ცნობილი, მთავარ როლებს ამ უჩვეულო სურათში ევა ლოვია და ჯონი სინსი შეასრულებენ.**

იმისათვის, რომ კოსმოსურ პორნოში მიიღონ მონაწილეობა, მსახიობებს მრავალი მოსამზადებელი სამუშაოს გავლა მოუწევთ. მათ ექვსი თვის განმავლობაში სპეციალურ კურსებზე უნდა იარონ და შეასრულონ საწვრთნელი პროგრამა.

ამ უნიკალური სურათის ბიუჯეტი მისმა შემქმნელებმა 3,4 მილიონი ამერიკული დოლარით შეაფასეს. იმისათვის, რომ ეს თანხა მიიღონ, სტუდია „პორნჰაბის" პროდიუსერებმა ფულის შეგროვება დაიწყეს „ქრაუდფანდინგით", რომელიც ხალხის მიერ დაფინანსებულ პროექტს გულისხმობს.

ფილმის შემქმნელები დარწუნებულნი არიან, რომ საკმარის თანხას მოაგროვებენ, რადგან ადამიანებს, უკვე დიდი ხანია, აწუხებთ კითხვა, თუ როგორია სექსი კოსმოსში. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მოიზიდონ მაყურებლის ფინანსები, შემქმნელები ყველაზე მსხვილ ინვესტორებს ჰპირდებიან, რომ სცენარის დაწერაში მიაღებინებენ მონაწილეობას.

# ცხიმების მტერი საკვები

**ჯანსაღი კვება არც ისე რთულია, თუმცა უმეტესობა არაჯანსაღ საკვებს ანიჭებს უპირატესობას. აქედან მოდის ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის სიმსუქნე. თუმცა, არსებობს საკვები, რომელიც არა მხოლოდ აჩქარებს მეტაბოლიზმს, არამედ შლის დაგროვილ ცხიმებს.**



### უცხიმო რძე

უცხიმო რძე ჩაასხით ბლენდერში, დაამატეთ თხილი და ცოტა წყალი და ათქვიფეთ. თქვენ მიიღებთ შესანიშნავ სასმელს, რომელიც არა მხოლოდ კალციის ნაკლებობას შეგივსებთ ორგანიზმში, არამედ მეტაბოლიზმსაც დააჩქარებს.

ჯანჯაფილი

ჯანჯაფილი მეტაბოლიზმს აძლიერებს, რაც ნიშნავს, რომ იწვევს ცხიმების წვას. ის აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას. ამ ყველაფრის გარდა, ჯანჯაფილი ბრწყინვალედ მოქმედებს კანზე და ასუფთავებს მას.

### წითელი ღვინო

წითელი მშრალი ღვინო შეიცავს რეზვერაროლს, რომელიც პროტეინის წარმოქმნას უწყობს ხელს. პროტეინი კი სერიოზულ გავლენას ახდენს ცხიმების დაშლის პროცესზე. არ გეგონოთ, რომ ყოველი ჭამის შემდეგ შეგიძლიათ ღვინის დალევა, მიიღეთ დღეში ნახევარი ჭიქა.

### დარიჩინი

დარიჩინს შეუძლია ორგანიზმში შაქრის შემცველობის დაწევა და ამით ცხიმების აკუმულირება. გასაგებია, რომ, უბრალოდ, დარიჩინის ჭამას არავინ დაიწყებს, მაგრამ მისი დამატება ნებისმიერ სასმელშია შესაძლებელი — ჩაიში, კაკაოში, რძეში.

### ლობიო

ლობიოს გადამუშავებაზე ორგანიზმი ძალიან დიდ ენერგიას ხარჯავს, რასაც ცხიმების მარაგს ახმარს. გარნირის სახით გამოიყენეთ ლობიო და დაიწყეთ ცხიმების წვა. თან ლობიო გაცილებით სასარგებლო პროდუქტია, ვიდრე მაკარონი ან კარტოფილი.

# სექტემბერში სამყაროს აღსასრული ელის

**როგორც დასავლური მედია იუწყება პოპულარულ სამეცნიერო ბლოგებზე დაყრდნობით, სამყაროს დასასრული, სულ რაღაც, სამ თვეში უნდა დადგეს. 2015 წლის 22 სექტემბრიდან 28 სექტემბრამდე შუალედში ჩვენს პლანეტას დაეჯახება გიგანტური მეტეორი. სამეცნიერო ბლოგები ირწმუნებიან, რომ ამ შეჯახების შედეგები ისეთი სერიოზული იქნება, რომ დედამიწაზე ყველა ცოცხალი ორგანიზმის სიკვდილს გამოიწვევს.**



კიდევ ერთი საკითხი, რომლითაც ამყარებენ საკუთარ აგრუმენტს, არის ბიბლია, რომელშიც აღმოაჩინეს პასაჟი იმის შესახებ, რომ, როდესაც დედამიწას გიგანტური მეტეორი დაეჯახება, დადგება „შვიდწლიანი გლოვის ეპოქა".

„ნასას" თანამშრომლები არ იზიარებენ ამ პესიმისტურ პროგნოზებს. ამერიკული კოსმოსური სააგენტოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შეტაკება გიგანტურ ციურ სხეულთან ჩვენს პლანეტას არ ემუქრება კიდევ რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში.

# «გრინფისის» გენმოდიფიცირებული პროდუქტების სია

**ორგანიზაცია „გრინფისმა", რომელიც სამყაროს ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის იღვწის, ინტერნეტში გამოაქვეყნა გენმოდიფიცირებული პროდუქტების სია. სია გავრცელდა ბევრ საიტსა და სოციალურ ქსელში. ბევრი მათგანის პროდუქტი შემოწმებულია და დადასტურებულია მათში გენმოდიფიცირებული შემადგენლობის არსებობა, თუმცა ზოგიერთი კომპანია სიაში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ „გრინფისს" არ მიაწოდა ინფორმაცია თავისი პროდუქციის შემადგენლობაზე. ყველაზე ამაღელვებელი და შემაშფოთებელი კი ის არის, რომ სიაში ძირითადად ბავშვთა კვების პროდუქტებია.**





პროდუქტების სია ასე გამოიყურება:

Snickers, McDonalds-ის პროდუქცია, Nestle-ს ბავშვთა კვება, ჩაი Lipton-I, M&Ms, Twix, Milky Way, შოკოლადი და კაკაო Cadbury, Ferrero, Nestle-ს პროდუქცია, შოკოლადის სასმელი Nestle Nesquik, Ყრყთ-Ყრla, Sprite, Fanta, Pepsi, 7-Up, Kelloggs-ის მშრალი საუზმეები, Knorr-ის სოუსები, ორცხობილა Parmalat, Hellmanns-ის მაიონეზები, სოუსები, კეტჩუპები, Heinz-ის მაიონეზები, სოუსები, კეტჩუპები, Uncle Bens Mars-ის ბრინჯი, Hipp-ის პროდუქცია, Abbot Labs Similac-ის საბავშვო ნარევები, Danon-ის იოგურტი, კეფირი, ყველი, საბავშვო პროდუქცია, Campbell-ის სუფები, Kraft-ის ჩიფსები, კეტჩუპი, ბავშვთა კვება, Unilever-ის პროდუქცია.





## სვირინგების ფესტივალი 2015

**ლონდონში გაიმართა ფესტივალი Great British Tattoo Show 2015, სადაც მთელი მსოფლიოდან ჩავიდნენ ტატუს მოყვარულები, რათა სხეულზე მოხატული სვირინგების დემონსტრირება მოეხდინათ.** ამ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მთელი მსოფლიოდან ჩავიდნენ არა მხოლოდ ტატუირებული ადამიანები, არამედ უსიკოსები, დიჯეები. ტატუს შედევრები სულ 15 ნომინაციაში შეფასდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მომავლის საშინელი ბუნებრივი კატასტროფები



### მიწისძვრა და ცუნამი

**(ორეგონის შტატი, ამერიკა 2015-2065 წლების განმავლობაში)**

სეისმური უსაფრთხოების კომისიის ცნობით, უახლოესი 50 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს 8-9 ბალიანი მიწისძვრა, რომელიც ცუნამის წარმოქმნას გამოიწვევს. ამის მიზეზად სახელდება დედამიწის ბირთვის 1287-კილომეტრიანი ბზარი, რომელიც ორეგონის შტატიდან 97 კილომეტრში მდებარეობს.

### ამერიკის დასავლეთ სანაპიროს შტატები წყლით დაიფარება

**(2050-2100 წლების განმავლობაში)**

2012 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად დადგინდა, რომ 1987 წლიდან ზღვის დონე დასავლეთ სანაპიროზე 0,3 კილომეტრით არის მომატებული. ეს სამჯერ მაღალია დედამიწის ნებისმიერ წერტილთან შედარებით. წყლით დაფარვის ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არის ნიუ იორკი, სადაც ნავარაუდევია, რომ 35 წელიწადში ზღვის დონე 79 სანტიმეტრით აიწევს.

### მეგამიწისძვრა

**(კალიფორნიის შტატი, ამერიკა 2015-2045 წლების განმავლობაში)**

ამერიკის გეოლოგიური სამსახური იტყობინება, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში კალიფორნიას 8-ბალიანი მიწისძვრა დაატყდება თავს. პროგნოზის თანახმად, მიწისძვრა შტატის მთელ ტერიტორიას მოიცავს. ის დიდი ავტოსტრადებისა და შენობების სერიოზულ კოლაფსს გამოიწვევს.

### ყველა დროის ყველაზე ძლიერი ცუნამი

**(კარიბის აუზი, ზუსტი თარიღი უცნობია)**

მეცნიერების — საიმონ დეისა და სტივენ უორდის გათვლებით, ვულკანი კუმბრე ვიეხა კანარის კუნძულებიდან ლავის ამოფრქვევას დაიწყებს, რომელიც ყველაზე მასშტაბური ცუნამის წარმოქმნას გამოიწვევს. თუ კუმბრე ვიეხა ამოხეთქავს, მისი მარცხენა ნაწილი ჩამოიშლება, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლიერ ცუნამს გამოიწვევს. ტალღა დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლის იქნება და 800 კილომეტრი საათში სიჩქარით იმოძრავებს. ცუნამის შედეგად დაზარალდება ინგლისი, ფლორიდა და კარიბის აუზის ქვეყნები.

### ვულკან ფუძიამას ამოფრქვევა

**(იაპონია 2015-2053 წლების განმავლობაში)**

2011 წელს კუნძულ ჰონსიუზე მომხდარმა მიწისძვრამ ოცი ვულკანი მოიყვანა მოქმედებაში. ამის გამო ექსპერტები თვლიან, რომ რომელიმე მათგანი მალე ამოხეთქავს. იაპონური მეტეოროლოგიის სააგენტო გამუდმებით იკვლევს სეისმურ აქტივობას. იაპონიაში არსებული ასი ათი ვულკანიდან 47 ითვლება აქტიურად. მეცნიერების გამოთვლით, ყოველ 38 წელიწადში მინიმუმ ერთი ვულკანი უნდა იწყებდეს ლავის ფრქვევას. 2014 წლის ივლისში ფრანგი და იაპონელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იაპონიაში უახლოეს მომავალში ამოფრქვევას დაიწყებს ფუძიამა. ფუძიამა ტოკიოდან ასი კილომეტრითაა დაშორებული. ამის გამო ქალაქიდან სასწრაფოდ გახდება საჭირო 750 000 ადამიანის ევაკუაცია, რადგან ქალაქი მთლიანად ფერფლით დაიფარება.



# სახლი ათ წუთში

თუ თქვენ და თქვენი მეწყვილე სადმე წასვლას აპირებთ, თან არ გინდათ ხალხით გადაჭედილ სასტუმროში დასახლდეთ და გსურთ, რომ თქვენ მიერ არჩეულ ადგილზე მოისვენოთ მაშინ Flexotels მშვენიერი გადაწყვეტილებაა. ეს არის მინი-სახლი, რომლის აწყობაც სულ რაღაც 10 წუთში ხდება. როდესაც სახლს მწარმოებელი ფირმა თქვენთვის სასურველ ადგილზე აგიწყობთ, სერვისში გათვალისწინებული იქნება ელექტროენერგია, განათება, ავეჯი, ორადგილიანი საწოლი, თეთრეული და პირსახოცებიც კი.

# ვირტუალური რეალობა, რომელიც რეალურ რეალობას დაგვავიწყებს

**დღეს რამდენიმე კომპანია იბრძვის, კომერციის მიზნით, კოსმოსში ფრენის პირველობისთვის. საერთო გამოთვლებით, მათ კლიენტების ნაკლებობა ნამდვილად არ ექნებათ. რასაკვირველია, ინტერესი კოსმოსისადმი და უწონობაში ყოფნის სურვილი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. პირველი ფრენები ძალიან ძვირადღირებული იქნება, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, მალე ბილეთის ფასი მდიდრულ კურორტზე გასამგზავრებელი ბილეთის ფასის დონეზე დაიწევს**



ონლაინ პორნოგრაფიის გამოჩენასთან ერთად ჰოლოგრაფიაზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა. ის, რაც აქამდე საინტერესო სატელევიზიო სპეცეფექტი იყო, მალე იქცევა რეალობად და მომხმარებელს არარეალურ შესაძლებლობებსა და ემოციებს შესთავაზებს.

მეხსიერების დინება არის ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა, ხელახლა განიცადო თავს გადამხდარი მოგონება ან ისეთი ამბავი, რომელიც შენ არ გადაგხდენია, მაგრამ სხვის მეხსიერებაში ინახება და საკუთარ მოგონებად ჩაიტვირთო გონებაში. დღეისათვის ამ ტექნიკაზე ძალიან დიდი მოთხოვნა არსებობს. მიუხედავად ეთიკური და ფსიქოლოგიური დილემებისა, ამ ტექნოლოგიას დიდი მომავალი აქვს. მას აქვს პოტენციალი, რომ სამომავლოდ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესის სახეობად იქცეს.

ვირტუალური რეალობა გულისხმობს ხელოვნურ ინტერაქციულ წრეს, სადაც ისევე აღიქვამ სამყაროს, როგორც რეალობაში. ამ ტექნოლოგიის განვითარება ძალიან სწრაფად მოხდა. მრავალი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს ახალი მოწყობილობები, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონება იყოს ბოლო ათწლეულში. აღნიშნავენ იმასაც, რომ ვირტუალური რეალობა ისეთ შესაძლებლობებს მიანიჭებს ადამიანებს, რომ მათ ჩვენს რეალობაში დაბრუნება აღარ მოუნდებათ.



# დაუნმა გოგონამ სამოდელო სამყარო დაიპყრო

**18 წლის ავსტრალიელმა მედელინ სტიუარტმა მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ სილამაზე მრავალი ფორმის არსებობს და არანაირი დიაგნოზი არ უშლის ხელს იმას, რომ მიმზიდველი იყო.**

მედელინმა საკუთარი ცხოვრება შეცვალა და ჭარბწონიანი გოგონასგან ლამაზმანად იქცა. მედელინი, რომელსაც ამჟამად 200 000-ზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში", ირწმუნება, რომ ამ ყველაფერს მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ აკეთებს. სამოდელო ბიზნესში წარმატების მიღწევით სურს, სამყაროს უჩვენოს, რომ ადამიანებს, რომლებსაც დაუნის სინდრომი აქვთ, შეუძლიათ, იცხოვრონ სრულყოფილად, გამოიყურებოდნენ მომხიბვლელად და ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიონ.

ამჟამად მედელინი აგრძელებს ვარჯიშს, ცეკვას და იმ სამოდელო სააგენტოების ძებნას, როლებიც მის პოპულარიზაციას მოახდენენ. გოგონას თაყვანისმცემლები აღფრთოვანებულნი არიან მისი ფოტოსესიებით.

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე







1. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება
2. რისამე კოპია
3. ფუტკრების სახლი
4. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
5. ეგვიპტის დედაქალაქი
6. ბალეარის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული
7. ჩრდილოეთ კორეის ლიდერი ... ჩენ ინი
8. სპორტული გემი
9. მომღერალი ... ჯაგერი
10. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
11. საეკლესიო მგალობელთა გუნდი
12. ხის სახეობა
13. იტალიელი დიქტატორი ... მუსოლინი
14. ცარიელი ვაზნა
15. იაპონური საბრძოლო ხელოვნება
16. მსახიობი ... ნიკოლსონი
17. ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული
18. ძალიან მჭრელი
19. თიხისგან დამზადებული ჭურჭელი
20. გერმანიის იმპერიის სახელწოდება
21. სახის გამომეტყველება, მსგავსება, გარეგნობა
22. თვითმფრინავის გასავლელი გზა
23. შვეიცარიელი ჩოგბურთელი ... ფედერერი
24. პირის ღრუს კუნთოვანი ორგანო
25. ყაიმი
26. ჭრილობა
27. ფილმი ევა პერონზე მადონას მონაწილეობით
28. ფილმის ან.ფ. ონავარ ბიჭუნაზე „... პენი"
29. ვინც ზნეობრივ ნორმებს უგულებელყოფს
30. ხანგრძლივად მცხოვრები მცენარე
31. მოკლე რესპუბლიკელი
32. ფულის ერთეული ირანში
33. ტიტული ინგლისში, რომელიც ნინ ურდის სახელს
34. ბელგიელი ფეხბურთელი ედენ ...
35. ხაჭაპურის სახეობა
36. ბიბლიური პერსონაჟი
37. მწერალი ... ტოლსტოი
38. ფაფის ნამცერი
39. ლიტერატურული ჟანრი
40. იტალიის საფეხბურთო კლუბი
41. ჯონ ლენონის მეუღლე იოკო ...
42. მუს. ნოტი
43. კომპოზიტორი ... მორიკონე
44. ბრიტანული სიგრძის საზომი ერთეული
45. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი
46. პოლიტიკოსი მეტსახელად „ბადომა"
47. „მეტალიკის" დამაარსებელი ... ულრიხი
48. ისტორიის მუზა ძველ ბერძნულ მით.-ში
49. სპორტის სახეობა
50. მეტსახელი
51. ჩინური ქადრაკი
52. ვერცხლისფერი მჟღერადი ლითონი
53. ირლანდიელი ფეხბურთელი რობი ...
54. სასიმინდე
55. მსახიობი მიკი ...
56. მსახიობი ... რიმარი
57. მწერალი ... მოსაშვილი
58. ერთგვარი მარცვალი
59. არგენტინელი ... კრესპო
60. ძველ რომში ტრიბუნის თანაშემწე
61. იაკობ გოგებაშვილის „... ია"
62. უდიდესი მომთაბარეების ნიჟი
63. იგივეა, რაც სინემა
64. მსახიობი ... ნოლტი
65. ამერიკული მუსიკალური ხელოვნების ფორმა
66. ტელეწამყვანი ... გრიგოლია
67. ცეცხლის ღმერთი ინდუიზმში

## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | 3 | | 1 | 4 |
| | | | | 2 | | 8 | | |
| 7 | 1 | 4 | | | | | | |
| | | 6 | | | | | | 5 |
| | | | 2 | 1 | 8 | | | |
| 4 | | | | | | 2 | | |
| | | | | | | 7 | 3 | 6 |
| | | 9 | | 4 | | | | |
| 8 | 6 | | 5 | | | | 2 | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | | | 5 | 8 |
| | | 4 | | | 7 | 2 | | |
| | 1 | | 6 | 5 | | | | 4 |
| | 9 | | | | 6 | 7 | | |
| | | 2 | | | | 6 | | |
| | | 5 | 3 | | | | 4 | |
| 3 | | | | 6 | 5 | | 8 | |
| | | 7 | 4 | | | 1 | | |
| 9 | 4 | | | | | | | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 8 | | | | |
| | | 4 | | | | | | |
| | 8 | | 6 | | | 1 | 9 | 7 |
| | 7 | | 5 | | | 2 | | 1 |
| 8 | | | | 3 | | | | 5 |
| 5 | | 1 | | | 2 | | 6 | |
| 6 | 9 | 2 | | | 1 | | 4 | |
| | | | | | | 9 | | |
| | | | | 9 | | | | 6 |

**კარგი პერიოდია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან. წარმატებას მიაღწევენ ტყუპის, მორიელისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები.**

## ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**17 - 23 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი**

### ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

გადაწყვეტილებები მხოლოდ თქვენ გარშემო შექმნილი ვითარების კარგად გაანალიზების შემდეგ მიიღეთ. რჩევისათვის კი, რაც აუცილებლად დაგჭირდებათ, ოჯახის წევრებს მიმართეთ.

ახლა საუკეთესო პერიოდია სოციალური სტატუსის ასამაღლებლად, ამიტომ იაქტიურეთ და დადებითი ცვლილებებიც არ დააყოვნებს.

უარი თქვით საეჭვო ფინანსურ გარიგებებზე. თავი შეიკავეთ საყვარელ ადამიანთან ემოციების გამოვლენისგან. თქვენ მისთვის მისაბაძი მაგალითი და შეუვალი ავტორიტეტი უნდა იყოთ.

დაიტვირთეთ ფიზიკურად, თუმცა გაუფრთხილდით თავსა და ხელებს, რადგან შესაძლოა, ტრავმა მიიღოთ.

**დადებითი დღე: 23 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

### კურო 21 აპრილი — 21 მაისი

ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ, სჯობს, უკვე დაწყებული დაასრულოთ.

ხელმძღვანელობის დავალების შესასრულებლად დახმარება კოლეგებს სთხოვეთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რომელიც გათვალისწინებული არ გქონდათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ იმ პრობლემებს მოაგვარებთ, რომლებიც გასულ პერიოდში შეგექმნათ უყურადღებობის გამო.

დაიცავით კვების რეჟიმი, უარი თქვით ალკოჰოლზე და ფრთხილად მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 22 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

### ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

საფინანსო საქმეები სასიკეთოდ წარიმართება. იურიდიულ საკითხებს კი სწრაფად და იოლად მოაგვარებთ. მოსალოდნელია, მიიღოთ დივიდენდები ადრე ჩადებული ინვესტიციებიდან, ეს თქვენს ფინანსურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან და შეეცადეთ, მისი ყველა თხოვნა შეასრულოთ.

ამ პერიოდში მაღალია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. გაუფრთხილდით სასუთქ სისტემას და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 18 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 19 ივნისი.**

### კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

დასახული მიზნების მისაღწევად დაგჭირდებათ შეუპოვრობის გამოჩენა და მუხლჩაუხრელი შრომა. გაბედულად იარეთ წინ და არჩეულ კურსს არ გადაუხვიოთ, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სირთულე შეგხვდებათ.

ახლა არ ღირს სამსახურში ექსპერიმენტების ჩატარება, მიენდეთ თქვენს გამოცდილებასა და ინტელექტს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ თქვენი რჩეული სწორედ ის ადამიანია, რომელიც გჭირდებათ.

გაუფრთხილდით შარდ-სასქესო სისტემას, რადგან მაღალია ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 19 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 23 ივნისი.**

### ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

ცვლილებების პერიოდია. გახსოვდეთ, მუდმივი არაფერია და ყველაფერს აქვს დასასრული. თუ მდგომარეობის შესანარჩუნებლად ძველს, უკვე დრომოჭმულს ჩაებღაუჭებით, ვითარებას გაამწვავებთ და გარშემო მყოფთა სამართლიან უკმაყოფილებას გამოიწვევთ.

მარტოხელა ლომებმა შეიძლება გაიცნონ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, რომელთან ურთიერთობაც მგზნებარე რომანში გადაიზრდება.

ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების გავლენისგან დასაცავად მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად — შეასრულეთ სავარჯიშოები სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 19 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

### ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

ქალწული

დაფიქრდით თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც ახლა სტაბილურია, მაგრამ შეიძლება სწრაფად გაუარესდეს.

თავი შეიკავეთ ზედმეტი ხარჯებისგან და შეეცადეთ, ფული შვებულებისთვის დააგროვოთ.

უყურადღებობის გამო, შესაძლოა, კონფლიქტი შეგექმნათ ხელმძღვანელობასთან, ამიტომ ყველა დავალება გულდასმით შეასრულეთ.

მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან და მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის ხანდაზმული წევრების მიმართ.

თუ ქრონიკული დაავადება გაწუხებთ, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 22 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

### სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

გადაწყვეტილების მიღებისას ინტუიციით იმოქმედეთ და დაიცავით თქვენი პოზიცია. თუ ჩაერევით კოლეგებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტში, რეპუტაცია შეგელახებათ. ამ პერიოდში თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება, მაგრამ ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ — ნუ შეეცდებით, თავს მოახვიოთ თქვენი გადაწყვეტილებები საერთო პრობლემების მოგვარების მეთოდებზე.

დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო შეიძლება დაღლილობა დაგეუფლოთ და ამის გამო ცუდ განწყობაზე დადგეთ, ამის საუკეთესო წამალი გარემოს შეცვლაა. მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 21 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 19 ივნისი.**

### მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

მშვიდი პერიოდია. წარმატებას მიაღწევთ როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში, შედეგად — შესანიშნავ განწყობაზე დადგებით.

შეიძლება შემოგთავაზონ საქმიანი გარიგება, რომელიც შორეულ პერსპექტივაში დიდ ფინანსურ მოგებას მოგიტანთ. ვიდრე დათანხმდებით, ყველა დეტალი გულდასმით გააანალიზეთ.

საყვარელ ადამიანთან უთანხმოებას მხოლოდ გულწრფელი საუბრით მოაგვარებთ — იმსჯელეთ მასთან თქვენს პრობლემებზე.

დაიცავით კვების რეჟიმი და ტონუსის ასამაღლებლად შეასრულეთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 23 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

### მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

კოლეგებსა და უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ — შეძლებთ მომგებიანი კონტრაქტების გაფორმებას, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებს.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ახლობელი ადამიანების, განსაკუთრებით — ხანშიშესულთა მიმართ, მათ ახლა თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად და სრულფასოვნად გამოიძინოთ.

**დადებითი დღე: 22 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 19 ივნისი.**

### თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

კარგი პერიოდია ახალი გეგმების შესამუშავებლად, თუმცა თქვენი სურვილები შესაძლებლობებით უნდა იყოს გამაგრებული.

მარტოხელა თხის რქებს შეიძლება მოულოდნელად ეწვიოთ ისეთი სიყვარული, რომელზეც დიდი ხანია, ოცნებობდნენ, მთავარია, რომ ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგან.

გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას — თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 23 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

### მერწყული 21 იან. — 19 თებ.

თუ კეთილგონიერებას არ მოუხმობთ, გამოუსწორებელ შეცდომებს დაუშვებთ როგორც პროფესიულ სფეროში, ისე პირად ცხოვრებაში. დაკავდით იმ საქმით, რომლის შესრულებაც შეგიძლიათ და ყურადღება გაამახვილეთ მთავარზე. მხოლოდ ასე შეძლებთ იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც ამ პერიოდში შეიძლება, შეგექმნათ.

გაგიჩნდებათ დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი.

შესაძლოა, თქვენი დახმარება ახლობელ ადამიანს დასჭირდეს და უარს ნუ ეტყვით.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 19 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

### თევზები 20 თებ. — 20 მარტი

საქმეები დაგიხვავდებათ, რის გამოც გაღიზიანდებით, მაგრამ ყველა საქმე აუცილებლად უნდა დაასრულოთ. მთავარია, ხვალისათვის არ გადადოთ ის, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლიათ.

თუ შესაძლებლობებს სრულად გამოავლენთ, ხელმძღვანელობის ყურადღების არეალში მოხვდებით და ჯილდოც არ დააყოვნებს — ეს შეიძლება იყოს დაწინაურება ან ფულადი პრემია.

შესაძლოა, კონფლიქტი შეგექმნათ საყვარელ ადამიანთან, თუ მას უსამართლოდ მოექცევით.

თუ კანის ქრონიკული დაავადება გაწუხებთ, კარგი პერიოდია, პროფილაქტიკური პროცედურების ჩასატარებლად.

**დადებითი დღე: 22 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

# G7-ში არყოფნა რუსეთს ღირსებას ჰმატებს

**გთავაზობთ ფრანგი პუბლიცისტის — ნიკოლა ბონალის საინტერესო სტატიას, რომელიც მან ფრანგულ გამოცემა Boulevard Voltaire-ში რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა.**

**ჩესტერტონი (გილბერტ კიტ ჩესტერტონი — ინგლისელი მწერალი და ჟურნალისტი (1874-1936 წ.წ.) — რედ.) ამბობდა, რომ თანამედროვე მსოფლიოს მართვას სკოლის ქალი მასწავლებლები დაიწყებენ. და, თუ პრეზიდენტობის კანდიდატ კლინტონისა და კანცლერ მერკელის საქმიანობით ვიმსჯელებთ, ჩესტერტონი ჭეშმარიტებისგან არც ისე შორს იყო.**

შვიდიანის სამიტზე არ იყვნენ „ონავარი" მოსწავლეები რუსეთიდან. აი, რას ამბობს ამის თაობაზე მკაცრი კანცლერი: „ვინ იფიქრებდა, რომ ცივი ომის დამთავრებიდან 25 წლის შემდეგ ევროპაში მშვიდობასა და წესრიგს კვლავ დაემუქრებოდა საფრთხე ყირიმის ანექსიის გამო და რომ ტერორისტული ისლამისტური ორგანიზაცია ახლო აღმოსავლეთის ორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე „ხალიფატის" შექმნას შეეცდებოდა?"

**საინტერესოა, როგორ შეძლო მერკელმა ასეთი სისულელის თქმა სერიოზული გამომეტყველებით.**

სამიტის მოსაწვევი მიიღო ეთიოპიამაც, რუსეთმა კი — არა! რუსეთი დასჯილია, ის კუთხეში დააყენეს უკრაინის წინააღმდეგ „აგრესიისა" და ადამიანის უფლებების მიმართ უპატივცემულობისთვის. გამაოგნებელია...

გამაოგნებელია იმიტომ, რომ **აშშ-ში არის 2,2 მილიონი პატიმარი, გუანტანამოს ციხე და პატრიოტული აქტი, პოლიციელთა მიერ დახოცილი 1200 ადამიანი და ბოლო 50 წლის განმავლობაში მილიონობით დაღუპული შავკანიანი ახალგაზრდა ბანდების ხელით და ნარკოტიკების გამო; იმიტომ, რომ ამერიკელმა ნეოკონსერვატორებმა (მერკელი მხოლოდ მათი პაიკია. ეს ცხადი გახდა მის მიერ 2003 წელს THE WASHINGTON POST-ში გამოქვეყნებული გერმანოფობიური სტატიის გამოქვეყნების შემდეგ) ლიბიაში, ერაყსა და სირიაში გააჩაღეს საშინელი ომები, რომლებიც მოწმობენ მათ ირაციონალურ და შემაშფოთებელ მისწრაფებაზე — ავნონ.**

აქედან გამომდინარე, უნდა რცხვენოდეს კი რუსეთს, რომ შვიდიანის სამიტზე არ იყო?





იქ შეიკრიბნენ მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები, რუსეთისა და ჩინეთის გარეშე, სამაგიეროდ, იტალიასა და ლიბიელი ლტოლვილების ნაკადთან ერთად, ფუფუნებაში ჩაძირულ სამთო სასტუმროში უალკოჰოლო ლუდთან ერთად!

დავუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს.

**როდესაც პუტინი ლაპარაკობს პრაგმატიზმზე, დასცინიან; მაშინაც დასცინიან, როდესაც ლაპარაკობს ქრისტიანობაზე. არადა, ამჟამად ის ერთადერთია ევროპის სახელმწიფოების ლიდერთა შორის, ვინც ქრისტიანობას იცავს. სხვები იცავენ ტრანსჰუმანიზმს, ერთსქესიანთა ქორწინებას და FEMEN-ს.**

— რუსეთს არ აქვს ჩვენნაირი ზნეობრივი და სექსუალური ფასეულობები, — მუქარის ტონით განაცხადა შარშან **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ.**



ნიკოლა ბონალი

და ამიტომ მორიგი ომი უნდა დაიწყონ!

ბოლშევიკებმა, როდესაც მათ უარი განაცხადეს ინცესტისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებაზე, პოპულარობა მოიხვეჭეს დასავლეთში, რასაც სოლჟენიცინი გვახსენებს. ამას გარდა, ავტორი წიგნისა „ორასი წელი ერთად" ხაზს უსვამს, რომ **დასავლეთს საბჭოთა კავშირი მხოლოდ მაშინ მოსწონდა, როდესაც ბიუროკრატიამ 15 მილიონი რუსი და უკრაინელი გლეხი გაანადგურა. დღეს კი, როდესაც რუსებმა და რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხმა იგემა მშვიდობა და კეთილდღეობა, მასმედიაში ამ ქვეყნის დემონიზაციის კამპანია დაიწყეს.**

რაოდენ პარადოქსულია!

მე კი ვამბობ, რომ ეს მხოლოდ სულელს შეიძლება გაუკვირდეს. **დასავლეთს ბარბაროსული რუსეთი უფრო მოსწონს, ვიდრე პუტინის რუსეთი. ბარბაროსობა აფორიაქებს დასავლეთის წარმოსახვას. სწორედ ამიტომ ეხმარება ის ისლამისტ ჯალათებს სირიაში.**

ასე რომ, **რუსეთი არ უნდა ნანობდეს, რომ ამ იდიოტებთან ერთად მაგიდას არ მიუჯდა!**

**ნიკოლა ბონალი**
**Boulevard Voltaire**
**(საფრანგეთი)**

# რუსეთმა აშშ საქართველოში ბიოლაბორატორიის დანიშნულების დამალვის მცდელობაში დაადანაშაულა

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეშფოთებული არიან აშშ-ის მიერ მედიკო-ბიოლოგიური ლაბორატორიის განთავსებით რუსეთის საზღვრების მახლობლად, საქართველოს ჩათვლით, — ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაში.**

საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნეს, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ლუგარის სახელობის ე.წ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი თბილისის გარეუბანში, რომელიც ბიოლოგიური იზოლაციის მაღალი დონის ლაბორატორიაა. მოსკოვში მიაჩნიათ, რომ მის საფარქვეშ დამკვიდრებულია აშშ-ის სახმელეთო ჯარების სამედიცინო საკვლევი ქვედანაყოფი, რომელიც უოლტერ რიდის სახელობის საკვლევი ინსტიტუტის ფილიალს წარმოადგენს.

„ამერიკისა და საქართველოს ხელისუფლებები ძალისხმევას მიმართავენ აშშ-ის არმიის ამ სამხედრო ქვედანაყოფის საქმიანობის ნამდვილი მიმართულებისა და შინაარსის დასამალავად, რომელიც განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების შესწავლითაა დაკავებული. პენტაგონი ცდილობს, ჩანერგოს ასეთივე შენიღბული სამხედრო სამედიცინო-ბიოლოგიური ობიექტები სხვა სახელმწიფოებსა და დსთ-ის სივრცეში", — ვარაუდობენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

რიდის ინსტიტუტი განთავსებულია ვაშინგტონის აგლომერაციის ჩრდილოეთით ფორესტ-გლენში (მერილენდის შტატი) და გამოჩენილი სამხედრო ექიმ-ინფექციონისტის — უოლტერ რიდის სახელს ატარებს. 1953 წელს შექმნილი ორგანიზაცია აშშ-ის ერთ-ერთ საკვანძო სამხედრო საკვლევ ცენტრად მიიჩნევა, რომელიც ეპიდემიოლოგიისა და ბიოლოგიური იარაღისგან დაცვის სფეროში მუშაობს.

ლაბორატორია თბილისში 2011 წლის გაზაფხულზე გაიხსნა, მის მშენებლობაზე 100 მლნ დოლარზე მეტი დაიხარჯა. საქართველოს მთავრობა ირწმუნება, რომ ლაბორატორია გათვალისწინებულია განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამოსავლენად და მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისთვის გამოიყენება.




# 30-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ფოტოებზე: აკაკი წერეთელი; პიზა; ონორე დე ბალზაკი.**
**1. მოპედი; 2. ასლი; 3. სკა; 4. კორსიკა; 5. კაირო; 6. იბიცა; 7. კიმ; 8. იახტა; 9. მიკ; 10. ლეი; 11. კაპელა; 12. ნეკერჩხალი; 13. ბენიტო; 14. მასრა; 15. აიკიდო; 16. ჯეკ; 17. ხარება; 18. ბასრი; 19. კეცი; 20. რაიხი; 21. იერი; 22. რეისი; 23. როჯერ; 24. ენა; 25. ფრე; 26. იარა; 27. ევიტა; 28. პიტერ; 29. ამორალური; 30. ხე; 31. რესპი; 32. რიალი; 33. სერ; 34. აზარი; 35. აჩმა; 36. ნოე; 37. ლევ; 38. ბელი; 39. დრამა; 40. რომა; 41. ონო; 42. რე; 43. ენიო; 44. იარდი; 45. კიურე; 46. თორთლაძე; 47. ლარს; 48. კლიო; 49. ძიუდო; 50. თიკუნი; 51. გო; 52. ნიკელი; 53. კინი; 54. ნალია; 55. რურკი; 56. პიერ; 57. ილო; 58. ჯინსი; 59. ერნან; 60. ედილი; 61. აი; 62. გენია; 63. კინო; 64. ნიკ; 65. ჯაზი; 66. ინგა; 67. აგნი.**

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 | 4 |
| 6 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 |
| 7 | 1 | 4 | 8 | 9 | 5 | 3 | 6 | 2 |
| 1 | 2 | 6 | 3 | 7 | 4 | 9 | 8 | 5 |
| 9 | 5 | 7 | 2 | 1 | 8 | 6 | 4 | 3 |
| 4 | 8 | 3 | 9 | 5 | 6 | 2 | 7 | 1 |
| 5 | 4 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 | 6 |
| 3 | 7 | 9 | 6 | 4 | 2 | 1 | 5 | 8 |
| 8 | 6 | 1 | 5 | 3 | 7 | 4 | 2 | 9 |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 9 | 2 | 4 | 1 | 3 | 5 | 8 |
| 5 | 3 | 4 | 8 | 9 | 7 | 2 | 1 | 6 |
| 2 | 1 | 8 | 6 | 5 | 3 | 9 | 7 | 4 |
| 4 | 9 | 3 | 1 | 8 | 6 | 7 | 2 | 5 |
| 1 | 8 | 2 | 5 | 7 | 4 | 6 | 9 | 3 |
| 6 | 7 | 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 4 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 8 | 7 |
| 8 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 9 |
| 9 | 4 | 6 | 7 | 1 | 8 | 5 | 3 | 2 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 9 | 1 | 5 | 8 | 3 | 2 |
| 2 | 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 7 | 3 | 5 | 6 | 4 | 2 | 8 | 1 |
| 8 | 2 | 6 | 1 | 3 | 9 | 4 | 7 | 5 |
| 5 | 4 | 1 | 8 | 7 | 2 | 3 | 6 | 9 |
| 6 | 9 | 2 | 3 | 5 | 1 | 7 | 4 | 8 |
| 4 | 5 | 8 | 7 | 2 | 6 | 9 | 1 | 3 |
| 3 | 1 | 7 | 4 | 9 | 8 | 5 | 2 | 6 |


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვევენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894